F834/9787

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს,
ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის 1999 წელი!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №1 (3042) პარასკევი, 1 იანვარი, 1999 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

საახალწლოდ

ულოცავენ ქვეყნის მეთაურს

მრავალი ქვეყნიდან მოდის საქართველოს პრეზიდენტის სახელზე შობა-ახალი წლის მოსალოცები. საუკეთესო სურვილებით ედუარდ შევარდნაძეს ახალ წელს ულოცავენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი, დედოფალი მარგარეტ მეორე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიან ძემინი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, ქუვეითის კრონ-პრინცი საად ალ აბდულლაჰი, მალტის პრეზიდენტი უგო მიფსუდ ბონიჩი, საბერძნეთის პრეზიდენტი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი, ისლანდიის პრეზიდენტი ოლაფ რაგნარ გრიმსონი, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი ტომას კლესტილი, გაიანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯანეტ ჯაგანი, ირლანდიის პრეზიდენტი მერი მაკალიზი, სურინამის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოლ ვიჯდანბოში, ისლამური სახელმწიფო ავღანეთის პრეზიდენტი ბურჰანუდინ რაბანი, არაბთა გაერთიანებული საემიროების პრეზიდენტი ზაიედ ბინ სულთან ალ ნაჰაიანი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ტრან დუკ ლუონგი, კვიპროსის პრეზიდენტი გლაფკოს კლერიდისი, სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ყველას გვეძახის ჩამქრალი კერა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიმართვა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

მიილია 1998 წელი, წელი დიდი ტკივილისა და მშობლიური ადგილების მონატრებისა, გალის მაისის ტრაგედიით თუ ყოველდღიური სა[illegible] დამძიმებული. მიილია და თან წაიღო მრავალი აუხდენელი ოცნება.

კარს მოგვადგა ახალი, 1999 წელი, რომლის მობრძანებაც ყველას ახალი იმედებით გვავსებს. მშობლიურ კერაზე დაბრუნების გაჭიანურებამ, დევნილობის მძიმე ხვედრმა, მართალია, ვრ ჩვენგანს გაუტეხა გული, მაგრამ მიუხედავად ამისა, რწმენა მაინც არ მომკვდარა, რამეთუ ბუნების კანონის მიხედვით, ბოროტს ყოველთვის კეთილი სძლევს ლმე, სამართლიან საქმეს ბოლო დამ კეთილი აქვს.

ჩვენ ყველანი ერთი მიწის შვილები ვართ, ყველას ფესვები იმ კურთხეულ მიწაში გვიდგას, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, ყველას გვეძახის ჩამქრალი კერა და ობლად დარჩენილი საფლავები. ამიტომ უნდა დავდგეთ ერთმანეთის გვერდით, გავერთიანდეთ და ერთად ვიღვაწოთ სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

გილოცავთ ახალ წელს, რომელიც, ვწამს, ბოლოს და ბოლოს, წერტილს დაუსვამს ჩვენს წამებას და დაკარგული მიწა-წყლის – ძალად მოკვეთილი აფხაზეთის დაბრუნების წლად შევა საქართველოს ისტორიაში!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
თამაზ ნადარეიშვილი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ლონდერ ცაავა.

თაობა

ნამვისხე ჩემს უბანში



უ მოგვეშალოს სიხარული, ჟრიამული და მომავლის იმედი.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტის წევრის, 10 წლის ნინო დარბაისელის ნახატი.

პრეზიდენტი

1999 წელი იქნება საქართველოს, ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი გაბრწყინების წელიწადი

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საახალწლო მიმართვა

ძვირფასო თანამემამულენო, მიიწურა 1998 წელი.

ახალი წლის დამდეგს, უპირველესად, წარსულს უნდა მივაპყროთ მზერა, რათა თვალი გავუსწოროთ მომავალ, 1999 წელს, რომლითაც გასრულდება XXI საუკუნე, II ათასწლეული საკაცობრიო, მათ შორის, ჩვენი სამშობლოს ისტორიისა.

როგორი იყო განვლილი წელი საქართველოსთვის, თითოეული ოჯახისთვის, თითოეული მოქალაქისთვის?

პიროვნული, ოჯახური ბედნიერებით იწყება საქვეყნო წარმატება, მაგრამ ქვეყნის სიძლიერე და სიმტკიცეც ხომ უმთავრესი გარანტიაა პიროვნულ მისწრაფებათა, ადამიანურ რწმენათა განხორციელებისა.

იმავდროულად, არ შეიძლება რომელიმე წელი ჩვენი ცხოვრებისა განვიხილოთ განყენებულად – გზა მონაკვეთებისაგან შედგება, მტკიცე შენობა ზოგჯერ სიმწრით მოპოვებული, ცრემლითა და ოფლით ნალოლიავები აგურებით შენდება.

ვიყოთ გულწრფელნი ამ ახალი წლის ღამეს: განვლილი, 1998 წელი ძალიან მძიმე გამოდგა ჩვენი ქვეყნისთვის.

უფრო მეტიც, 1998 წელი ქართული სახელმწიფოებრიობის შინაგანი სიმტკიცის გამოცდის წელი იყო.

იგი დაიწყო სისხლიანი ტერაქტებით, რამაც იმთავითვე დაასვა დაღი მოვლენათა განვითარებას.

გალის ტრაგედია, რისი მეშვეობითაც შავბნელმა, საქართველოსადმი მტრულმა ძალებმა ჩვენი ქვეყნის განვითარების საერთო ვექტორის გარდატეხა სცადეს. ათეულ ათასობით ახალი დევნილი, უმწეო ადამიანთა უბედურება, ძმათამკვლელი, ქვეყნის დამანგრეველი, სისხლისმღვრელი ომის განახლების საშიშროება. იგი მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შედეგად ავიცილეთ თავიდან.

იხ. მე-2 გვ.

ლაურეატები

აღიარება

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებებით, დამტკიცდა პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებანი 1998 წლის საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიებისა და 1997 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ.

წლეულს შოთა რუსთაველის ეროვნული პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭათ პოეტ გივი გეგეჭკორს, მწერალ რევაზ მიშველაძეს, მომღერალ ზურაბ სოტკილავას, მხატვარ ედმონდ (გაბრიელ) კალანდაძეს, მსახიობებს ოთარ მეღვინეთუხუცესსა და სოფიკო ჭიაურელს, კინორეჟისორებს ოთარ იოსელიანსა და ელდარ შენგელაიას.

1997 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატები გახდნენ პოეტი შოთა ზოიძე, მწერალი თამაზ ჭილაძე, პიანისტი ალექსანდრე კორსანტია, მსახიობი გიორგი გეგეჭკორი, კინორეჟისორი გიორგი ხაინდრავა, მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქია, მწერალი ვახტანგ ჭელიძე, პოეტი ანა კალანდაძე.

31 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ლაურეატთა ერთ ჯგუფს პირადად გადასცა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული და სახელმწიფო პრემიების დამადასტურებელი ატრიბუტიკა.

– ბედნიერი ვარ, რომ მაქვს უფლება ჩაგაბაროთ უმაღლესი აღიარების ნიშნები და გამოვხატო პირადად ჩემი და ჩემი ხალხის დიდი აღიარება და სიყვარული. როგორც მოქალაქე და პრეზიდენტი ვამაყობ, რომ თქვენი თანამედროვე ვარ. თქვენ სამაგალითო ბრძანდებით და ვისურვებდი, რომ ათასობით ახალგაზრდას, რომელიც ახლა იწყებს მოღვაწეობას, თქვენს კვალზე ევლოს, ანუ იმ გზით ევლოს, რომელსაც ბედნიერი საქართველოსაკენ მივყავართ, – მიმართა ედუარდ შევარდნაძემ ლაურეატებს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

ინფორმაცია

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს

მინდა ყველა თქვენგანს მივულოცო დღესასწაული და ვუსურვო ბედნიერი ახალი წელი. იმედი მაქვს, რომ 1999 წელი მშვიდობის, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის წელიწადი იქნება თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის, საქართველო კი წარმატებით გააგრძელებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას.

საუკეთესო სურვილებით,
კენეტ იალოვიტცი,
აშშ ელჩი საქართველოში.

საპენსიო დავალიანებების დასაფარავად

იმერეთისა და კახეთის მხარეებში საპენსიო დავალიანებების დაფარვაში წარმოქმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 1999 წლის 10 იანვრამდე იმერეთისა და კახეთის მხარეებში დამთავრდება ამერიკის შეერთებული შტატების სასაქონლო კრედიტით შემოტანილი და კონსიგნაციის წესით გაცემული ხორბლის გადამუშავებით მიღებული ფქვილის ხარჯზე საპენსიო დავალიანების დაფარვა, რომელიც შეწყვეტილი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადებით ლარის კურსისა და ხორბლისა და ფქვილის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გამო.

ვისი „ბორჯომი“?

მინერალური წყლის „ბორჯომის“ ჩამომსხმელ სახელმწიფო ქარხნებთან დაკავშირებით წამოჭრილი სადაო საკითხების შესწავლისა და წინადადებათა მომზადების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

სახელმწიფო კომისიას დაევალა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შეისწავლოს სადაო საკითხები და ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადებები მათ მოსაგვარებლად.

სწავლის მსურველთათვის

ინგილო, დეპორტირებული მესხი, სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებული აჭარელი ახალგაზრდებისა და ინგუშეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე გასაუბრების წესით ჩასარიცხად საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში მცხოვრები ინგილო ახალგაზრდებისათვის გამოყოფილი იქნება 70 ადგილი, დეპორტირებული მესხი ახალგაზრდებისათვის – 5 ადგილი, სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებული აჭარელი ახალგაზრდებისათვის – 30 ადგილი, ინგუშეთის რესპუბლიკის მოქალაქე ახალგაზრდებისათვის – 4 ადგილი.

ქუთაისის უნივერსიტეტს – ევროკავშირის გრანტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ევროკავშირის უმაღლესი განათლების პროგრამის „ტემპუსის“ გრანტი – 200 ათასი ეკიუ მოიპოვა. პროექტი ითვალისწინებს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფას. მისი განხორციელება 2000 წლის ნოემბერში დასრულდება.

სინათლე ჩვენს ფანჯრებში

საქართველოს ენერგოსისტემაში შექმნილი რთული მდგომარეობის დასაძლევად რუსი და სომეხი ენერგეტიკოსები გვეხმარებიან. 2 იანვრამდე სომხეთი მოგვაწვდის 50 მეგავატ ელექტროენერგიას, რუსეთი – 100-ს, უთხრა პრაიმ-ნიუსს თელასის გენერალურმა დირექტორმა ბეჟან ხუციშვილმა.

მან ისიც აღნიშნა, რომ მთლიანად დაიფარა თელასის თანამშრომლების მიმართ ივლისის თვის ხელფასების დავალიანება.

მიმდინარეობს სხვა თვეების დავალიანების დაფარვაც.

რუსეთი ცხინვალს ელექტროენერგიის გარეშე ტოვებს

მხოლოდ 20 იანვრამდე გააგრძელებს ცხინვალისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა“, თუ არ დაიფარება ყველა დავალიანება.

ელექტროენერგია თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას მიეწოდება რუსეთის ენერგეტიკოსებსა და „იუგოსეტენერგოს“ შორის კონტრაქტის საფუძველზე 1998 წლის იანვრიდან.

დავალიანება 580 ათას დოლარს შეადგენს.

ქუთაისის ავტოქარხნის პერსპექტივა

სააქციო საზოგადოება „ქუთაისის ავტოქარხანამ“ 30 დეკემბერს აღნიშნა მეტალურგიული საამქროს დაფუძნების 50 წლისთავი. ამ დღეს მწყობრში ჩადგა ახალი სიმძლავრე ლითონსაჩამომსხმელო საამქროში – „თხევადი საყალიბე ნარევით ყალიბების უბანი“. იგი საშუალებას მისცემს საწარმოს როგორც საექსპორტო, ისე რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის დაამზადონ დიდი მოცულობის თუჯის სხმულები. ასევე ხელი მოაწერეს კონტრაქტს ევროპაში ნაჭედების მიწოდების შესახებ.

კოლექტივთან შეხვედრისას ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ამირან ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა გაფორმდეს სამმილიონ დოლარიანი კონტრაქტი ცნობილ ფრანგულ მანქანათსამშენებლო ფირმა „რენოსთან“. 1998 წელს ავტოქარხანამ რეალიზებული პროდუქციით 2 მილიონი დოლარი შემოიტანა ქვეყანაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს დეკემბრის ხელფასები და პრემიები.

იმავე დღეს გაიხსნა ქარხნის ახალი სასადილო, რომელიც თავისი დიზაინით და ინტერიერით არ ჩამოუვარდება ევროპულ სტანდარტებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

გოგლას წელიწადი

„როგორც ხმალი, მმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია“

გუშინწინ, გიორგი ლეონიძის დაბადების დღეს მოსულა თოვლი პატარძეულში, პირველი, დიდი თოვლი:

ეს თოვლია,
თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები? („სიმღერა პირველი თოვლისა“).

დავიწყების ნისლივით ალაგ-ალაგ შერჩენოდა თოვლი სახლის სახურავს, და შენობას ლეკვიეთი აკრული მარნის კრამიტებიდან დამდნარი ისე წვეთავდა, როგორც დედის ცრემლი.

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის! ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში.

ჩემი სოფლის ტყისპირებში ყოველ გაზაფხულზე ია ბლუჯულად ამოდიოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში“. („ნატვრის ხე“).

გოგლას საყვარელ მაგიდასთან, ეზოში, დიდი თუთის ხის ქვეშ იდგა ლეონიძეების მეზობელი და სტუმრების გამოსვლას ელოდა ლეონიძეების სახლიდან, სახლ-მუზეუმიდან, უფრო ზუსტად...

მაგიდაზე – ერთი ხელადა ღვინო, ოთხი მომცრო ჭიქა (რამდენი ჩადის? – რამდენიც აავსებს.), ორი შამფური ახლადდაკლული ღორის მწვადი და დედასპურები.

იხ. მე-3 გვ.

შენება

მაღალმთიანი რაიონებისათვის

საქართველოს მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, არსებული რესურსების სრულად გამოყენების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მრავალწლიანი პროგრამის შემუშავების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

სამთავრობო კომისიას დაევალა მრავალწლიანი მიზნობრივი პროგრამის შესამუშავებლად შექმნას სამუშაო ჯგუფი დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებათა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სპეციალისტების შემადგენლობით; 1999 წლის 1 ივლისამდე კომისიამ უნდა წარმოადგინოს მაღალმთიან რაიონებში არსებული რესურსების სრულად გამოყენების, შესაბამისი ინფრასტრუქტურების განვითარების მრავალწლიანი მიზნობრივი პროგრამა საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად.

საქინფორმი.

პრეზიდენტის ფოსტიდან

საბერძნეთის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ საქართველოში მკვლელებს საკადრისი მიეზღვებათ

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი მადლობას უხდის საქართველოს პრეზიდენტს თბილისში საბერძნეთის საელჩოს თანამშრომლის ანასტასიოს მიზითრასის მკვლელობის გამო სამძიმრის წერილისათვის, „დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციელებს მკვლელების დასადგენად და მათ გასასამართლებლად. ვიზიარებ თქვენს რწმენას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ტრაგიკული შემთხვევა ვერ შეძლებს ზიანი მიაყენოს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ შესანიშნავ ურთიერთობას“, – წერს საბერძნეთის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

პროკურატურა

რევერანსების დრო დამთავრდა!

აცხადებს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი ქვეყნის საბაჟო და საგადასახადო სამსახურების მუშაკთა გასაგონად

ჩვენი ბიუჯეტის, ჩვენი სახალხო ხაზინის შევსება, ძირითადად, დამოკიდებულია საბაჟო და საგადასახადო სამსახურების მუშაკთა მოქნილ, ეფექტიან საქმიანობაზე. იქნებ ისინი მთლად გულხელდაკრეფილები არა სხედან, მაგრამ ქვეყანაში რომ მწვავე ფინანსური სიტუაციაა, ეს უკვე ყველასათვის ნათელია. ესე იგი, ამ სამსახურებში ბევრი რამ ისე არაა, როგორც წესითა და კანონით უნდა იყოს.

სწორედ ამის გასარკვევად ახლახან, ლამის ერთი კვირის განმავლობაში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თავის კოლეგიებზე ორჯერ იმსჯელა როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო სამსახურების ოპერატიულ მუშაკთა საქმიანობაზე, ამ რგოლებში საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობათა შესრულების მდგომარეობაზე.

იხ. მე-4 გვ.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 29 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.0507	ლარი
გერმანული მარკა	1	1.0881	ლარი
აშშ დოლარი	1	1.8200	ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3244	ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0580	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0861	ლარი.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +4+9;
დღისით +8+13.
მთაში: ღამით -2+3;
დღისით +2+6.
მაღალ მთაში: ღამით -2-6;
დღისით -2+3.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით -4+1;
დღისით +2+3.
მთაში: ღამით 0-4;
დღისით 0+6.
მაღალ მთაში: ღამით -5-10;
დღისით -4+1.

თბილისში
ღამით -2+2;
დღისით +5+9.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

კონტაქტებისთვის

საქართველოს რეგიონების საგარეო ურთიერთობათა პრაქტიკის კოორდინაციისა და პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების, რეგიონების საგარეო ურთიერთობათა გამოცდილება- ელი არსე- ბის სისტემატიზაციის, ანალიზისა და განზოგადების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულ შეიქმნა საქართველ ეო საქმეთა სამ საქართვე- საგარეო ნსულ-

აზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

პრეზიდენტი

1999 წელი იქნება საქართველოს, ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი გაბრწყინების წელიწადი

(პირველი გვერდიდან)

უდიდესი ტკივილის მიუხედავად, მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ვალდებული ვარ მივმართო ჩვენს თანამოძმეებს, აფხაზებსა და ოსებს: ჩვენი ხალხების შერიგება და ერთად ცხოვრება უზენაესის ნებაა. ასე იყო ისტორიულად, ათასწლეულების განმავლობაში და ასე იქნება კვლავაც. ამ ბოლო წლების განმავლობაში პირველად ვამბობ ამ სიტყვებს საახალწლო მილოცვაში: დამდეგ ახალ წელს ვულოცავ აფხაზ და ოს ძმებს.

დაე, მომავალი წელი გახდეს ჩვენი საერთო სამშობლოს გამთლიანების, უშუალო დიალოგის გაღრმავების, ტანჯულ დევნილთა მშობლიურ კერაზე დაბრუნების, ყველა ჩვენგანის ოჯახში სიმშვიდისა და სიხარულის დამკვიდრების წელი.

ყველაფერთან ერთად, 1998 წელს ქვეყანას არნახულმა გვალვამ დარია ხელი. განახევრდა მარცვლეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობა, დაცარიელდა წყალსაცავები – იაფი ენერგეტიკული რესურსის გამომუშავების მთავარი წყარო.

ამ მოვლენებს დაერთო მოხელეთა უპასუხისმგებლობა, კორუფციის ჯერაც ამოუწველი სიმსივნე, რომელიც წამლავს ჩვენს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს.

კორუფციის მანკმა გაართულა საბიუჯეტო პროცესი, ვერ მოხერხდა გადასახადების დროულად და სრულად აკრეფა, რამაც გამოიწვია სირთულეები ხელფასების, პენსიების, დახმარების გაცემაში.

ლტოლვილთა პრობლემებთან ერთად ეს ხელისუფლების ყველაზე მთავარი საზრუნავია.

კვლავაც სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ: არავის არც ერთი თეთრი არ დაეკარგება, ხოლო ხელფასების, პენსიების მომავალი მომატებით შევეცდებით მოვახდინოთ დანაკარგის თუნდაც ნაწილობრივი კომპენსაცია.

მე ვთხოვ ჩემს თანამემამულეებს, იყონ სამართლიანნი. სამართლიანობა კი, უპირველესად, ობიექტურობით გამოიხატება.

1998 წელი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაში შევა, როგორც უდიდესი, გლობალური მნიშვნელობის ფინანსური კატაკლიზმების წელი, სპეციალისტები უკვე აღნიშნავენ, რომ ამ თვალსაზრისით, მას მხოლოდ 1929 წლის მსოფლიო ეკონომიკური დეპრესია თუ შეედრება.

ფინანსური კრიზისის დამანგრეველმა ქარბორბალამ, შეიძლება ითქვას, წალეკა ასეულობით მილიონი ადამიანის დანაზოგი მთელს მსოფლიოში, დაანგრია იმ ქვეყნების ეკონომიკა, რომლებიც თითქოსდა უკვე იდგნენ მტკიცე საფუძველზე, მით უმეტეს, მრავალი მათგანის უმრეტ ბუნებრივ სიმდიდრეთა გათვალისწინებით. ფინანსურმა კრიზისმა ძირფესვიანად შეარყია თვით ეკონომიკურ ტიტანთა ძლევამოსილება.

ბუნებრივია, ამ ქარიშხალს, ამ მსოფლიო კრიზისს, არ შეიძლებოდა ზეგავლენა არ მოეხდინა ჩვენი პატარა, ახლადფეხადგმული სახელმწიფოს ეკონომიკაზე.

მიუხედავად ამისა, მე სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ ქვეყანამ, ქართულმა სახელმწიფომ, გაუძლო ამ განსაცდელს.

ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა კრიზისული დარტყმების შესამსუბუქებლად. მისხალ-მისხალ გათვლილი ნაბიჯებით, რასაც თან სდევდა უძილო ღამეები და ჯოჯოხეთური შრომა, ყოველდღიური კონსულტაციები, – ჩვენ შევძელით გადაგვერჩინა ქართული საბაზრო ეკონომიკის საფუძველი, – ეროვნული ვალუტა.

ამით გადავარჩინეთ ასეულ ათასობით ადამიანის დანაზოგი (თუნდაც იგი სიმბოლური მოცულობისა ყოფილიყო), რომელიც ბანკებში ინახება. საქართველოში არც ერთი ბანკი არ გაკოტრებულა, – ისინი კვლავაც ფუნქციონირებენ და სახელმწიფოებრიობის მძლავრ დასაყრდენს ქმნიან.

ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ყოველთვის იყო, არის და იქნება ეროვნული ვალუტის – ლარის სიმტკიცე.

ლარი ჩვენი სახელმწიფოებრიობის საფუძველიცაა და სიმბოლოც. მიუხედავად პესიმისტური, ზოგჯერ პანიკური პროგნოზებისა, საქართველოს ეროვნული ვალუტა გაცილებით უფრო მტკიცე აღმოჩნდა, ვიდრე ზოგიერთს მიაჩნდა, – მაშასადამე, უკვე ამდენადვე მტკიცე და არცთუ ბოლომდე დასრულებული, მაგრამ, ძირითადად, უკვე სრულქმნილია ქართული სახელმწიფოებრიობა, – ჩვენი მართლაც ღირსეული ერისა და ხალხის ათასწლოვანი ნატვრის განხორციელება.

სწორედ ამიტომ უნდა ითქვას, რომ 1998 წელი, უდიდესი პიროვნული თუ საქვეყნო ტკივილის, სირთულეების მიუხედავად, მაინც ძალზე მნიშვნელოვან მიჯნად იქცა ქართული რეფორმაციის, ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე – იმ დიდ გზაზე, რომელსაც სულ რამდენიმე წლის წინათ, 1994-95 წლებიდან დავადექით – მას შემდეგ, რაც დავძლიეთ სისხლიანი ქაოსი, ანარქია და სამოქალაქო ომი.

24 აგვისტოს კონსტიტუცია გახდა ის ათვლის წერტილი, რომლითაც დაიწყო აღმავლობა საქართველოში.

საქართველოს წარმატებასა და წინსვლას, ქართული სახელმწიფოებრიობის გამარჯვებას ჩვენ მხოლოდ დემოკრატიული პროცესის კონტექსტით ვაღიარებთ და განვიხილავთ.

დამოუკიდებლობა, დემოკრატია და ქვეყნის აღორძინება – განუყოფელია.

1998 წელს საქართველოში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ქართული დემოკრატიის განმტკიცების თვალსაზრისით.

არჩევნები რეგიონთა უმრავლესობაში დემოკრატიულად ჩატარდა, ასპარეზზე გამოჩნდა რამდენიმე ახალი პარტია. მათ მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა გამოუცხადა ნდობა.

თვით ის ფაქტი, რომ არჩევნები შედგა – დემოკრატიულ ძალთა, დემოკრატიული ხელისუფლების გამარჯვებაა.

მოსახლეობის ნების თავისუფალი გამოვლენა დემოკრატიულ ინსტიტუტთა მშენებლობისა და განმტკიცების შედეგი გახდა.

თუმცა, ურყევად მჯერა, ქვეყნის პატრიოტული ძალები, რომელთაც მოსახლეობის უმრავლესობამ არაერთხელ დაუდასტურა ნდობა, კვლავაც იტყვიან ღირსეულ სიტყვას მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში.

ხელისუფლება არ არის თვითმიზანი. იგი საშუალებაა ქვეყნის, ეროვნული სახელმწიფოს მსახურებისა. სახელმწიფოებრიობის მშენებლობას კი უდიდესი რწმენა და მოთმინება ესაჭიროება.

ყველა ხალხს თვალწინ აქვს მაგალითი დიდი ებრაელი ერისა, რომელმაც ათასწლეულთა შემდგომ მოიპოვა და შეინარჩუნა ძლევამოსილი სახელმწიფო. ამ შესანიშნავი მაგალითის ბრწყინვალებით იყო აღბეჭდილი ქართულ-ებრაული ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის იუბილე, რომელიც გასული წლის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად მიმაჩნია – სწორედ იმ დიადი მაგალითის სიმბოლურობის გამო.

როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ქედს ვიხრი ჩემი ერის უდიდესი სიბრძნისა და მოთმინების წინაშე.

„ჭირსა მიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსა" – ბრძანებს ჩვენი მრავალჭირგამოვლილი, ღირსეული ერის უდიდესი შვილთაგანი. ასეთი სულმნათი, ზნეობრივი გმირების სიბრძნით მოაღწია საქართველომ დღემდე. იმავე სიბრძნითა და სიმტკიცით დავასრულებთ დაწყებულ ისტორიულ საქმეს – ქართული სახელმწიფოს მშენებლობას.

სახელმწიფოებრიობა, ანუ დამოუკიდებლობა, ყოველი ერის უდიდესი ნიჭი და სიქველეა, უდიდესი, ღვთიური ჯილდოა რწმენისა და სიმტკიცისათვის.

იმავდროულად, იგი ყველაზე მეტი ბედნიერება და სიხარულია. საქართველომ დაიმსახურა ეს სიხარული, ეს გამარჯვება და უეჭველად შეინარჩუნებს, განავითარებს, გააძლიერებს წინაპართა და თანამედროვეთა სისხლით მოპოვებულს.

სახელმწიფოებრიობა ყოველი ერის ტაძარია, რომელიც მის სულში იგება.

ჩვენ არ დავუშვებთ ტაძრის დანგრევას, არ დავუშვებთ დამოუკიდებლობის დაკარგვას.

ამ საბედისწერო, გარდამტეხ ჟამს ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, არ დავუშვებთ, არ შევურიგდებით, რომ მომავალ საუკუნეთა განმავლობაშიც ჰგოდებდნენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები დანგრეული ტაძრის „გოდების კედელთან".

მომავალი, 1999 წელი იქნება საქართველოს, ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი გაბრწყინების წელიწადი.

მინდა ვთხოვო თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ პიროვნებას, იზრუნოს საკუთარი, პირადი ბედნიერებისათვის, გააძლიეროს და გაამდიდროს თავისი ოჯახი, გზაზე დააყენოს შვილები – ამით იგი ქვეყანას გააძლიერებს, ქართულ სახელმწიფოს განამტკიცებს,ვინაიდან ქვეყნის სიძლიერე, ქვეყნის ბედნიერება მისი თითოეული შვილის ბედნიერებისაგან, პიროვნული წარმატებისა და სიხარულისაგან შედგება.

იმავდროულად კი, ძლიერი, სტაბილური, ქართული სახელმწიფო გახდება პიროვნულ მისწრაფებათა აღსრულების უმთავრესი გარანტი.

და, აქვე მინდა ვთქვა ისევ და ისევ: ესეც განუყოფელია, – განუყოფელია პიროვნული საზოგადოსაგან, უბრალო, ადამიანური ბედნიერება – ქვეყნის წარმატებისა და გამარჯვებისაგან.

საქართველო – ეს ჩვენა ვართ!

საქართველო – თითოეული მოქალაქეა, განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა, თითოეული ოჯახია, ცალკეული ადამიანია.

დაე, წარმავალმა 1998 წელმა წარიტაცოს თან ყველა ტკივილი, მასში ჩაიწრიტოს ყველა შავბნელი, უსიამო მოგონება, ხოლო თან ავიტაცოთ მხოლოდ ის ნათელი და ბედნიერი, რაც აგრეთვე იყო ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში გასულ წელს.

დაე, ახალი, 1999 წელი პიროვნულ მისწრაფებათა განხორციელებით სამშობლოს, ქვეყნის შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცების წელიწადი გახდეს.

დაე, აღსრულდეს მომავალ წელს საუკუნოვანი ოცნება და საქართველომ ამაყად შეაბიჯოს ევროპაში, ევროპის საბჭოში.

საბოლოოდ გადაწყდეს იმ გლობალური მნიშვნელობის პროექტთა განხორციელება, რომლებიც მსოფლიო-ისტორიულ ფუნქციას მიანიჭებენ საქართველოს.

დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს დავძლევთ საბიუჯეტო კრიზისის შედეგებს, განვამტკიცებთ სახელმწიფოებრივ წესრიგს, შევქმნით დამატებით პირობებს კერძო ინიციატივის, მეწარმეობის განვითარებისათვის, ახალ მძლავრ ნაბიჯებს გადავდგამთ ქვეყნის გამთლიანებისათვის.

ახალი წელი წარმატებითა და ბედნიერებით დაგბედებოდეთ, ძვირფასო თანამემამულენო!

ჩემს ხმასა და სიტყვას ვუერთებ ყველა სადღეგრძელოს, რომელიც თქვენს ოჯახში შეისმება.

გიდღეგრძელებთ ოჯახებს, მშობლებს, გვარსა და სანათესაოს, მოვიხსენიებ თქვენს მიცვალებულებს, სიხარულსა და გამარჯვებას ვუსურვებ თქვენს პატარებს – საქართველოს მომავალს.

ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულენო!

თქვენი მრავალჟამიერი იყოს!

მიჯნა

ეს წელიწადიც მიიწურა, მძიმე და შემოუსავლიანი, მაგრამ იმედისმომცემი. და მაინც როგორია იგი, მოდით განვსაჯოთ და დასკვნებიც გავაკეთოთ.

შარშან თერთმეტ თვეში ქვეყნის მრეწველობაში წარმოებულია 745,5 მილიონი ლარის პროდუქცია, წინა წელთან შედარებით 0,3 პროცენტით ნაკლები. წარმოების მოცულობა გაიზარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, გურიის მხარეებში, შემცირდა თბილისის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის მხარეების მრეწველობაში. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, მთლიანად 1998 წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1997 წელთან შედარებით 2 პროცენტით ნაკლები იქნება.

1998 წლის იანვარ-ნოემბერში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გარეშე) ძირითად კაპიტალში ინვესტირებულია 275,2 მლნ. ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 1,8-ჯერ მეტია. ინვესტიციების მთელი მოცულობის 77,3 პროცენტი უცხოური ინვესტიციების წილად მოდის.

იანვარ-ნოემბერში ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის მოცულობა წინა წელთან შედარებით 33,8 პროცენტით, ხოლო მგზავრების რაოდენობა (საქალაქო ელექტროტრანსპორტის გარეშე) 22,1 პროცენტით გაიზარდა. ტვირთბრუნვა შესაბამისად, 71,9 პროცენტით და მგზავრთბრუნვა 23,1 პროცენტითაა გაზრდილი. თერთმეტ თვეში მიღებულია 495,5 მილიონი ლარის შემოსავლები, რაც 45,6 პროცენტით მეტია წინა წელთან შემოსავლებთან შედარებით.

1998 წლის ნოემბერში წინა წელთან დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 1,3 პროცენტით შემცირდა, თუმცა, ოქტომბერთან შედარებით იგი 1,06 პროცენტით გაიზარდა. ნოემბერში გაიზარდა სურსათის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფასები, გაძვირდა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მომსახურება.

ნოემბერში ფასების საერთო დონე თბილისში გაიზარდა 1,0 პროცენტით, გორში – 3,4 პროცენტით, ბათუმში – 1,2 პროცენტით, ქუთაისში – 0,6 პროცენტით, თელავში – 0,5 პროცენტით.

დეკემბერში უცხოური ვალუტების მიმართ ლარის კურსის დაცემის და ამასთან დაკავშირებით, სამომხმარებლო ფასების მკვეთრი ზრდის გამო სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააწესა სამომხმარებლო ბაზარზე პირველადი მოხმარების ზოგიერთ საქონელზე ფასების ყოველდღიური დაკვირვება.

1-15 დეკემბრის განმავლობაში ფასი ზოგიერთი დასახელების საქონელზე ასეთი იყო:

	1 დეკ.	5 დეკ.	10 დეკ.	15 დეკ.
საქონლის ხორცი	100,0	107,7	103,1	100,0
ღორის ხორცი	100,0	98,7	100,0	97,3
ქათამი	100,0	114,3	130,2	134,9
თევზი	100,0	92,6	125,9	125,9
შესქელებული რძე	100,0	128,2	141,0	141,0
კარაქი	100,0	130,0	145,0	146,0
მარგარინი	100,0	127,3	136,4	150,0
ზეთი	100,0	147,1	161,8	152,9
ყველი	100,0	85,7	100,0	105,7
კვერცხი	100,0	123,8	128,6	136,2
შაქარი	100,0	139,7	139,7	139,7
ფქვილი	100,0	141,0	115,4	153,8
მაკარონი	100,0	135,0	140,0	140,0
კარტოფილი	100,0	100,0	110,0	120,0
სიგარეტი	100,0	136,4	136,4	136,4

წელიწადი რთული, წელიწადი იმედიანი

სტატისტიკის დეპარტამენტის შეფასებით, რომელიც ეყრდნობა დეკემბრის პირველი ოცი დღის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების გარკვეულ შეზღუდულ წრეზე დაკვირვებას, სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინდექსმა (1998 წ. დეკემბერი 1997 წლის დეკემბერთან შედარებით) 106-108 პროცენტი უნდა შეადგინოს.

1998 წლის იანვარ-ნოემბერში საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოცულობამ 1079,2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც შესადარ ფასებში 1,1-ჯერ მეტია წინა წელთან შედარებით, საცალო ვაჭრობის მოცულობის ზრდის ტემპები 1997 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია თბილისში, იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეებში; საზოგადოებრივი კვების მოცულობის ზრდის ტემპები კი – თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში.

1998 წლის ნოემბერში საქართველოს ქალაქების გასაშუალოებული ფასების მიხედვით საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 99,3 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისათვის – 87,1 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახისათვის – 172,7 ლარი. შარშან ნოემბერში საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი წინა შედარებით 1,8 პროცენტით გაიზარდა, თუმცა წინა წელთან შედარებით 6,6 პროცენტით შემცირდა. საარსებო მინიმუმის თბილისის მაჩვენებელი საშუალო ეროვნულზე 2,6 პროცენტით მეტია.

ნორმატიულმა მინიმალურმა ხელფასმა, ანუ ისეთმა ხელფასმა, რომელიც ბოლო პერიოდში არსებული სტრუქტურით ყველა სხვა შემოსავალთან ერთად უზრუნველყოფდა საარსებო მინიმუმის დონეზე ოთხსულიანი ოჯახის ბიუჯეტის არადეფიციტურობას, ასეთი ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის სექტემბერში შეადგინა 39,5 ლარი. საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა 1 (უდაბლესი) თანრიგის შესაბამისი ხელფასი (1998 წლის 1 სექტემბრიდან – 18 ლარი) ნორმატიული მინიმალური ხელფასის 45,6 პროცენტია.

შინამეურნეობებზე დაკვირვების მასალები გვიჩვენებს, რომ ბოლო პერიოდში მოსახლეობის ცხოვრების დონე ქალაქად შედარებით უფრო გაუარესდა, ვიდრე სოფლად, რაც, შესაძლოა, გაპირობებულია იმითაც, რომ ხელფასებისა და სხვა გასაცემლების მასობრივმა დაგვიანებამ უარყოფითი გავლენა ქალაქის მოსახლეობაზე უფრო მეტად მოახდინა, ვიდრე სოფლისაზე, ვინაიდან სოფლის მოსახლეობის შემოსავალსა და ხარჯებში კვლავინდებურად საგრძნობი წილი უკავია არაფულად (საკუთარი წარმოების ან უფასოდ მიღებული სურსათის მოხმარებას) შემოსავლებსა და ხარჯებს.

შარშან 1 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმებულის სამსახურებში რეგისტრირებულია 92,4 ათასი უმუშევარი. მათი რაოდენობა წინა წელთან შედარებით 35,2 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა თვესთან შედარებით 12,9 პროცენტით გაიზარდა. ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევრობის დონემ, წინასწარი მონაცემებით, 4,7 პროცენტი შეადგინა. ამასთან ერთად, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შინამეურნეობების კვლევებისა და სამუშაო ძალის შერჩევითი გამოკვლევების მიხედვით მიღებული მასალები ადასტურებენ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი რამდენჯერმე მაღალია. კერძოდ, ამ გამოკვლევის მიხედვით, უმუშევრობის დონემ შარშან მესამე კვარტალის ბოლოს მკაცრი კრიტერიუმით 7 პროცენტი შეადგინა, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით – 10,2 პროცენტი.

რეგისტრირებული უმუშევ ბის 54,9 პროცენტი ქალები, ხ ლო 45,1 პროცენტი მამაკა ბი არიან. უმუშევრების 32 პროცენტი 30 წლამდე ასაკის, ხოლო 19,8 პროცენტი – 50 მეტი წლის ასაკის.

[illegible]

საქართველოს სტატისტ
სახელმწიფო დეპარტამ

ინტეგრაცია

გზა, რომელსაც საქართველო ადგას, არის ერთადერთი სწორი გზა

ნომრის სტუმარია სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი გელა ჩარკვიანი

[illegible]

ალეკო ასლანიშვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ

სხვაობა — 600 წელი

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲘ ბიოგრაფიების ჟანრი ისტორიოგრაფიაში პლუტარქემ დაამკვიდრა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. „ბიო პალალელოი" ძველი ბერძენი გამოჩენილი პიროვნების ცხოვრების აღწერასთან ერთად გადმოსცემს მისი ბადალი რომაელი მოღვაწის ბიოგრაფიას და მკითხველს აძლევს საშუალებას ერთმანეთს შეადაროს ეს ორი ისტორიული პირი. ასე მაგალითად, თესევსის ბიოგრაფიის გვერდით აღწერილია რომულუსის ცხოვრება. ასევე დაწყვილებულია სოლონი – პუბლიკოლა, პერიკლე – ფაბიუს მაქსიმუსი, ალკიბიადე – გაიუს მარციუსი (კორიოლანუსი), კიმონი – ლუკულუსი, აგესილაე – პომპეუსი, ალექსანდრე მაკედონელი – იულიუს კეისარი, დემოსთენე – ციცერონი და სხვა. პლუტარქეს ნაშრომს უდიდესი გამოძახილი ჰქონდა მსოფლიო ისტორიაში, ამ ისტორიის განვითარების ბევრ ეტაპზე. რენესანსის ეპოქაში, თუ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს აღტაცებით კითხულობდნენ „პარალელურ ბიოგრაფიებს". შემდგომი და რამდენი უხვად დაწაფუნენ პლუტარქესეულ თემებს. აღფრთოვანებული იყვნენ ამ ნაწარმოებით ვოლტერი, რუსო, ბელინსკი, პლუტარქეს ძველი ქართული მწერლობაც კარგად იცნობდა.

ამჯერად ჩვენი მიზანია გავიხსენოთ ეს ჟანრი და წარმოვაჩინოთ პარალელურად ორი ისტორიული მოღვაწე – დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი: XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო და XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი. 600 წელი აშორებს ერთ მეფეს მეორე მეფისაგან, ერთ ეპოქას მეორე ეპოქისაგან. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ მეტად საინტერესოდ ემსგავსება ერთმანეთს ამ ორი ძველი ხალხის ისტორიაში. უმთავრესი ის არის, რომ სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია საქართველომ, ხოლო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა განსაკუთრებულ სიძლიერეს; ერთიცა და მეორე სახელმწიფოც სწორედ ზემოხსენებულ მეფეთა მოღვაწეობის დროს იქცნენ ცენტრალიზებულ ქვეყნებად. ძლიერი იყო სამეფო ხელისუფლება, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი გვაუწყებს: „.... და უწოდა მაგას მეფობაი, მამული და ახლად მოგებული ლუაწლი ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწამდე".[1] ასევე ფართოა რუსეთის საზღვრები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. აშკარად ჩანს ქვეყნის სიძლიერე პეტრე პირველის ერთ სიგელში: "Божиею поспешествующею милостию мы, пресветлейший да державиейший великий государь, царь и великий князь Петр Алексеевич, всеа Великия и Малыя и Белыя России, самодержец московский, киевский, владимирский, новгородский, царь казанский; царь астраханский, царь сибирский, государь псковский да великий князь смоленский, тверский, ёгорский, пермский[2]... და სხვა.

სწორედ პეტრე პირველის დროს დამკვიდრდა რუსეთი ბალტიის ნაპირებზე და მოიპოვა უმოკლესი სავაჭრო გზა ევროპასთან.

აი ყოველივე ამისთვის, არსებითი მსგავსებისათვის მიმოვიხილავთ დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის 600-წლოვანი ინტერვალის მოღვაწეობას.

* * *

„დავით, მეფე
აფხაზთა,
ქართველთა, რანთა,
კახთა და სომეხთა"

დავით აღმაშენებლის სამეფო ტიტული (ზედწერილი დავითის მონეტაზე, წარწერა მის ოქროს ჯვარზე).

„Божиею милостию мы, Петр Первый царь и самодержец всероссийский, и прочая, и прочая, и прочая".

პეტრე პირველის სამეფო ტიტული.





ამთავითვე მოვიხმობთ რამდენიმე ქრონოლოგიურ ფაქტს: დავით აღმაშენებელი დაიბადა 1072/3 წელს. 600 წლის შემდეგ, 1672 წელს დაიბადა პეტრე პირველი. XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი მეფედ იწოდებოდა და ნომინალურად სახელმწიფოს თანამმართველის უფლებები ჰქონდა. 600 წლის შემდეგ, 1682 წლიდან, პეტრე პირველიც ნომინალურად შეუდგა ქვეყნის მართვას. 1089 წელს დავით აღმაშენებელი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა. 600 წლის შემდეგ, 1689 წელს პეტრე პირველი რუსეთის ფაქტობრივი ერთმმართველი შეიქმნა. დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. 600 წლის შემდეგ, 1625 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა პეტრე პირველი.

ახლა კი, ამ მეტად საინტერესო დამთხვევებს მიღმა, უფრო ღრმად გადავიხედოთ საქართველოსა და რუსეთის წარსულში.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲤᲝᲑᲐ

XI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ მეორე ნახევარში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი მიზეზიც თურქული მოდგმის ტომების – სელჩუკების გამოჩენა იყო. სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წ.წ.) არაერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები მხნედ ებრძოდნენ მომხდურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეკიდებინათ. სელჩუკთა შემოსევები დიდ ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს. საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი იყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები XI საუკუნის 80-იან წლებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მტრები „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი... მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი".[1] ასეთი უბედურება საქართველოს არასოდეს ენახა. სელჩუკები არსებითად განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობლებისაგან (ბიზანტია, არაბეთი). ისინი მომთაბარეები იყვნენ და ამიტომ დაპყრობილ ადგილებზე სახლდებოდნენ. ეს კი თავის მხრივ ხელს უშლიდა ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, მას საფუძველს (მიწას) აცლიდა და ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად დიდი მოძალეობისა, საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა კისერზე – გიორგი II (1072-1089 წ.წ.) სულთანის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკს იხდიდა, თანაც მეფე სულთანს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. მშვიდობიანობა მაინც არ ჩანდა – მომთაბარე თურქების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად მატულობდა.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი ჩანს მეფის თანამმართველი. დავით გარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილ 1085 წელს მინაწერში იგი უკვე მეფედ და სევასტოსად იხსენიება: „დაესრულა საწელიწადო საწინასწარმეტყველო წესსა, ზედა ბერძულსა, ახალთაგმნილი წ სა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლო. მე სულითა საწყალობელმან ევნატი დავწერე წ ა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის, სალოცველად ღვთით-გვრგვინოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთამეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა".[2] ბუნებრივია, ქვეყანას განაგებდა მეფეთა-მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად სამეფოს მართვის ნომინალური უფლებები მის მცირეწლოვან შვილსაც ჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული – გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი – შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი.

* * *

რა მდგომარეობაა XVII საუკუნის რუსეთში? რუსეთი უცხოელ ინტერვენტთა თავდასხმის ობიექტადაა ქცეული. მას არ გააჩნია არც მოსახერხებელი საზღვაო ნავსადგურები, არც განვითარებული მრეწველობა, არც გაწვრთნილი არმია და ფლოტი. რუსეთის სახელმწიფო ძალზე ნელა ვითარდება. 60-70-იან წლებში მას აშკარა საფრთხე შეექმნა თურქეთის მხრიდან. ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც მარჯვენა ნაპირის უკრაინის ჰეტმანი დოროშენკო თურქეთის მხარეზე გადავიდა, პრეტენზია განაცხადა მთელს უკრაინაზე. ერთი სიტყვით, რუსეთს სჭირდებოდა ქმედითი ღონისძიებების გატარება თურქეთის წინააღმდეგ, საერთოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება...

.. 1672 წლის 30 მაისს კრემლის ტაძართა ზარებმა მოსახლეობას უფლისწულის დაბადება აუწყა. ეს უფლისწული პეტრე გახლდათ, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის შვილი. პეტრე 42 წლის ალექსი მიხეილის ძეს შეეძინა 21 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინასთან ქორწინების შემდეგ. ვაჟის შეძენა სასიხარულო იყო მეფისათვის იმიტომაც, რომ მას პირველ ცოლთან მარია ილიას ასულ მილოსლავსკაიასთან შეძენილი ხუთი ვაჟიდან – სამი მცირეწლოვანი გარდაეცვალა, თევდორე და ივანე კი ავადმყოფები იყვნენ. პეტრეს დაბადება ზარ-ზეიმით აღინიშნა. ოთხი წლისაც არ იყო იგი, რომ ალექსი მიხეილის ძე გარდაიცვალა და მისი ადგილი 1676 წელს თევდორემ დაიკავა. უფრო სწორად, იგი ბოიარებმა ხელით გამოიტანეს და მეფედ გამოაცხადეს. 1682 წელს თევდორე ისე გარდაიცვალა, რომ შთამომავლობა არ დაუტოვებია. ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ივანე ან პეტრე. ერთსაც და მეორესაც თავიანთი მომხრეები ჰყავდათ. ივანეს მხარს უჭერდნენ ალექსი მიხეილის ძის პირველი ცოლის ნათესავები, რომელთაც სათავეში ედგა ბოიარი ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკი. ამ დაჯგუფებაში დიდ როლს თამაშობდა მეფის ასული სოფიო – ენერგიული და უფლებამოყვარე ქალი, რომელიც თვითონ ოცნებობდა სამეფო გვირგვინზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, როგორც უფროსს, ივანეს ეკუთვნოდა ტახტი, პატრიარქის წინადადებით მეფედ პეტრე გამოაცხადეს და რეგენტად დედამისი ნატალია ნარიშკინა დაუნიშნეს. ეს უკანასკნელი, როგორც მისი თანამედროვე თავადი ბორის ივანეს ძე კურაკინი გადმოგვცემს, იყო „Доброго темпераменту, доброжелательного, токомо не была ни прилежная и не искусная в делах и ума легкого".

სასახლის კარზე საქმის ვითარება იმგვარად წავიდა, რომ სტრელეცთა მოთხოვნით სახელმწიფოს მართვა ორივე ძმას –პეტრეს და ივანეს დაეკისრათ, მათივე დაყენებით ძმების მცირეწლოვანების პერიოდში სახელმწიფოს ფაქტობრივი გამგებელი მეფის ასული სოფიო გახდა. ამდენად, 1682 წლიდან, 7 წლის მანძილზე, პეტრე მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა რუსეთის მეფედ.

ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲑᲐ

XI ს. 70-80-იან წლებში ძლიერდება მეფის მოწინააღმდეგე ძალები – საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ გამოდიან დიდგვაროვანი ფეოდალები. საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითების გზას ადგა. ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი – მთელი წლის განმავლობაში დიდ მიწისძვრებს მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ყოველივე ამან საქართველოს მოსახლეობაში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი II ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს („ბუნებით მოწყალე დასახიერი ღმერთი ესეოდნენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა").[1]

ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ჩანს, გარკვეული ზეწოლის შედეგად, მოხდა ცვლილება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II 1089 წელს გადადგა სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დაიკავა დავით გიორგის ძემ, ისტორიაში აღმაშენებლად წოდებულმა. „ბნელსა უკუნსა შინა, – გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი, – იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან დავით" (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 323-324).

მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად თექვსმეტი წლის დავითს: სელჩუკებისაგან აკლებული და განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები: „მოოხრებული იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა".

ქვეყნის მოსალონიერებლად გადამჭრელი ზომების მიღება იყო საჭირო.

* * *

ᲠᲝᲒᲝᲠ მიდიოდა პეტრეს ცხოვრება 7 წლის მანძილზე – მისი ნომინალური მმართველობის დროს? იგი დედასთან – დედოფალ ნატალიასთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვის მახლობლად სოფლებში – ვორობიოვოში, კოლომენსკოესა და პრეობრაჟენსკოეში. სასახლის კარზე პეტრეს, ისე როგორც მის ძმას ივანეს, მხოლოდ დეკორატიული როლი ჰქონდათ განკუთვნილი: ესწრებოდნენ სხვადასხვა ზეიმებს, ელჩების მიღებას, მონაწილეობდნენ საეკლესიო ცერემონიალებში. ძმებისათვის ორადგილიანი სამეფო ტახტი დაამზადეს. ქვეყანას, ფაქტობრივად, სოფიო განაგებდა.

პეტრეს 17 წელიც არ შესრულებოდა, რომ დედამისმა მისი დაქორწინება გადაწყვიტა. ნატალია ნარიშკინას ვარაუდით, ქორწინების შემდგომ სრულწლოვან და სრულფასოვან მეფეს მისი დის მეურვეობა აღარ დასჭირდებოდა და პრეობრაჟენსკოედან კრემლის პალატებში გადასახლდებოდა.

დედამ თვითონ შეურჩია შვილს საცოლე – ევდოკია ლოპუხინა, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით მეტად ლამაზი ყოფილა („лицом изрядная, токомо ума посреднего и нравом несходного своему супругу").

ურთიერთობა პრეობრაჟენსკოეში მყოფ პეტრესა და კრემლს დაპატრონებულ სოფიოს შორის თანდათან მწვავდებოდა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, როცა ოფიციალურ აქტებში დაიწყეს სოფიოს მოხსენიება („Благоверной царевны и великой княжны Софьи Алексеевны"). სოფიო აშკარად ამზადებდა სასახლის გადატრიალებას იმ მიზნით, რომ პეტრესათვის მეფობის უფლებები აეყარა. 1689 წლის 7 აგვისტოს ღამით პეტრე იძულებული გახდა დაეტოვებინა პრეობრაჟენსკოე და სერგი-სამების მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. პეტრეს გაქცევამ განგაში გამოიწვია მოსკოვში. სოფიო ამაოდ შეეცადა ძმასთან შერიგებას. ვერც პატრიარქის მოციქულობამ მოაგვარა საქმე, რადგან ეს უკანასკნელი პეტრეს დიდ პატივს სცემდა და მასთან დარჩა. სოფიოს მომხრეები გაიფანტნენ, პეტრეს ირგვლივ კი თავი მოიყარეს მისმა ერთგულმა ჯარებმა. პეტრე და მისი მომხრეები მდგომარეობის ბატონ-პატრონები შეიქმნენ. მეფე მოსკოვისკენ გამოემართა. მას მიწაზე განრთხმული ეგებებოდნენ ერთ დროს სოფიოს მომხრე სტრელეცები და შეწყალებას სთხოვდნენ. პეტრემ აღრიანად გამოუგზავნა წერილი ივანეს, სოფიოს ხელისუფლებიდან ჩამოცილების შესახებ: „Срамно, государь, при нашем совершенном возрасте тому зазорному лицу государством владеть мимо нас".

ამგვარად, პეტრე 1689 წელს 17 წლის ასაკში, ქვეყნის ფაქტობრივი ერთმმართველი გახდა.

ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ).

---

[1] *ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1065, გვ. 19.*

[2] *Полномочная грамота И. Х. Урбиху и австрийскому императору Карлу VI, Письма и бумаги императора Петра Великого, т. XII, 1975, стр. 217.*

[1] *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 318-319.*

[2] *თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 232.*

[1] *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 323.*

ᲒᲝᲒᲚᲐᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ

„როგორც ხმალი, მზებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია"

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ მანქანაში სამნი ვსხედვართ – საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში გია არსენიშვილი, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი ტატო ლასხიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

გზაში საუბრის თემა პრეზიდენტის რწმუნებულის საქმიანობის საახალწლო აქცენტებია – გუბერნატორი თოვლის პაპას ამპლუაში.

სწორედ საახალწლოდ გია არსენიშვილმა თავისი ფონდიდან (როგორც შეძლო და ვისაც გასწვდა) ფული დაურიგა – სკოლა-ინტერნატებს, ორგანიზაციებს.

ყველა ფულს ითხოვს, არსენიშვილი არიგებს.

– საიდან ასეთი არსენას ხელგაშლილობა – „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა"?

– მდიდრებს არ ვართმევ, გვაძლევენ თვითონ... რწმუნებულის ფონდი სხვადასხვა წყაროთი ივსება. ჯერ ერთი, რაიონები ძალიან მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც მირიცხავენ, და მე ამ სახსრებს ვინახავ. მეორე: კანონით, ფონდის შევსება შეიძლება შემოწირულობებით. უმეტეს წილად, უცხოეთის ფირმების წარმომადგენლები, რომლებიც კახეთის ტერიტორიაზე მუშაობენ, თავიანთი შეხედულებით და, ხანდახან, – მიზნობრივად გვაძლევენ ხოლმე სახსრებს. მაგალითად, ალავერდის ფონდში დევიდ რობსონმა, ინგლისური „კანარგოს" პრეზიდენტმა, საქართველოს დიდმა მოყვარულმა 35 ათასი დოლარი ჩაგვირიცხა. გარკვეული ოდენობის სახსრები გადმოგვეცეს ფირმებმა „ფრონტერამ", „რამკომ" და ასე შემდეგ.

ფული, რომელზეც ვსაუბრობთ, დევიდ რობსონის გაღებულია [illegible] შეხვედრისათვის წინანდალში. ის შეხვედრა, მოგეხსენებათ, გაიმართა, ცოტაოდენი სახსარი მორჩა და ძირითადად, სკოლა-ინტერნატებს ვურიცხავთ: თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, გურჯაანის ბავშვთა ცერებრალურ დაავადებათა სკოლა-ინტერნატს 1000-1000 ლარს, გაზეთებს – „ჩვენს მხარეს", „თელავის მოამბეს" – 500-500 ლარს. ახლა ყველას უჭირს და საშუალება რომ გქონდეს, სხვებსაც გადავურიცხავდით...

რუსთაველის თეატრის გადასარჩენად 1.000 ლარს ჩავრიცხავთ.

კაჭრეთის ბავშვთა გამანაწილებლისთვის ჩვენი თხოვნით ცნობილმა ბიზნესმენმა ზურაბ ტყემალაძემ ათასი ლარი გაიღო, და მისი შვილი ამ ფულს პირადად გადასცემს.

არ დაგიმალავთ, კიდევ დაგვრჩა მცირედი, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, – შავი დღისათვის.

– პრესას რომ მიეცით ლარები, ხომ არ გაიგებენ ისე, თითქოს „იყიდეთ" თავისუფალი სიტყვა?

– არა მგონია, რადგან ეს გაზეთები ბეჭდავენ ჩვენს ოფიციალურ მასალებს. წესით, უნდა ვუხდიდეთ კიდეც. პრესას ძალიან უჭირს. თუმცა, ვისაც როგორ სურს, ისე გაიგოს. ეს უკვე აზროვნების, გემოვნების და ზნეობის სფეროდანაა...

ამაზე ვსაუბრობდით. მთავარი თემა კი, რომელმაც თბილისიდან კახეთისაკენ დაგვძრა ახალი წლის კვირაძალს, გიორგი ლეონიძის 100 წლის იუბილეა, რომელიც 1999-ში აღინიშნება და ჩვენც პირველი კალი უნდა გაგვეკრა.

მაგრამ პატარძეულელებმა დაგვასწრეს...

ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲘᲡ გადასახვევთან საგარეჯოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე თენგიზ ოქროსცვარიძე და ადგილობრივი სხვა ხელმძღვანელები გვეცდიან. ფეხდაფეხ არჩილ გოგელიაც შემოგვეერთდება, პირველი არხის გენერალურ დირექტორთან გიორგი ლეონიძესთან ერთად (დიახ!). და [illegible] მოულოდნელად თავს დავესხმებით საქართველოს ლექსის [illegible] მშობლიურ კუთხეს.

იმას ვამბობდი, პატარძეულელებმა დაგვასწრეს-მეთქი: გუშინწინ შეკრებილან, წლეულს დაწურული ღვინით უდღეგრძელებიათ გოგლა ლეონიძე – ბუმბერაზი პოეტი, მეცნიერი, ადამიანი, თანასოფლელი, ბოლოს და ბოლოს.

სახლ-მუზეუმისთვისაც მიუხედავთ (ეს – ადრე) – სახურავი შეუკეთებიათ, აივნის სვეტები და კიბეები გაუმაგრებიათ.

ბევრი არაფერი? მაგრამ ამ მეჭირვების ჟამს ბევრი სოფელი დაიტრაბახებს ასეთი „ბევრი არაფრით"?

ნათია ფიცხელაური (ჩამოსახლებული მთიულებიც ცხოვრობენ პატარძეულში), ექსკურსიამძღოლი, აღელვებისგან ხმა რომ უთრთის (ამდენი სტუმარი ერთად!), გიორგი ლეონიძის ცხოვრებაზე გვესაუბრება.

ილაპარაკე, ახალგაზრდა ქალო, ბევრჯერ და ბევრჯერ მოგვესმენია დიდი პოეტისა და მამულიშვილის შესახებ, მოგვისმენთ შენც და ჩვენს მოგონებებს გავყვებით.

ის დღეებიც გაგვახსენდება, ამ თხუთმეტიოდ წლის წინათ, მაისის ბოლოს სოფლის ხასხასა მინდორზე უამრავი ხალხი რომ იყო შეკრებილი და გოგლას პოეზია ზეობდა.

პოემა მძლავრი, ღონიერი, ალმაცებული, მოულოდნელი მეტაფორები, სიტყვის დღესასწაული, და ყველგან, ყოველ სტრიქონში სამშობლოს გრძნობა, მშობლიურის, საკუთარის და ყოვლისთვის – მოულოდნელი, მაგრამ ჭეშმარიტი და ერთადერთი – დიდი ხელოვნების პარადოქსი:

ეს მშობლიური ღამე ვიცანი,
როდესაც გული ეძლევა
ზუზუნს,
ცაა – გათლილი ნაძვის
ფიცარი,
დნება ვარსკვლავი –
პატარა ძუძუ.

ცვივა ტყეებზე ოქროს
მანანა,
ციცინათელები არბევენ არაგვს
და ორი ტურა:
ქილილა, დამანა,
სოროში ჯერით
ამბობენ არაკს.

(„ᲥᲘᲚᲘᲚᲐ, ᲓᲐᲛᲐᲜᲐ").

ეზოში თამაზ ფიცხელაური გველოდებოდა, გითხარით, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან – გოგლას ასე უყვარდა.

– მეგობრებო და კეთილო ადამიანებო! გუშინწინ ბატონ გოგლას შეუსრულდა 99 წელი და მშობლებმა ჩემი თამადობით დიდი დაბადების დღე გადაუხადეს. კიდევ და კიდევ მოგონება, არდავიწყება ყოფილიყოს იმ დიდებული ვაჟკაცისა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ამ სოფელში დაიბადა. დიდება ყოფილიყოს მისი!

გოგლას პოეზიით გაიქლინთა ყველაფერი და გალამაზდა. იმ დღის ყველა თემა მისით იწყებოდა და მისით მთავრდებოდა.

მოგონებები, შთაბეჭდილებები, შეფასებები, პრობლემებიც კი.

მაგალითად, ბარე 15 წელიწადია, გიორგი ლეონიძის ლექსების კრებული არ გამოცემულა; დღეს, პოეზიის მოყვარულთათვის, ვგებ, ყველაზე დიდი დეფიციტი მისი წიგნებია, რაც მოყვარულ პოეტთა ნედლი წიგნების სიუხვის ფონის სამწუხარო კონტრასტია.

ყველას გაუმართლოს, მაგრამ საეჭვო რითმების ამ ზღვის ქაფიდან, ვეჭვობ, დაიბადოს [illegible], აი, ასეთი ღმერთივით სტრიქონები:

მოდი, მომხვიე ხელი
ჭრილობას,
ვეღარა გხედავ,
სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე
ქვაბს ოხშივარი
ქართლის ხეობებს
ასდის ნისლები...
მოდი!
გეძახი ათას წლის მერე.
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის
ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა.

(„ᲧᲘᲕᲩᲐᲦᲘᲡ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ").

1999 წელს გოგლა ლეონიძის დიდ შემოქმედებასთან ახალი პაემანისთვის ემზადება კახეთის მხარე. ფრიად საინტერესო და მასშტაბური ღონისძიებების განხორციელებას აპირებს მთელი წლის განმავლობაში გია არსენიშვილი, – პოეზიისა საერთოდ და კერძოდ, ლეონიძის შემოქმედების მოყვარული და ჩინებული მცოდნე.

დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ტელე და რადიო გადაცემები მოფიქრებული აქვს ტელერადიოკორპორაციას, არჩილ გოგელია მაისისთვის წერილების ციკლს დაჰპირდა „საქართველოს რესპუბლიკისთვის", „სვობოდნაია გრუზიაც" მონდომებით ემზადება.

რაღა თქმა უნდა, მწერალთა კავშირი პირველ სიტყვას იტყვის.

ამ საკითხებზე იყო დაინტერესებული საუბარი 29 დეკემბერს პატარძეულსა და საგარეჯოში – ადმინისტრაციის შენობაშიც და, წარმოიდგინეთ, „[illegible]", რომელიც კახელებმა ჩვეული გულუხვობით ტრადიციულ და არა ეგზოტიკურ ხილად გვახილეს.

ჭაჭიდან არყის გამოხდით, ნასუქი ღორის დაკვლით გლეხი ამთავრებს წლის ჯაფას და გაზაფხულზე მიწასთან [illegible] შეჭიდების ახალი ციკლის დაწყებამდე, თავს დასვენების უფლებას აძლევს.

ამოსუნთქვასავით არის „[illegible]", წელში გამართვასავით, კი იყო მძიმე და ძნელი, არნახულად [illegible] მილეული წელიწადი, მაგრამ ხომ დამთავრდა?

დამთავრდა და ასწია [illegible] ხმა წვეთწვეთად გამო[illegible]ლი „აკუმულირებული [illegible] ენერგიით" სავსე ბროლის ჭიქა, და სურვილების კრიალოსნად მოვაყადა ჯაჭვი პირველნახადის: ფუუთქდება, აბა, რას იზამს ჯამი:

ნინოწმინდა... პალატები
მეფეთა...
გალავანში – ჯამი
აფუთქებული;
შენი სახე რისთვის
შემომეფეთა,
ხატი იყავ – [illegible]
დაქალებული.

(„ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ").

ასე სხვა ვინ იტყოდა გოგლას მეტი?!

გაზაფხულის განწყობილებამ [illegible] ზამთარი, [illegible] სხვა პოემის:

ჩქარა ხნავი...
ქარი ხნავს...
დაცემული ფურცელი!
[illegible]
გულის [illegible]
მოდი და გაუძლე.

(„ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ").

დღეს სხვა ტკივილს უძლებს გული – ქვეყნის და ხალხის [illegible] გამო. გაუძლებს, რადგან [illegible] აფრინდა შავი ყორღანებიდან.

ყორღანებიდან
გნოლივით აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ახლა ალესქე!
მუხრანის ხიდთან
ჩასაფრებული
[illegible] იარაღს.

(„ᲧᲘᲕᲩᲐᲦᲘᲡ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ").

იარაღის ასხმის ჟამია, ვინ როგორითაც [illegible] გზას გაკაფავს ხვალინდელისკენ, ვინ როგორადაც [illegible] – მომხდურ ყივჩაღს, მსოფლიო ეკონომიკის ტრამალებიდან რომ შემოგვევსია.

* * *

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ლეონიძის სახლ-მუზეუმის მეორე ოთახში (სულ ორად-ორი ოთახია), ერთ კედელზე ლეონიძეების დიდი ოჯახის წევრების ფოტოსურათებს შორის ლევან ლეონიძის, გოგლას ძმის ფოტოც არის – ცნობილი მიკრობიოლოგის, რომელიც 37 წლის რეპრესიებს შეეწირა.

აი, ამ პიროვნებამ, მამაჩემის მეგობარმა დამარქვა სახელი, რომელსაც მადლიერების გრძნობით ამ წერილს ვაწერ –

ᲐᲠᲩᲐᲖ ᲡᲐᲮᲔᲩᲛᲚᲘᲫᲔ.

1998 წლის 29 დეკემბერი.

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

ქართველი მწერლის საახალწლო ჩანაწერებიდან

ედუარდ შევარდნაძე — წმინდა გიორგის ორდენის რაინდი

I. წმინდა გიორგის პირველი რაინდი საქართველოში

1998 წელს — ვეფხვის წელიწადს ედუარდ შევარდნაძეს, ქრისტიანობაში გიორგის, წმინდა გიორგის ორდენის რაინდობა უბოძა ევროპამ.

წმინდა გიორგი ახატია ჩვენს ეროვნულ გერბს.

გეორგია — ჰქვია ჩვენს სამშობლოს — საქართველოს. წმინდა გიორგის ორდენის რაინდია — საქართველოს პრეზიდენტი. ყველაფერი კანონზომიერი და გონივრულია.

II. მეოცე საუკუნის მისტიკური ორი იქსი

XX საუკუნე — ორი იქსით იწერება. „იქსი“ ჯვრის მოდიფიკაციაა, ჯვრის საიდუმლოც არის ჩაქსოვილი იქსში.

XX საუკუნის პირველი იქსი ის ჯვარია, რომელზეც გააკრეს ქრისტე. მეორე იქსი კი ის ჯვარი, რომელზეც თვითონ ქრისტე გააკრავს ყველა ცოდვილს მეორედ მოსვლის ჟამს, პირველ რიგში, ყველა თანამედროვე იროდს, ყველა კაიაფას და ყველა პონტი პილატეს... მეტად გაიზარდა ამ უკეთურთა რიცხვი ბოლო 2000 წლის მანძილზე!

III. რომის პაპის ქართული და იოანე ზოსიმეს მესიანური ლექსი

რომის პაპი იოანე-პავლე II ქართულ ენაზეც მიესალმა წელს კაცობრიობას, ქრისტიანულ მსოფლიოს, კაცთა მოდგმას ქართულ ენაზეც მიულოცა შობა-ახალი წელი.

ეს საოცრად მენიშნა.

იოანე ზოსიმე გამახსენდა: იესო ქრისტე მეორედ მოსვლისას ქართულ ენაზე განიკითხავსო მსოფლიოს.

იქნებ უკვე დაიწყო ახდომა იოანე ზოსიმეს მესიანურმა წინასწარმეტყველებამ?!

ამოუძირკვავია ადამიანში მესიანური ფესვი.

IV. ქრისტეს აკვანი მუსლიმანთა ხელშია. სად არიან ჯვაროსნები?

ამ ახალ წელს ქრისტეს წმინდა ქალაქში — ბეთლემში არაფატის არაბი მუსლიმანები ბატონობენ.

მუსლიმანების ტყვეობაშია ქრისტეს აკვანი.

ყრმა ქრისტეს იროდი სდევნიდა, გოლგოთაზე ქრისტე პონტი პილატემ აიყვანა. დღეს კი ღვთის აკვანთან ალაჰი და მუჰამედი მღერიან „ავე მარიას“... ქრისტიანული ბეთლემის ათ ქრისტიანულ ტაძარში, მუსლიმანთა საშიშ გარემოცვაში, ზეიმობენ ქრისტიანები ქრისტეშობას და ახალ წელს.

შუა საუკუნეებში ქრისტეს საფლავის დასახსნელად წამოწყებულმა ჯვაროსნულმა ომებმა მსოფლიო შეაზანზარეს. XX საუკუნეში კი ქრისტეს აკვანს ისე დაეუფლნენ მუსლიმანები, საქრისტიანოში ერთი ფილთა თოფიც არ გავარდნილა.

ქრისტეს აკვანის დაკარგვით ცა რაღაცას გვამცნობს, მაგრამ დღეს ადამიანს ცის და ღმერთის კი არა, ადამიანისა არაფერი ესმის...

V. ფიქრები სინაის მთაზე და მოსეს ათ მცნებაზე

ამ წელს სინაის მთაზე ვიყავი. „არა იპარო“, — იქ ბრძანა პირველად ღმერთმა. ესენი მაინც ქურდობენ. „არა კაც ჰკლა“, — თქვა იქ ღმერთმა. ესენი მაინც დღემდე კლავენ კაცს. „არა იმრუშო“, — სინაიზე მოითხოვა ღმერთმა. ესენი მაინც დღემდე მრუშობენ. უფრო მეტიც.

ვინც იპარავს, პატიოსანს აზის თავზე.

ვინც კაცს კლავს, მოსამართლედ ზის.

ვინც მრუშობს, ქალწულზე მეტ პატივშია.

ო, ტემპორა, ო, მორეს! მაგრამ ცოდვილთა და ბოროტთა ზედა აღმართულია წმინდა გიორგის მახვილი.

VI. ღმერთი არ დაჯდება სატანის სუფრაზე

ახალი წლის ღამეს ყველა ოჯახში იშლება სუფრა...

მე ვლოცავ ყველა კეთილი ოჯახის სუფრას.

ეს ქრისტეს სუფრაა.

მე შევარცხვინე ყველა ის ოჯახი და ის სუფრა, რომელიც ნაქურდალი და ნაყაჩაღარი ფულით იშლება. სადაც ნაქურდალს ჭამენ და ნაყაჩაღარს სვამენ ორფეხა ნადირები...

ფუჰ! ეს მდიდარი, მაგრამ ყაჩაღ ბარაბას სუფრაა.

ეს სატანის სუფრაა.

სატანის სუფრაზე მაძღრობას, ქრისტეს სუფრაზე შიმშილი სჯობს. ხორცი თუ არა, სული მაინც გადარჩება.

ვაგლახ, ახალი წლის ღამეს უფრო ბარაბას ნაქურდალით და ნაყაჩაღარით მასპინძლობენ ერთმანეთს, ვიდრე ქრისტეს პურით და ღვინით.

საცოდავი პლატონი! სუფრა ხელოვნების ერთ-ერთი დარგიაო. ამ ფრაკიან და სმოკინგიან ცხოველთა სუფრას რა აქვს საერთო ფილოსოფიურ „ნადიმთან?!“

მაგრამ ახლო არს ჟამი... წმინდა გიორგის ცხენის ჭიხვინს აპოკალიფსის ოთხი მხედრის ჭიხვინი ერთვის... ახლო არს ჟამი...

VII. შექსპირი ამბობს დღევანდელ სათქმელს

ამაღამ ღმერთი რომ გამომეცხადოს და მკითხოს: როგორაა დედამიწაზე საქმეებიო, მე პასუხად წავუკითხავდი მას შექსპირის 66-ე სონეტს:

ყველაფრით დაღლილს,
სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა
ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა
ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების
გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსმართლოდ
დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა
უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ
უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა
კოჭლმა დროებამ,
რადგან უწმიდეს ხელოვნებას
ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი
ბრძნობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ
ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების
ტყვედ ჩავარდნილა, —
ასე დაღლილი,
ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი
სატრფო ობლად რომ დარჩეს.

აღმართულია წმინდა გიორგის ბიბლიური მახვილი ბოროტთა ზედა... და ის მახვილი წმინდა გიორგის რაინდის მარჯვენას უჭირავს...

VIII. ვეფხვის წელიწადის ფსევდორუსთველური აფორიზმები...

მიმდინარე წელი ვეფხვის წელია და ამიტომ ადამიანებს „ვეფხისტყაოსანის“ ასოციაციები მოეძალათ.

რუსთაველიც სხვაგვარად იკითხება დღეს. ფინანსთა სამინისტროს კარებზე ეწერა:

„რასაც არ გასცემ, — შენია, თუ გასცემ — დაკარგულია“.

ერთ საკრებულოს კარებზე ამოვიკითხე:

„კეთილსა სძლია ბოროტმან, — არსება მისი გრძელია“.

დიდი სალაყბოს კარებზე კი ასეთი სტრიქონები ამოეკვეთათ:

„მოკლე სიტყვა
გრძელად ითქმის,
შარი არის ამად კარგი.
აქ ბევრია უვარგისი.
ცოტაა არის კაცი ვარგი.
აქ პლატონზე მეტად ფასობს
სმა-ჭამა დიდად შესარგი“.

ეს სიზმარი იყო, ღმერთმა ცხადად ნუ აქციოს ეს ყველაფერი.

ილია ჭავჭავაძის აჩრდილი გამომეცხადა: „აბა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ წუხდა ილიას ლანდი.

IX. პრუდონი, ფილოსოფია და ფულოსოფია, ფულოლოგია და ფილოლოგია

ახირებული კაცი იყო პრუდონი. ის ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი კერძო კაპიტალი — ნაქურდალი კაპიტალიაო. (ყველაზე კანონიერი კაპიტალიც კი!).

ახლა ვრწმუნდები, რომ ეს ასეა. საქართველოში ძირითადად ქურდებმა და ყაჩაღებმა შექმნეს მქონებელთა კლასი. აქა-იქ ურევია მათ პატიოსანი კაცი.

ფილოსოფიის სიღატაკეს და ღატაკთა ფილოსოფიას თურმე კაპიტალისტთა უფილოსოფიო თავი და ფულიანი სქელი ჯიბე სჯობს.

ფილოსოფიას, ერთი ბრძენისა არ იყოს, დღეს **ფულოსოფია** სჯობია.

თუ **ფილოსოფოსი ფულოსოფოსი** გახდება, — პარლამენტშიც კი აირჩევენ, მაგრამ თუ ფილოსოფოსი მხოლოდ ფილოსოფოსად დარჩება, პროფესორიც რომ იყოს, **ფულოსოფოსები** ასეთ ფილოსოფოსს საკუთარი კათედრიდანაც ჩამოალაბორანტებენ.

იგივე ითქმის **ფილოლოგიისა და ფულოლოგიის** თაობაზე.

შალვა ნუცუბიძის ამ სიტყვათა თამაშში, ამ ხუმრობაში მეტი ჭეშმარიტებაა, ვიდრე მავანის დისერტაციაში.

X. კვო ვადის? ანუ საით მივქრივართ საათში 66 ათას 800 მილის სისწრაფით?

პლანეტა დედამიწა ახალი წლის ღამეს, ისევე როგორც ყოველდღე, კოსმოსში მიფრინავს მზის გარშემო საათში 66.800 მილის სიჩქარით. ეს ფანტასტიკაა და იმავე დროს — რეალობა.

ჩვენ ყველანი კოსმონავტები და ასტრონავტები ვართ, მაგრამ ვერა ვგრძნობთ ამას. სწორედ იმ ვირტუალურ, „ვერ აღქმად“ — სივრცეშია ღმერთის ადგილი.

ჩვენ 66.800 მილით საათში ვმოძრაობთ, რომ ზამთრიდან მოვხვდეთ გაზაფხულში, გაზაფხულიდან — ზაფხულში, ზაფხულიდან — შემოდგომაში, შემოდგომიდან — ზამთარში...

ნიცშემ ამ ბრუნვაში ჰპოვა წასვლისა და მობრუნების თეორია.

მე კი ახალი წლის ღამეს კანტი უფრო მომწონს: „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში“...

იმანუელი ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი!

ჩვენთან არს ღმერთიც და წმინდა გიორგის რაინდიონიც.

XI. მრავალჟამიერ, მრავალ ახალ წელს!

ახალი წლის დღეებში აინთო პრეზიდენტის სასახლეში პრეზიდენტის ნაძვის ხე. პრეზიდენტის ნაძვის ხე — ეს არის თავისებური ბიბლიური ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა, ეს არის ბიბლიური სიცოცხლის ხის ამქვეყნიური ანალოგი. პრეზიდენტის ნებით იმ ხის ძირას ბავშვთა სამოთხეა...

იესო ქრისტე ამბობს: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო.

ძველი აღთქმიდან მოსე ათი აღთქმით გვეხმიანება.

მე კი ნაძვის ხესთან ვდგავარ, ვითარცა სამასმეერთე არაგველი და ვეუბნები ყველა ქართველს: „გიყვარდეს საქართველო სიცოცხლეზე მეტად!“ „მამული, ენა, სარწმუნოება — ყველაფერზე მაღლა!“

მრავალჟამიერ! მრავალ ახალ წელს!

* * *

რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს დღევანდელ საქართველოს, უკეთეს მომავალს ის მხოლოდ წმინდა გიორგის ორდენის რაინდის, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით მიაღწევს. სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

ლადო ალფენიძე,
მწერალი, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატი.

1998 წლის 31 დეკემბერი.

პროკურატურა

რევერანსების დრო დამთავრდა!

(პირველი გვერდიდან)

რად გვინდა ასეთი კატა?

შარშან, 11 თვეში საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამმართველომ გამოავლინა სამართალდარღვევათა 367 ფაქტი. აქედან, კონტრაბანდისა და დიდი ოდენობით საბაჟო გადასახადისაგან თავის არიდების გამო, მოკვლევის შედეგად, 22 ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამასთან, მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულია 1512789 ლარი.

მართალია, ეს მონაცემები ოდნავ აჭარბებს წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს, მაგრამ სადღეისოდ იგი ვერავითარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. პირიქით, ოპერატიული სამმართველოს მუშაკთა საქმიანობა ზოგჯერ ზიანსაც კი აყენებს სახელმწიფოს გაძლიერების, ბიუჯეტის შევსების ინტერესებს, ხელს უწყობს ჩვენში ფინანსური კრიზისის გაღრმავებას, ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავებას.

დეპარტამენტის ოპერატიული სამმართველოს 11 სექტორიდან 7 სექტორს გამოვლენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის მხოლოდ თითო ფაქტი. საერთოდ არაა გამოვლენილი ნავთობის, სიგარეტის, სპირტის კონტრაბანდის არც ერთი ფაქტი. და ეს მაშინ, როცა მთელი საქართველო წალეკა სწორედ ამ სახეობის საქონელთა უკანონო შემოტანამ და ლაღმა რეალიზაციამ.

სულ საქართველოში სადღეისოდ რეგისტრირებული ყოფილა 9000 ნარკომანი. აქედან, ოპიუმის მომხმარებელია 4500. დღეში მათ სჭირდებათ 2 კილოგრამი ნარკოტიკი, თვეში — 60, წელიწადში კი — 720. საბოლოო ჯამში, ამ წონის საწამლავს სჭირდება 360 მილიონი ლარი. აი, რა წონის და რა თანხის ოპიუმი ტრიალებს ქვეყანაში. და ასეთ დროს საბაჟო სამსახურის ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებას თითქმის 2 წლის მანძილზე, საკუთარი ძალებით, ნარკოტიკების კონტრაბანდის არც ერთი ფაქტი არ გამოუვლენია.

ნურავის ეწყინება და გენერალური პროკურატურის კოლეგიაზე, სწორედ ამ ამბის გახმიანების შემდეგ, სრულიად სამართლიანად დაისვა კითხვა: ნეტა რად გვინდა ისეთი კატა, რომელიც თაგვს ვერ დაიჭერს? როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გვინდა. ადრე საბაჟოს ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში 15 კაცი ირიცხებოდა, ახლა მხოლოდ ორია. ეს ორი კაცი კი ვეღარ ერევა გაბობოლებულ, გაზულუქებულ ნარკომაფიას. უფრო დამაფიქრებელია ის, რომ კარგა ხანია საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას საერთოდ არ უმსჯელია და არ შეუჯამებია ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო შემოტანის, მათი ტრანზიტის ფაქტებზე.

ყოველდღიურად ჩვენს გზებზე ათასობით პირთამდე გაძეძგილი სატვირთო ავტომანქანა დადის. რა აღარ გადააქვთ და გადმოაქვთ. მაგრამ სახელმწიფოს ბიუჯეტში არაფერი შეაქვთ. და ხშირად ამ საქმეში საბაჟო სამსახურის მუშაკები თავად სცოდავენ. აი, ორიოდე მაგალითი:

1998 წლის 5 თებერვალს ოპერმუშაკებმა გ. ლომთაძემ და ლ. ღუღუშაურმა სოფელ შულავერში დააკავეს 2 ავტომანქანა, რომლებშიც იყო 7800 ცალი თევზი „სიგა“. ეს თევზი მხოლოდ სომხეთში მოიპოვება, პატრონებს კი არა ჰქონდათ საბაჟო დოკუმენტები. არც ჭეშმარიტების დადგენა, არც ახსნა-განმარტების ჩამორთმევა — სად იყიდეს, რამდენად იყიდეს, ვისგან იყიდეს. საბოლოო ჯამში, „მეთევზეებიც“ გაუშვეს და თავიანთი საქონელიც თან გაატანეს.

1998 წლის 10 იანვარს ოპერატიული სამმართველოს მე-10 ჯგუფის წევრებმა დაადგინეს, რომ ვინმე პ. მიქაიამ რუსეთიდან განუბაჟებლად შემოიტანა და გაყიდა საკვები სოდა. დადგენით კი დაადგინეს, მაგრამ მოსგან თანხა არ ამოიღეს, უბრალოდ, პასპორტიც კი არ ჩამოართვეს. პ. მიქაიამ ეს ლოყლაპიობა კარგად გამოიყენა, საქართველოდან გაიქცა, სახელმწიფო ბიუჯეტში კი 6000 ლარი შეუტანელი დარჩა.

1998 წლის 9 სექტემბერს შპს „მნათობმა“ აზერბაიჯანიდან შემოიტანა 1.395.227 კილოგრამი საავტომობილო ბენზინი. იგი აიყვანეს საბაჟო კონტროლზე, მაგრამ ეს საბაჟო კონტროლზე აყვანილი ბენზინი საცავებში აღარ აღმოჩნდა. საქონელი ბაჟის გადაუხდელად გაყიდეს და 62.552 ლარის სახელმწიფო ვალი ჰაერში გამოჰკიდეს...

ზღვა წვეთობით ივსება და ასევე წვეთობით ილევა, ჩვენი ბიუჯეტის შესავსებად ასე ათასობით და ათიათასობით, იქნებ მილიონობითაც, ლარი იკარგება. მის გასაცლელად კი, იცოცხლეთ, დღითიდღე ახალ-ახალი ხვრელები ჩნდება. მართლაცდა, როდემდე ვივლით ასე? ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ჩვენ თავს დაგვატყდა საბიუჯეტო კატასტროფა?

ბოლო ორი წლის მანძილზე ამ უწყებაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს 11, ხოლო თანამდებობიდან გაანთავისუფლეს 52 კაცი, ეს ციფრები ძალზე ცოტას თუ დააჯერებს, რომ საბაჟოში რეალურად ებრძვიან საკმაოდ ფართოდ ფეხმოკიდებულ კორუფციას.

სად უფრო მეტი ბაზარია?

თითქმის ანალოგიური ვითარებაა საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიულ სამსახურშიც. შარშან აქ ცენტრალურ აპარატს ჩაუტარებია 318 შემოწმება, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 6 ფაქტზე, რეგიონულ ქვედანაყოფებში კი — 5 ფაქტზე. ქვემდებარეობით გადაგზავნილი მასალებიდან კი სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 46 ფაქტზე. ამასთან, გამოვლენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 1041 ფაქტი, ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულია 7.559.000-ზე მეტი ლარი.

როგორც ოპერატიული სამსახურის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, მისი საქმიანობა ძირითადად მიმართულია საგადასახადო სფეროში გამოვლენილი დარღვევებისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების დასარიცხავად და ამოსაღებად. ამან კი მის საქმიანობას საგადასახადო ორგანოების სხვა სამსახურების ფუნქციათა დუბლირების ხასიათი მიანიჭა. რაც შეეხება მის უშუალო ფუნქციას — საგადასახადო სფეროში დანაშაულის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენას, მათ აცილება-აღკვეთას, ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა უმნიშვნელოა.

ჯერ კიდევ უკიდურესად დაბალია ოპერატიულ მუშაკთა მიერ გაწეული მუშაობის ხარისხი. კვლავ უცვლელი რჩება წინა წლებში დამკვიდრებული პროცესუალური ნორმების მოთხოვნათა უგულებელყოფის პრაქტიკა. სისტემატური ხასიათი აქვს შემოწმებათა შედეგებზე დაუსაბუთებელი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებას. შეკრებილი მასალები იმდენად არაკვალიფიციურია, რომ მათზე მიღებული გადაწყვეტილების შეფასება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია.

ფაქტობრივად, არ წარმოებს შესამოწმებელი ობიექტების საქმიანობაზე წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება, მისი დამუშავება. ზერელედ ტარდება საწარმოთა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციები, შეუსწავლელია მათი საგადასახადო ანგარიშფაქტურების მიღების, გამოყენებისა და აღრიცხვის მდგომარეობა, არ ეწყობა შემხვედრი შემოწმებები რეალიზებული საქონლის ფასთასხვაობისა და დასაბეგრი ბრუნვის ოდენობის დასადგენად, მეწარმეთაგან მიღებული ახსნა-განმარტებები ზედაპირულია, მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისების და ზედმეტობის მიზეზები დაუდგენელია.

ყოველივე ამის თქმის უფლებას იძლევა შპს „გულივერის“, შპს „დიონისეს“ და სხვათა შემოწმების შედეგები.

ოპერატიულ-სამძებრო და მოკვლევის არაორგანიზებულად და არასრულყოფილად ჩატარებაზე მეტყველებს ოპერატიული სამსახურის მიერ სააქციო საზოგადოება „ცენტრალური სუპერმარკეტის“ შემოწმებაც, რომელიც ბრძანების გარეშე ჩატარდა დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის (ა. ღლონტის) მიერ გამოცემული დავალების საფუძველზე. შემოწმება შესაბამისი გეგმის მიხედვით ითვალისწინებდა სააქციო საზოგადოება „ცენტრალურ სუპერმარკეტში“ — დეზერტირების ბაზარში მოვაჭრეთა და მათზე გამოწერილი ქვითრების რაოდენობის დადგენას, ქვითრების გაცემის შედეგად ამონაგები თანხების განსაზღვრას, საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით მოპოვებული მასალების შედარებას და აქედან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შეფასებას.

საამისოდ შეიქმნა სპეციალური ჯგუფები 30 ოპერატიული მუშაკის შემადგენლობით.

პირდაპირ სასაცილოა: ისეთი სავაჭრო ცენტრის შემოწმებით, სადაც ყოველდღიურად თავს იყრის უამრავი აქციზური და სხვა სახის საქონელი, ერთი თვის მანძილზე 30-მა ოპერატიულმა მუშაკმა დასაბეგრი ობიექტების დამალვა-შემცირების ფაქტები ვერ გამოავლინა. და შესაბამისად, დავალებით განსაზღვრული 1-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ შეკრებილ მასალებზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

ასეთი ფაქტის შემდეგ შეიძლება კიდევ ერთხელ დასვა ფრიად უხერხული კითხვა: „სად უფრო მეტი ბაზარია, — ცენტრალურ სუპერმარკეტში თუ ოპერატიულ სამსახურში?“

გაცილებით შემაშფოთებელია ფაქტები რეგიონულ სამმართველოებში. კერძოდ, გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლა შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობა. აქ ძალზე მწირია სტატისტიკური მაჩვენებლები: წლეულს

ბრძანების საფუძველზე სულ
გარებულია 9 შემოწმება. არ
ძრულა სისხლის სამართ
არც ერთი საქმე.
არა, სისხლის სამართლის
ქმის აღძრა თვითმიზანი
უნდა იყოს, მაგრამ სად
ცევი ამ ფაქტს, რომ სწორედ
და ქართლიდან, სწორედ
ნვალის რეგიონიდან შემო
ჩვენში უამრავი ფქვილი,
კოჰოლი, საკვები პროდუქ
და, რაც ყველაზე სამწუხა
ნარკოტიკი? მაშ, როდემდე
გვეძინოს ყურთბალიშზე?
„აი, ასეთ ფონზე გაოც
იწვევს ის ფაქტი, რომ ხ
ძღვანელთა ოფიციალ
ბრძანებების გარეშე, უ
დავალებების საფუძვე
ჩატარებული 300-ზე მეტი შ
წმების მასალების უმეტეს
თითქმის პაი-პარად, მოკვ
ვის სამსახურისა და გენერ
რი პროკურატურის გვერ
ავლით, გადაგზავნილია ად
ლობრივ საგადასახადო ორ
ნოებში და მათი ბედი დღე
გაურკვეველია, შესაბამის
ამის გამო გაურკვეველია ჩ
ბიუჯეტის ბედიც, — აღნი
კოლეგიაზე. საქართველოს
ნერალური პროკურატურის
ბაჟო და საგადასახადო სა
ხურებში მოკვლევებისა და
რატიული სამძებრო საქმიან
ბების კანონიერებაზე ზედა
დეველობის განყოფილების
რობმა ბესო ჭეჟიამ. — უნდა
გულისხმოთ, რომ ოპერატი
სამსახურის მუშაკთა ასეთი
ლება უმთავრესად საგადა
ხადო სფეროში ჩადენილ და
შაულთა მიჩქმალვისაკენ მი
ამით კი ისევ საერთო სა
ზიანდება“.

უფსკრულამდე თითქმის აღარაფერი დარჩა!

აი, ამგვარადაც საქართველო
ტრასებზე დაგრიალებენ
ტყუთ, ნავთობით, სიგარ
სპირტით, საკვები პროდუქ
ბითა თუ ათასგვარი სხვა
ქონლით დატვირთული მან
ნები. დიახ, იგრიალონ, მაგრ
— ჩვენ არ ვერჩით პატიო
ფირმებს, პატიოსან მეწარმე
— თქვა საქართველოს გ
რალური პროკურორმა
მლეთ ბაბილაშვილმა, —
ვებრძვით კონტრაბანდის
ურჩ გადამხდელებს, ჩვენ
ბრძვით მათ „კრიშებს“, ბი
ტის ტერორისტებს. ეს ყვე
უნდა გაიგოს!
გაიგებს კი ყველა? თვით
ფაქტი, რომ საბაჟოსა და
გადასახადო ზოგი მუშაკი
ლეგიაზე ოროსანი მოწყ
ვით ენაჩავარდნილი იდგა,
რჯერობით სასიკეთოზე არ
რზე მეტყველებს...
არა წარსული დროის
გალეის, არამედ ახლანდე
სიტუაციის სამართლი მზად
ვიხსენებს ერთ ძველ ფრონ
პლაკატს ლაკონური, მაგ
საკმაოდ ტევადი ფრაზით:
ერთი ნაბიჯი უკან. უკან
მოსკოვია!“.
ჩვენ ახლა საგანგებო მდ
მარეობაში ვართ. წამლეკ
იქმნება საომარი ვითარე
არის საფინანსო კრიზისი,
ბიუჯეტო ტერორი. არ და
ერდა კონტრაბანდა, არ და
ერდა გადასახადების დამალ
და ეს მაშინ, როცა თვეო
გაუცემელია ხელფასები, პე
ები, შემწეობები.
მართლაცდა, მორჩა რევე
ნსების, შენი ჭირიმე, შენ
ნაცვალობის დრო. მეტი
ვზე ხელის გადაბმა, მეტი
ჩერება, მეტი უკანდახევა
შეიძლება. უკან უკვე უფს
ლია. და თუ ამ უფსკრულში
დავცვივდით, არა მგონია,
იქ სხვებზე უკეთეს პირობ
აღმოჩნდნენ თავად ბიუჯ
ტერორისტები ან მათი მ
ველები.

ბონდო გულიაშვი

ამოძახილი

...ქართული სიტყვა მუდამ სალოცავი იქნება!

1998 წლის ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა ტერენტი გრანელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, სადაც მწერლების გვერდით სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოს მხარეში ბონდო ჯიქია. გთავაზობთ მისი გამოსვლის ტექსტს მცირედი შემოკლებით.

ასე მგონია, ჰომო-საპიენსის ეპოქიდან არა, მაგრამ ცოტა აქეთ, ადამიანის აზროვნების მომწიფების პარალელურად იშვა შური, ანუ სულხან-საბას მიხედვით — „მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“, და დღესაც პირველყოფილი სახით დადის იგი ჩვენს შორის. უეჭველია, „ამ ჩამავალი საუკუნის“ ოციანი წლებიც არ იქნებოდა დაზღვეული ამ სენისაგან და არც ტერენტი გრანელი მოშურნეობისაგან, გასაკვირი არ უნდა იყოს ეს. უფრო გასაკვირი და სამწუხარო ის არის, რომ ცივილიზებული სამყაროს ბინადართ არ ძალგვიძს ამ სენისაგან განკურნება.

ეტყობა, ცივდება ადამიანის გულიც და ხელებიც და იგი შურის, ბოღმის, ღვარძლის მომძლავრებას უწყობს ხელს. ადამიანის სულსაც ეპარება „გულგრილი კაეშანი, გონიერი სიზარმაცე, ცარიელი ცნობისწადილი“ და დროულად თუ არ ვუმკურნალეთ, მოფერებით თუ არ ვუმკურნალეთ მას, ერთმანეთი თუ არ დავინდეთ, ქვეყანასაც დავკარგავთ, და „ჩვენი ჭირისა და ლხინის უკვდავებას — ადამიანსაც“ ისე, როგორც ტერენტი გრანელი (და არა მარტო ის) გაქრა უდროოდ ამ ქვეყნიდან სწორედ ამით გამოწვეული სულიერი შფოთვისა და არა მხოლოდ მატერიალური სიდუხჭირის გამო.

რომ არა კეთილი ადამიანები, რომლებიც ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, მისი დიდი ხნით ტაბუდადებული შემოქმედება უცნობი იქნებოდა დღევანდელი თაობისათვის. უცნობი იქნებოდა მისი სევდიანი პოეზიის ხიბლი, რომელიც მეგრულ სიმღერებში ჩაღვენთილ სევდასთან ზიარების ბრალია ალბათ.

უცნობი იქნებოდა სიკვდილ-სიცოცხლის — კაცობრიობის მარადიული განსჯის — თემისადმი მისი დამოკიდებულება, რომელიც სიცოცხლესაც უარყოფდა და სიკვდილსაც. ეძებდა რაღაც სხვას და ამ რაღაც სხვაში შექსპირისეული მესამე გზის არსებობის საიდუმლოებაში ჩაწვდომას ლამობდა. ოცნებით შეცამოვლილ, კვაზარებს გადასულ ტერენტი გრანელს დედამიწა უფრო აშინებდა, ამიტომაც გვაფრთხილებდა ალბათ — გახსოვდეთო სიკვდილი! პესიმისტი კაცის ნათქვამს არ ჰგავს ეს...

დიახ! გვახსოვდეს სიკვდილი — „მარადიული სინაზე — ღვთის სტუმარივით რომ მოგვეალერსება ხოლმე“. ნუ დავაჩქარებთ მის მოსვლას ხიშტთა და ტყვიით, უგუნურებითა და უხამსი სიტყვით, რადგან ისედაც მრავალი საბაბი აქვს მას უეცრად გამოცხადებისა, თუნდაც ეკონომიკური სიდუხჭირე — ასე ძალუმად რომ იგრძნობა ყველგან და მათ შორის სამეგრელოშიც. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, პოეზიის სიყვარული არ ჩაქრება, სიტყვის დიდოსტატის თანადგომის სურვილი არ განელდება ჩვენში.

მჯერა, ცოტაც, და „აისბერგების“ გარეშე თავს დავაღწევთ ამ სირთულეებს, ჭაობშიც არასოდეს ჩავეფლობით, ასე რომ სურს ზოგიერთს და მწერლობისადმი მორალური თუ მატერიალური მხარდაჭერის საკუთარი ნებით აღებულ ვალდებულებასაც შევასრულებთ.

გარწმუნებთ: სამეგრელო — საქართველოს ტერიტორიული და სულიერი ერთიანობის ხერხემალი — არ გადატყდება, სამეგრელოში ქართული სიტყვის ლოცვა მუდამ იქნება.

რეგიონი

ლტოლვილი დისერტაციას იცავ

ლიტერატურული ორიგინალური ჟანრის — ნოველის წარმოშობა-ფორმირების საკითხებზე [illegible] მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ.

ამიერიდან ამ ჟანრში მომუშავე ფილოლოგები გვერდს ვერ აუვლიან საჭირო და ღირებულ სამეცნიერო ნაშრომს — „XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ნოველა“. ასეთია იმ საკანდიდატო დისერტაციის თემა, რომელიც ამ დღეებში ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ლტოლვილმა თანამშრომელმა ზაზა ცოტნიაშვილმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე დაიცვა. ზაზა ცოტნიაშვილს ერთხმად მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ამ ახალგაზრდა კაცმა ათიოდე წლის წინათ დაამთავრა ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლა. როცა ეს ავადსახსენებელი კონფლიქტი დაიწყო და ქართულმა მოსახლეობამ ეს ქალაქი დატოვა, ზაზამ ლტოლვილობაში წარმატებით დაასრულა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი (დროებითი ადგილსამყოფელი ქ. გორში).

ზაზა ცოტნიაშვილი ინსტიტუტში სწავლას წარმატებით უთავსებდა ჟურნალისტურ საქმიანობას. იგი არის ცხინვალელ ლტოლვილთა გაზეთის „შიდა ქართლის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი. გამოქვეყნებული აქვს ათი სამეცნიერო ნაშრომი, ასამდე პუბლიცისტური წერილი.

* * *

ლტოლვილობაში რაა სიამე. მაგრამ ის, რომ წუთისოფელგატანჯული ჩვენი ცხინვალელ
სხლი და ხორცი ბედს არ
ლება, ცხოვრობს, შრომობს
ვის კერაზე დაბრუნებამ
ქრობს, ლტოლვილების ე
ლიერი სიმტკიცე თითოეულ
ნგანსაც ხვალინდელი დღის
იმედიანად განაწყობს.
სასიხარულოა, რომ უ
სკნელ ხანებში ცხინვალის
დაგოგიური ინსტიტუტის ა
გაზრდა თანამშრომლებმა
მატებით დაიცვეს დისერტა
ბი და მიენიჭათ: ცირა ბაქ
— პედაგოგიკის მეცნიერებ
ნიკო ოთინაშვილს — ფილ
გიის მეცნიერებათა და მ
ცოტნიაშვილს — ისტორიის
ცნიერებათა კანდიდატის
ცნიერო ხარისხი.

გურამ ვაშაკ
„სრ“ საკ.

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

მუსიკა

აქ არა მარტო მღერიან, ინათლებიან კიდეც...

დედაქალაქის საკონცერტო ცხოვრების პანორამა

კიდევ ერთი წელი იქცა ისტორიის კუთვნილებად. წელიწადი, რომელმაც არაერთი საინტერესო და შთამბეჭდავი მუსიკალური შეხვედრით დააჯილდოვა საზოგადოებრიობა, წელიწადი, რომელმაც არცთუ უმნიშვნელო ადგილი დაიკავა ქართული მუსიკის მატიანეში. მუსიკალურ ცხოვრებაში იყო ჩვეულებრივი დღეებიც, იყო უჩვეულოც, და ჩვენდა სასიხარულოდ, იყო ზოგიერთი არაჩვეულებრივი, მართლაც გამორჩეული მოვლენებიც. დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც 1998 წელი უკვე წარსულად იქცა, უფრო ნათლად გადაიშალა თვალწინ დედაქალაქის მუსიკალური, უფრო ზუსტად კი, საკონცერტო ცხოვრების პანორამა მთელი თავისი ღირსებებითა და ფერადოვნებით და ამდენად შესაძლებელი გახდა გარკვეული დაკვირვებების თავმოყრა და გააზრება.

წარსული წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ბრავო". ამ ფესტივალის იდეის ჩასახვასა და ხორცშესხმაში უდიდესი წვლილი მიუძღვოდა გამოჩენილ ქართველ მომღერალს პაატა ბურჭულაძეს, მის ფონდს, ფონდის პრეზიდენტს მაია დათუნაშვილს, რომელთა ძალისხმევით მაღალ საორგანიზაციო და შემოქმედებით დონეზე წარიმართა „ბრავო". ეს ფესტივალი საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლდათ მრავალი პარამეტრით, განსაკუთრებით კი, ახალი მუსიკალური ინფორმაციის მიღებისა და კულტურათა ურთიერთგაცვლის თვალსაზრისით. ფესტივალში მონაწილეობდნენ მსოფლიოში ცნობილი და საკმაოდ ავტორიტეტული მუსიკოსები — კატია რიჩარელი, რენატო ბრუზონი, ანდრეა როსტი, კრისტიან იოჰანსონი, კალუდი კალუდოვი, ალექსანდრა მარკი, — რომელიც ფესტივალის მსვლელობის დროს თბილისში, ლურჯ მონასტერში მოინათლა და რომელმაც, ნათლიებად ვახტანგ მაჭავარიანი და ანი ლადიძე აირჩია, — სტეფანია ტოჩისკა, ვლადიმერ სპივაკოვი და მისი ორკესტრი „მოსკოვის ვირტუოზები", კამერული გუნდი „მსოფლიოს ოქროს ხმები" და მათი ლოტბარი ვლადიმერ მინინი. მათ გვერდით კი, თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალება ახალგაზრდა ქართველ მომღერლებსაც მიეცათ. ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელშიც უკრავდნენ, აგრეთვე, საგანგებოდ მოწვეული მოსკოველი სოლისტები. ორკესტრს სხვადასხვა გამოსვლებზე უძღვებოდნენ ქართველი დირიჟორები ვახტანგ მაჭავარიანი, დავით მუქერია, ზაზა აზმაიფარაშვილი, გოგი ჭიჭინაძე, გიორგი ჟორდანია. პოპულარული ოპერების საკონცერტო ვერსიებში საგუნდო პარტიებს ასრულებდნენ თბილისისა და ბათუმის საოპერო თეატრების გუნდები.

შეიძლება ითქვას, რომ 28 აპრილიდან 6 მაისამდე ქართველი ხალხის ყურადღების ცენტრში სწორედ „ბრავო" იყო მოქცეული, რომელმაც უამრავი სასიამოვნო განცდით და შთამბეჭდავი მოვლენით გაამდიდრა ქართული საზოგადოების მენტალიტეტი.

მართალია, საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ჩვენში პირველად შარშან გაიმართა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალების პრეცედენტი საქართველოში არ ყოფილა. პირიქით, ჩვენს ქვეყანას უკვე კარგა ხანია, რაც უცხოელები იცნობენ, როგორც მაღალი დონის საფესტივალო ქვეყანას. ასეთი ავტორიტეტის შექმნაში კი, დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს გამოჩენილ მაესტროს ჯანსუღ კახიძეს, რომლის მეოხებით უკვე ტრადიციად დამკვიდრდა „შემოდგომის თბილისი" — მუსიკის ზეიმი, რომელიც მუდამ სასიამოვნო შთაბეჭდილებებთან ასოცირდება. ამ ფესტივალს იმთავითვე საუკეთესო მომავალი უწინასწარმეტყველეს და არც შეცდნენ, რადგან საფესტივალო კონცერტებს ჩვეულად მაღალპროფესიული, მართლაც საერთაშორისო დონე გამოარჩევს ხოლმე. შარშან „შემოდგომის თბილისმა" მეექვსე წლისთავი მიითვალა და ისეთი შემოქმედებითი მუხტიც შემოგვთავაზა, რომ მსმენელი წლეულსაც სიამოვნებით ესტუმრება მეშვიდე „შემოდგომის თბილისს". შარშან ფესტივალის ეგიდით გვესტუმრა „ჩილინგირიან კვარტეტი" ინგლისიდან, გერმანელი ვირტუოზი კლარნეტისტი ედუარდ ბრუნერი, შესანიშნავი პიანისტი დიმიტრი ალექსეევი (ინგლისი), რომელთაც თავიანთი ხელოვნებით მოხიბლეს ქართული აუდიტორია. ამ ფესტივალზე ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული საშემსრულებლო ხელოვნების პროპაგანდას. შარშანაც, ორი სალამო ახალგაზრდა ქართველებს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებს — ნატო წვერელს, თამარ ჯაყახიშვილს, ნათია მდინარაძესა და ბესიკ გაბიტაშვილს დაეთმო.

როგორც ყოველთვის, ფესტივალის მთავარი მოქმედი გმირი იყო თბილისის სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც დირიჟორობდნენ ჯანსუღ და ვახტანგ კახიძეები. ამ ორკესტრმა, არსებობის მოკლე პერიოდის (ფესტივალის მსგავსად ისიც ექვსი წლისაა) მანძილზე მაღალ საშემსრულებლო დონეს მიაღწია, რაც „შემოდგომის თბილისის" გარდა, შარშან გამართული კონცერტებითაც გაცხადდა. თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შარშან, მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სცენაზე გამოვიდნენ მოსკოველი მევიოლინეები ანასტასია ჩებოტარიოვა და ელენე რევიჩი, პიანისტები სტანისლავ იგოლინსკი (სანქტ-პეტერბურგი), დიმიტრი სგუროსი (საბერძნეთი,), ვალერიან მიუკაშვილი. 29 დეკემბერს კი ჯანსუღ კახიძემ და გურამ სალარაძემ აუდიტორიას გალაკტიონისა და მალერის შემოქმედების საინტერესო სინთეზი შესთავაზეს.

გია ყანჩელი, მსტისლავ როსტროპოვიჩი და ჯანსუღ კახიძე.

შარშანვე, დედაქალაქში გაიმართა გიტარის საერთაშორისო ფესტივალი. მსმენელი არც მას აკლდა. ფესტივალის დასკვნით კონცერტზე სოლისტების თანხლებად საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მოგვევლინა, რომელსაც გოგი ჭიჭინაძე ხელმძღვანელობდა. მისივე დირიჟორობით შარშან ამ ორკესტრმა კიდევ ერთი კონცერტი გამართა ახალგაზრდა ქართველ პიანისტთან, მამუკა სიხარულიძესთან ერთად. აუდიტორიისათვის გასტროლიორების წარდგენა არც ამ ორკესტრისთვის იყო გასულ წელს უცხო, რადგან ამ კოლექტივთან ერთად კონცერტები გამართეს უცხოელმა დირიჟორებმა დავით არუთინიანმა, მათიას ფლეცბერგერმა, პიანისტებმა ელიზაბედ სომბარტმა, კატია სკანავიმ (იგი მართლაც გამორჩეული გახლდათ), მომღერალმა დანა გლაზერმა. საინტერესოდ გაიჟღერა ორკესტრთან ერთად ქართველი პიანისტების მზია გოგაშვილის, ანი ტაკიძის, გიგლა ქაცარავას შესრულებამ. მთავარი დირიჟორის ვახტანგ მაჭავარიანისა და ზემოთ ჩამოთვლილი დირიჟორების გარდა, შარშან, ორკესტრს უძღვებოდნენ, აგრეთვე, რევაზ ტაკიძე და ზაზა აზმაიფარაშვილი.

შარშან, ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ რამდენიმე საიუბილეო თარიღიც აღნიშნა. უმთავრესი, ალბათ, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 80 წლისთავი გახლდათ. ამ ჭეშმარიტად დამსახურებული მუსიკალური კერის აღსაზრდელებმა, კურსდამთავრებულებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მთელი წლის მანძილზე არაერთი კონცერტი თუ სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნეს საიუბილეო თარიღს. მთავარი საზეიმო ცერემონიალი კი, 16 ნოემბერს გაიმართა (თუმცა, უფრო მეტი საზეიმო ელფერი და პომპეზურობა იმ სალამოს ნამდვილად მეტად დაამშვენებდა).

50 წლის იუბილე აღნიშნა საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო კაპელამ. ნახევარსაუკუნოვანი ისტორია მნიშვნელოვანი ეტაპია კოლექტივისთვის, მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროის მანძილზე ჩვენმა სახელმწიფო კაპელამ უამრავი კეთილი მისია იტვირთა და შეასრულა კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფო კაპელის არსებობას საკმაოდ სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა (უმთავრესი მიზეზი მატერიალური სიდუხჭირე იყო), შემოქმედებითი კოლექტივის და მისი ხელმძღვანელის გივი მუნჯიშვილის, აგრეთვე, კულტურის სამინისტროს და პირადად ვალერი ასათიანის აქტიური ქმედითი მხარდაჭერის შედეგად, კაპელამ კრიტიკული პერიოდი დაძლია, დაშლასაც გადაურჩა და მაღალი პროფესიული დონეც აღიდგინა, რაც საიუბილეო კონცერტმაც ცხადყო. სამწუხაროდ, კაპელის შენობა ჯერ კიდევ მოუწყობელია, მატერიალურ-ფინანსური პრობლემები კი გადაწყვეტას ელის.

30 წელი შეუსრულდა შარშან ჩვენს სახელგანთქმულ „რუსთავს", შემოქმედებით კოლექტივს, რომელმაც მთელ მსოფლიოს გააცნო ქართველთა სიამაყე — მუსიკალური ფოლკლორი და არა მხოლოდ გააცნო, არამედ შეაყვარა კიდეც, ანსამბლმა და მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა კი, ჭეშმარიტად მაღალი და, რაც მთავარია, დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვეს.

„რუსთავის" ასაკისაა საესტრადო ანსამბლი „ივერიაც". „ივერიელებმა", თავის უცვლელ „ბელადთან" ალექსანდრე ბასილაიასთან ერთად ამ ხნის მანძილზე გარდა იმისა, რომ უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინეს (მათი მეოხებით კი ოცზე მეტი საიუბილეო კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ანშლაგით გაიმართა), მიაღწიეს უმთავრესს — მაღალ შემოქმედებით დონეს — ამიტომაც უყვარს ხალხს „ივერია".

შარშანდელი წელი საიუბილეო იყო ქართული სადირიჟორო ხელოვნების ერთ-ერთი კორიფესათვის, ამ ურთულესი პროფესიის ჭეშმარიტი დიდოსტატისათვის ოდისეი დიმიტრიადისათვის. ქართველმა საზოგადოებრიობამ მას დაბადების 90 წლისთავი მიულოცა — მაესტროს შეეგებნენ ბათუმსა და თბილისში (მანამდე კი, მისი დიდი ღვაწლი აღნიშნა მოსკოვის დიდმა თეატრმაც). დედაქალაქში, ამ მოვლენის აღნიშვნისათვის ღონისძიებების ორგანიზატორებმა მართლაც ორიგინალური, საკმაოდ მრავლისმთქმელი და სიმბოლური ხერხი აირჩიეს — თავის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ნაწარმოებს, ზაქარია ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერს" თვით იუბილარმა უდირიჟორა და იმ სალამოს ოპერაში მყოფთ, ალბათ, სამუდამოდ აღუბეჭდა მისეული განუმეორებელი შტრიხები.

შარშანვე, აღინიშნა (მაგრამ, სამწუხაროდ, საკმაოდ ვიწრო წრეში) ქართული მუსიკის ერთ-ერთი კლასიკოსის დიმიტრი არაყიშვილის დაბადების 125 წლისთავი.

მშვენიერი საავტორო კონცერტით შეეხმიანა აუდიტორიას თავის 60 წლის საიუბილეო საღამოზე ვახტანგ კიკაბიძე.

საავტორო კონცერტი გამართა რიყეზე, საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26-საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმაც. შარშანვე, მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა 1997-1998 წლებში შექმნილი სიმღერებისა და ნაყოფიერი საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

გასული წლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას შევახსენებთ — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, 15 სექტემბერს კვლავ ახმიანდა კონსერვატორიის დიდი დარბაზის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა — ორგანი, მხოლოდ უკვე აღდგენილი და განახლებული. ცნობილი გერმანული ფირმის „ალექსანდრ შუკეს" მიერ 1964 წელს შექმნილი ბაროკოს ტიპის ეს სამმანუალური, ორმოც-რეგისტრიანი ორგანი, რომლის ტემბრული და რეგისტრული თავისებურებები სწორედ ამ დარბაზის აკუსტიკურ მონაცემებზეა გათვლილი, საუკეთესოდ აღადგინეს იმავე ფირმის წარმომადგენლებმა. იმ საღამოს საორგანო მუსიკის წარუშლელი ხიბლი აგრძნობინეს მსმენელებს ეთერ მგალობლიშვილმა და ფრანც ჰაუკმა, კონცერტში მონაწილეობდა, აგრეთვე, ჩვენი გამოჩენილი მომღერალი მაყვალა ქასრაშვილი (საორგანო მუსიკის კონცერტები შემდგომაც გაიმართა).

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი დიდი დარბაზის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის მანანა დოიჯაშვილის იმ დიდ ძალისხმევასა და ღვაწლს, ამ დარბაზის (შემდეგ კი ორგანის) აღდგენის საშვილიშვილო საქმის დაწყებასა და ჩინებულად დაგვირგვინებაში რომ მიუძღვის. მანანა დოიჯაშვილი იმთავითვე ამბობდა, რომ აღდგენილ დიდ დარბაზს მასში გამართული კონცერტების ხარისხის შესაბამისად, საუკეთესო რენომე დაუმკვიდრდებოდა... ასეც მოხდა — იქ მართლაც ჩინებული კონცერტები იმართება. შარშან, ამ დარბაზის გამორჩეულ შემოქმედებით სტუმართა რიცხვში იყვნენ დიმიტრი ბაშკიროვი, ულუგბეკ პალვანოვი, დიდი თეატრის სოლისტები მარინა მეშჩერიაკოვა და ირინა ჩესტიაკოვა, რომლებიც ვოკალური მუსიკის საღამოზე წარადგინა აუდიტორიის წინაშე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილმა ქართველმა მომღერალმა, რომელსაც დიდ პატივს მიაგებენ უცხოეთში — ბადრი მაისურაძემ. მომღერლებს შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა და რევაზ ლაღიძის სახელობის ტელერადიო დეპარტამენტის სიმფონიურმა ორკესტრმა. უცხოეთში მოღვაწე კიდევ ორი გამოჩენილი ქართველი მუსიკოსის — ალექსანდრე კორსანტიასა და ლიანა ისაკაძის შეუდარებელმა ჰანგებმა მოიცვეს ამ საუკეთესო დარბაზის კედლები. ლიანა ისაკაძემ ოპერის თეატრშიც დაუკრა საახალწლოდ, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით.

რადგან უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მუსიკოსების სამშობლოში „საგასტროლო" გამოსვლებს შევეხე, აქვე აღვნიშნავ პაატა ბურჭულაძის კონცერტებს რუსთავესა (ზაზა აზმაიფარაშვილთან ერთად) და თბილისში (ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით) ამავე ორკესტრთან ერთად. ხანგრძლივი განშორების შემდეგ მსმენელთა დიდი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია შეხვედრებმა დირიჟორ ვახტანგ ჟორდანიასა და მომღერალ იანო ალიბეგაშვილთან (ჯანსუღ კახიძესთან ერთად), რომლებსაც მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა და თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა უმასპინძლა.

სამშობლოს ხშირი „სტუმარია" ზურაბ სოტკილავაც; მან თავის განუყრელ სცენურ მეგობრთან, მაყვალა ქასრაშვილთან ერთად თბილისის ოპერის თეატრის „ტოსკასა" და „ბალ-მასკარადში" იმღერა. შარშანვე, ბატონ ზურაბს რუსთაველის პრემია მიენიჭა.

დამოუკიდებელი საქართველოს დიდ სტუმართა, შემდეგ კი, დედაქალაქის საპატიო მოქალაქეთა რიცხვს შარშან კიდევ ერთი დიდი ხელოვანის, ჩვენი დროის უდიდესი მუსიკოსის — ვიოლონჩელისტისა და დირიჟორის მსტისლავ როსტროპოვიჩის სახელი შეემატა. 17 ნოემბერს მან თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და ჯანსუღ კახიძესთან ერთად კონცერტი გამართა. ეს მართლაც წარუვალი ღირებულების მქონე მოვლენა ქართული მუსიკალური კულტურის მატიანის ღირსეულ ნაწილად იქცა. ამ ორი მუსიკოსის გარდა, მსმენელთა ოვაციის ნაწილი გია ყანჩელსაც ეკუთვნოდა, რადგან იმ საღამოს ქართულმა აუდიტორიამ პირველად მოისმინა როსტროპოვიჩისადმი მიძღვნილი ახალი ქმნილება — „სიმი" (სხვათაშორის, შარშანვე პირველად მოვისმინეთ მისი „ტანგოს მაგიერად", რომელიც ალექსანდრე კორსანტიამ დაუკრა).

1998 წლის კუთვნილებად იქცა კომპოზიტორთა კავშირის მეოხებით გამართული სამი კონცერტისაგან შემდგარი სერია, რომელსაც შეიძლებოდა „ქართული მუსიკის სიახლეებიც" დარქმეოდა, რადგან მსმენელს საშუალება მიეცა გასცნობოდა ქართველ კომპოზიტორთა ახალ (უმთავრესად) ნაწარმოებებს.

ორი საოპერო პრემიერა შესთავაზა აუდიტორიას თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა — მასკანის „სოფლის ღირსება" და პუჩინის „ჯანი სკიკი". გასულ წელს თეატრის საოპერო რეპერტუარს შეადგენდა ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი", დოლიძის „ქეთო და კოტე", კვერნაძის „კოლხთა ასული", მოცარტის „დონ ჟუანი", ვერდის „რიგოლეტო", „ტრავიატა", „დონ კარლოსი", პუჩინის „ტოსკა", ჩაიკოვსკის „პიკის ქალი". რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ის ობიექტური სირთულეები, რომლებსაც უკავშირდება ახალი თხზულებების შესრულება და სასცენო ხორცშესხმა, მაგრამ სასურველია რეპერტუარის განახლება-გაფართოება, რამიც ყველას, ვისაც ძალუძს, ქმედითი, უწინარესად, ალბათ, ფინანსური დახმარება, თბილისის ოპერის თეატრს უნდა ამოუდგეს მხარში.

შარშან პრემიერით წარსდგა ამ თეატრის საბალეტო დასიც, რომელმაც გოგი ალექსიძის ხელდასმით, განახორციელა სპექტაკლი „დრამატული ბალეტები". მომზადდა ბალანჩინისეული სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი" და პადედე ჩაიკოვსკის „გედის ტბიდან". მომზადებულია, აგრეთვე, გოგი ალექსიძის „ქორეოგრაფიული ნოველები", რომელთაც სასცენო კოსტუმების შექმნისთანავე გაიცნობს აუდიტორია (თუმცა ამ დადგმას რეპეტიციებზე გაეცნენ უცხოელი სპეციალისტები და სათანადოდ შეაფასეს კიდეც).

ორი პრემიერა განხორციელდა შარშან ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრშიც — ნუნუ გაბუნიას „ფიფქია და შვიდი ჯუჯა" და გიორგი ჩლაიძის „ო, ადონაი, ისმინე", რომელიც კომპოზიტორმა საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26-საუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა. ამ მიუზიკლების გარდა, თეატრის რეპერტუარში „მევიოლინე სახურავზე", ვაჟა აზარაშვილის „მეჩექმე გაბო", ნუნუ გაბუნიას „კინტო", დავით ტურიაშვილის „პეპი — გრძელი წინდა", თენგიზ ჯაიანის „მატყუარა საჭიროა". რეპერტუარის გაფართოება, ალბათ, ამ თეატრსაც სასიკეთოდ წაადგებოდა.

ვფიქრობ, ამ მოკლე რეტროსპექტულმა ექსკურსმა კიდევ ერთხელ (ნაწილობრივ მაინც) შეგვახსენა გასული წლის მნიშვნელოვანი მოვლენები, კიდევ ერთხელ დაგვანახა ის სირთულეებიც, რომლებიც არსებობს ჩვენს მუსიკალურ ყოფაში (ამჯერად, ზოგიერთ შემთხვევაში ყურადღება ვერ შევაჩერეთ შესრულების ხარისხზე), და ის წარმატებებიც, რომლებსაც ზეიმობს ქართული მუსიკალური ხელოვნება.

ასეთი გახლდათ წარსული, მაგრამ ადამიანს ხომ მომავლის უკეთესობა აიმედებს!

ზურაბ ოიკაშვილი.

ზაზა აზმაიფარაშვილი, პაატა ბურჭულაძე, ვახტანგ მაჭავარიანი და მაია დათუნაშვილი.

ვლადიმერ სპივაკოვი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ნახატებში ზღვისფერი სჭარბობს

„საკვირაო სკოლის" ნორჩ მხატვართა ნამუშევრებში უხვადაა პალმები, მაგნოლიები, ყვავილები, ზღვისპირეთის პეიზაჟები... ეს აფხაზეთიდან ადგილნაცვალი ბავშვების ნახატებია, საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივის" ოფისში (ლესელიძის ქ. №8) რომ მოეწყო. ნახატებში აფხაზეთის ბუნებისათვის დამახასიათებელი ფერები მძლავრობს. თითოეულ მათგანს მონატრება გასდევს, რომელიც, რომ იტყვიან, ისეთი გრძნობაა, ოცნებით ცხრა მთასა და ცხრა ზღვას შემოგატარებს. ბავშვებისაგან წამოსულ საოცარ ტკივილებს გრძნობ. თუნდაც დათო კაჭარავას „სვანეთი". ნახატზე ამ კუთხის მხოლოდ მთები როდი მოჩანს, არამედ აფხაზეთის სვანეთის იმ ხეობის ერთ-ერთი ციცაბო ულელტეხილიც, რომელსაც სიკვდილს გამოქცეული ადამიანები შესდგომიან გადასალახავად (თავისთავად მიგანიშნებთ კოდორის ხეობის „სიცოცხლის გზაზე").

„ზღვის სანაპირო" — პატრონის მომლოდინე ეულად მიტოვებული ნავით გაგრის თუ სოხუმის ნაცნობ მყუდრო ზღვისპირს გაგონებთ.

ეთერ კირთაძის „ჩემი ეზოს" დაგმანული ჭიშკარი და ღობის მესერზე მიჭედილი ავი თვალის დამცველი ნალი მაინც ვერ ფარავს მისი პატრონისადმი მიყენებულ სიავეს. მიტოვებულ ეზო-კარში ყვავილები „ხარობს", პატრონის მომლოდინეს ყელი გზისკენ რომ მოუღერებია...

მისლღორს, სადაც ბავშვები გამორბიან, სისხლის კვალი ემჩნევა. გამოქცეულთ ციდან მტრის თვითმფრინავი მოსდევს.

ნახატებში ბევრგან მოჩანს ეკლესიები, ისეთი, როგორიც ქართველებს აფხაზეთში დაატოვებინეს...

ნორჩ მხატვარს „ნატვრის ხეც" მოუტანია, ზედ ასხმული ოცნებებით მშობლიური კუთხის მონატრებით... იქვე წარწერაა: „ქვეყანა ყვავილებისაა და არა იარაღის". ასე სწამთ ბავშვებს, რომლებიც მზად არიან მხოლოდ მცენარეები ახარონ, ხატონ საკუთარი ეზო-კარი თუ ყვავილნარები ისეთი, როგორიც ახსოვთ, ან გამოქცევისას თან გამოყოლილ ფერად თუ შავ-თეთრ სურათებშია აღბეჭდილი. აჰა, ერთ-ერთ ნახატში მოწყენილია ღიად დარჩენილი ეზოს ჭიშკრის შემყურე „ზღვისპირა სახლი"...

ასე, ერთმანეთს მიჰყვება თემურ დანელიას, თეონა კალაძის, მაკა გუგავას, ნინო გვასალიას (მასპინძლებმა ნიჭიერებით განსაკუთრებით 12 წლის თემურ დანელია გამოარჩიეს) ნამუშევრები.

„სხივთან" მოქმედ „საკვირაო სკოლაში", ძირითადად, სასტუმრო „მასპინძელში" მცხოვრები, აგრეთვე, „აჭარიდან" და „ივერიიდანაც" ლტოლვილი გაგრელები, ოჩამჩირელები, გულრიფშელები, სოხუმელები მოდიან. აქ მათ მეცადინეობის შემდეგ ერთჯერადი კვებითაც უმასპინძლდებიან, აქვე ხდება მათი ჯანმრთელობის შემოწმებაც. როგორც მასპინძლებმა თავიანთ საქმიანობაში ჩაგვახედეს, ასოციაცია „სხივი" ქველმოქმედთა დახმარებით სხვა სასარგებლო საქმეებსაც აკეთებს. ურთიერთობა აქვს ბიზნესმენებთან, საელჩოებთან.

1994 წლიდან ეწევა მუშაობას აფხაზეთიდან ლტოლვილი ბავშვების შემოქმედებითი საკვირაო სკოლა. დღეს აქ 25 ბავშვია. იმ დღეს წყნეთიდანაც ჩამოვიდნენ აფხაზეთიდან ადგილნაცვალნი. მოიზიდეს ქუჩაში თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ბავშვებიც. მათი ნახატების ფოტოალბომის გამოცემაზე ფიქრობენ. ნამუშევრებს საქართველოს მხატვართა კავშირიდან მოწვეული პროფესიონალები შეარჩევენ. ბავშვებთან მუშაობენ მხატვარი რომან სოლოღაშვილი, თამაზ ბიბილური (კინოხელოვნებას ასწავლის) და პედაგოგები მურად ალაშვილი და გოლიათ კეკელია.

„სხივში" საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი სტუმრობდა. მან საკვირაო სკოლა დალოცა.

შთაბეჭდილებათა წიგნში მომსვლელთა ჩანაწერები რჩება:

„არასოდეს დამავიწყდება სოხუმელი ლტოლვილი ბავშვების ნახატების გამოფენა. ფერები, მათ რომ გამოუყენებიათ, მომავლის დიდ იმედს და სიხარულს იძლევა. განსაკუთრებით მადლობა მინდა ვუთხრა თამაზ ბიბილურს კეთილშობილური საქმიანობისათვის, ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის საქმეს რომ ახმარს". ეთერ თაბუკაშვილი, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი.



„თითოეულ ნახატში შეიცნობა მაძიებელი ნიჭი, სულიერი განცდების გამოხატვის უნარი. სასიხარულო ის არის, რომ ხელოვნების წვდომის სული ასე მძაფრად იგრძნობა ლტოლვილ ბავშვებში. აი, ჩვენი უკვდავების კიდევ ერთი გამოვლინება". აკაკი გასვიანი. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

გამოფენაზე მომსვლელთა ფეხისხმა არ წყდება. უფრო ახალგაზრდობაა. ელოდებიან ბიზნესმენებსაც, მათ, ვინც „სხივის" ქველმოქმედებისათვის ხელის შეშველებას მოისურვებს.

„საკვირაო სკოლაში" მოზიდული ბავშვები ხატავენ იმას, რაც მათ დღევანდელ განწყობილებას წარმოაჩენს. ნამუშევრებში განსაკუთრებით შავი ზღვისფერს გამოარჩევთ, ნაცნობსა და მათთვის ახლობელს. ჭარბობს აფხაზეთის პეიზაჟები, იმ ადგილის დიდის მონატრება, სადაც დაიბადნენ, ცხოვრობდნენ, სადაც მათ მამა-პაპას საუკუნეების განმავლობაში უცხოვრია და უმოღვაწია.

ნათელა ფაილოძე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

სიახლე

„პატარა თეატრი" ერეკლე მეორის ქუჩაზე

ძველ თბილისში, ერეკლე მეორის ქუჩაზე თუკი დღემდე ყველაზე მეტად „ძველი გალერეა" და მისი შესანიშნავი გამოფენები გვიზიდავდა, ამიერიდან უფრო ხშირად მოგვიწევს სტუმრობა და შეხვედრა ფრიად ორიგინალურ „პატარა თეატრთან", ეს ახალი კულტურული ოაზისი, რომელიც სულ სამი თვის წინათ ბნელ და ჩახერგილ სარდაფს წარმოადგენდა, თავის პირველ მაყურებელს ქართული თეატრის დღეს — 14 იანვარს უმასპინძლებს.

თეატრის სულისჩამდგმელმა და მეპატრონემ, ქალბატონმა მანანა ასათიანმა თავგანწირული შრომითა და სიფაქიზით შექმნა ამაღლებული გარემო, რომელიც ჩვენს მაყურებელს ბევრ სიახლესა და მოულოდნელობას ჰპირდება. მანანა ასათიანმა „პატარა თეატრის" მხატვრული სახის განსაზღვრა მსახიობსა და რეჟისორს გოჩა კაპანაძეს მიანდო. ამ ნაბიჯით მან თავის თეატრს სისხლსავსე, აქტიური შემოქმედებითი სიცოცხლე დაუმკვიდრა. ვინც იცნობს გოჩა კაპანაძეს — ამოუწურავი სურვილებისა და ფართო შესაძლებლობების ხელოვანს, ბრწყინვალე სცენური სახეებისა და შესანიშნავი სპექტაკლების („ჩემოდანი", „ბერნარდა ალბას სახლი", „მარიამ სტიუარტი") ავტორს, ადვილი წარმოსადგენია როგორი მთაგონებითა და მაძიებლობით წარმართავს იგი ახლა უკვე საკუთარი თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკას. გიზო ჟორდანიას, რობერტ სტურუას, პიტერ ბრუკის შეგირდობამ მას შესძინა მდიდარი გამოცდილება და პროფესიული თვალსაწიერი გაუფართოვა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ამპლუა აძლევს მას ვრცელ ასპარეზს სრულად გამოხატოს საკუთარი თავი ხელოვნებაში.

„პატარა თეატრი" 60-მდე მაყურებელს იტევს, მცირე სცენა ოდნავ არის ამაღლებული და მსახიობი-შემსრულებელი თითქმის პირისპირ რჩება პუბლიკასთან, ამდენად ეს კამერული გარემო ყველა ტიპის დრამატურგიას ვერ შეიგუებს და თავისებურ გამომსახველობით ლექსიკას მოითხოვს. თეატრი, რომელიც ანტრეპრიზის პრინციპით იმუშავებს, როგორც ჩანს დიდ ადგილს დაუთმობს ექსპერიმენტს, ახალი ფორმის, თეატრალური ენის ძიებას.

გოჩა კაპანაძე მხოლოდ საკუთარი თეატრალური იდეების განხორციელებას როდი აპირებს ამ არტისტულ სარდაფში. მას სურს მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზოს თანამედროვე მაყურებელს; განხორციელდება როგორც ანტიკური პიესები, ასევე ფსიქოდრამები და თანამედროვე ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებები, სპექტაკლებთან ერთად „პატარა თეატრი" ხშირად მიმართავს ლიტერატურულ საღამოებსა და კლასიკური კამერული მუსიკის კონცერტებსაც.

თეატრის გახსნის დღეს მაყურებელს დარბაზში დახვდება მხატვარ-მოდელიორ ნინო ასათიანის თეატრალური კოსტუმების ესკიზები. გაეცანი რა ამ ნამუშევრებს, შემიძლია ვთქვა, რომ ისინი თავისი გამომგონებლობით, ფანტაზიითა და ნატიფი გემოვნებით ხელოვნების ნამდვილ ღირებულებებს უახლოვდება, იგი ესკიზზე გაცილებით მეტია და დამოუკიდებელ მხატვრულ მნიშვნელობას იძენს. რუსთაველის თეატრში დადგმული „მარიამ სტიუარტის" ბრწყინვალე კოსტუმები სწორედ ნინო ასათიანის ესკიზების მიხედვით არის შექმნილი, ამჯერად იგი ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრში „კარმენის" კოსტუმებზე მუშაობს.

მნახველის ინტერესს დაიმსახურებს დიზაინერ გუგა კოტეტიშვილის ქმნილებები. აქვე ვიტყვი, რომ „პატარა თეატრის" ორიგინალური კარი სწორედ გუგას შექმნილია.

პირველად აქ შეკრებილ საზოგადოებას გალაქტიონის პოეზია შეეგებება სცენიდან. გურამ სალარაძე თავის ქალიშვილთან მარინე სალარაძესთან ერთად წაიკითხავს გენიალური შემოქმედის ლექსებს, ესეებსა და ჩანაწერებს. ამ წარმოდგენას მოჰყვება სპარსული პოეზიის საღამო — ვახუშტი კოტეტიშვილი თავისივე თარგმანებით წარსდგება აუდიტორიის წინაშე.

გოჩა კაპანაძე „მედეას" დადგმას აპირებს, ოღონდ არა კლასიკოსი ავტორების, არამედ მსახიობ ნატო გაგნიძის მედეასა და იაზონზე შეთხზული ამბის თავისებურ ვერსიას შემოგვთავაზებს. ასევე სურს თავისი პროექტებით მოიწვიოს რეჟისორები და მსახიობები, გიზო ჟორდანია „კაცია-ადამიანს" განახორციელებს, ნატაშა პარი (პიტერ ბრუკის მეუღლე) შესაძლოა ვიხილოთ ჟან კოქტოს „ადამიანის ხმაში". თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტ-რეჟისორებს მართლაც შესანიშნავი საცდელი მოედანი ექნებათ „პატარა თეატრის" სახით. გარდა ამისა, გოჩა კაპანაძეს დიდი სურვილი აქვს ჩვენში დააფუძნოს მონოსპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი, სწორედ ეს თეატრი იქნება აღნიშნული ფორუმის მასპინძელი.

„პატარა თეატრის" მესვეურებს განზრახული აქვთ დასავლეთში არსებული წესი გადმოიღონ და მასმედიისათვის სპეციალური პრემიერები გამართონ. თავდაპირველად მათ სცენურ ნამუშევრებს კრიტიკოსები და ჟურნალისტები გაეცნობიან, რის შემდეგაც საერთო პრემიერა შედგება.

თეატრი შეეცდება ახალი სახელების წარმოჩენას, ამზადებენ შეხვედრას პოეტ რატი ამაღლობელთან, ასევე დრამატურგთან და პროზაიკოსთან ლაშა ბუღაძესთან.

მესამე ათასწლეულის მიჯნაზე თბილისის ეგზოტიკურ უბანში სიცოცხლეს იწყებს ახალი ყაიდის თეატრი, რომელიც თავისი ჩანაფიქრით ბევრ მნიშვნელოვან და საგულისხმო საღამოს გვპირდება.

გიორგი ლალიაშვილი.

ბიბლიოთეკა

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

თაობა

ბესო ყაზაიშვილი ამერიკაში ბილ კლინტონის მზრუნველობით ცხოვრობს და სწავლობს

ქუთაისელი ყმაწვილის ბესო ყაზაიშვილის ფენომენზე ჩვენი გაზეთი არაერთხელ წერდა. ბესოს ღვთით ბოძებული ნიჭით ბოლო ხანს საზღვარგარეთაც დაინტერესდნენ. უფრო სწორად, ბესოს ქუთაისშივე გამოუჩნდა გულითადი უფროსი მეგობარი და გზის გამკვლევი. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილმა მართლაც საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა ყაზაიშვილების ოჯახის მიმართ, ხელი ჩაავლო 12 წლის ბესოს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) და საზღვარგარეთ წაიყვანა. ეს პარიზია, ეს ლონდონიო... ბესოს ნახატებით ვინ არ დაინტერესდა. მოგეხსენებათ, ტალანტებს იქ განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ და ბესოს სწავლისა და შრომის საუკეთესო პირობები შეუქმნეს.

ახლა ბესო თავის მშობლებთან და და-ძმებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ აირვაინში ცხოვრობს და სწავლობს. რამდენიმე დღის წინათ მან ბარათი გამოუგზავნა თემურ შაშიაშვილს, რომელსაც აქვე (სტილი დაცულია) მთლიანად გთავაზობთ.

> „ჩემო ბესიკ! შენ ძალიან დიდი მომავალი გაქვს. გისურვებ დიდ შრომისმოყვარეობას, რაც ამ მომავლის აუცილებელი პირობაა“.
>
> ედუარდ შევარდნაძე.
> 13 ოქტომბერი, 1994 წ.

„თემური ბიძია!

დღეს აქ 24 დეკემბერია და ყველა ემზადება, რომ აღნიშნოს შობა. მართალია ჩვენთან საქართველოში შობა 7 იანვარს არის, მაგრამ მე მინდა ეხლა მოგილოცოთ თქვენ და თქვენს ოჯახს. მრავალ შობა ახალ-წელს დაესწარით.

ჩვენ ეხლა ვცხოვრობთ ქალაქ აირვაინში. ეს არის ლოს-ანჯელესის სამხრეთით 40 მილის დაშორებით. ეს ძალიან ლამაზი და დიდი ქალაქია ნახევარი მილიონი მაცხოვრებლით. ჩვენ იმ კომპანიამ ვისთანაც კონტრაქტი გვაქვს მოგვცა ოთხსაძინებლიანი ორსართულიანი სახლი დიდი ეზოთი, მე ძალიან მომწონს. კომპანიამ ჩემს მამას აჩუქა მიკროავტობუსი და მამიკოს ყოველ დილით სკოლაში დავყავართ მე და ჩემი ძმა. ჩვენ კარგად ვსწავლობთ. ახლა დაგვიმთავრდა სემესტრი და მე და ჩემ ძმას კარგი სწავლისთვის და ყოფაქცევისთვის გადმოგვცეს მედალიონები როგორც კარგი მოსწავლეები. ამ სკოლაში ვისწავლით 9 კლასის ჩათვლით შემდეგ უნდა გადავიდეთ სხვა სკოლაში. აქ ასეთი სწავლებაა. მე ვსწავლობ ენას ყოველ დღე ორი საათი, მათემატიკას ერთი საათი, კომპიუტერი და თავისუფალი გაკვეთილი, ასევე გვაქვს სპორტის საათი. საგნებს თვითონ ირჩევენ მოსწავლეები.

მე 19 ნოემბერს მქონდა გამოფენა ქ. პიცბურგში, სადაც ქალაქის მერმა გადმომცა ქალაქის გასაღები. ეს ძალიან დიდი საჩუქარი არის ჩემთვის, რადგან 10 წელია გასაღები ქალაქს არავისთვის არ გაუცია საჩუქრად.

მე შემიყვანეს კომპიუტერში. ჩემი ნომერია: **W.W.W. Beso 4 Peace**.

ამის შემდეგ ათასობით ხალხი მიგზავნის წერილებს. მე ჩემი ნახატის ასლი ისეთი, თქვენ რომ გაქეთ გავუგზავნე საჩუქრად ამერიკის პრეზიდენტს ბ. კლინტონს, ერთი კვირის წინ მივიღე პრეზიდენტიდან წერილი, რომლის ასლსაც გიგზავნით, ჩემს წერილთან ერთად, ვიცი რომ ძალიან გაგიხარდებათ.



THE WHITE HOUSE
WASHINGTON

December 1, 1998

Beso Kazaishvili
Third Millennium Publishers
Suite C
17881 Sky Park Circle
Irvine, California 92614

Dear Beso:

Thank you for sharing your wonderful artwork with me. I was touched by your personal story, and I am glad to hear that you are using your creative talents to promote peace.

Working for peace can take many forms. Protecting the environment, reaching out to people in our communities, and stopping the spread of violence and crime are all things that we can do together to improve our nation and world.

My Administration is working, along with the United Nations, to promote understanding and peace throughout the world. I hope you will continue working toward individual, national, and global peace.

You are in my thoughts. Best wishes for every future happiness and success.

Sincerely,

Bill Clinton

ჩემი გამოფენები კომპანიას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა ქალაქებში. შეგვპირდნენ, რომ მოგვაწოდებენ სიას ახალი წლის შემდეგ, სად და რომელ რიცხვებში იქნება. როგორც კი მივიღებთ, შეგატყობინებთ. ძალიან მინდა ნახოთ ჩემი ახალი ნამუშევრები და როგორი გამოფენა ეწყობა.

ძალიან მენატრება ჩემი სახლი და საქართველო, ყველა ვისაც ვიცნობ. ჩემმა მშობლებმა მითხრეს, რომ თქვენთან დარეკავდნენ და ელაპარაკე ტელეფონითო. მე ძალიან მომერიდა და ვარჩიე წერილის მოწერა. ისედაც ბებიასაც რომ ველაპარაკები ტელეფონზე სულ მესაყვედურება ბევრი მელაპარაკეო. მე მირჩევნია წერილი დავწერო.

ჩემი მისამართია: **6 YANKEE IRVINE 92620, KAZAISHVILI BESO**. ტელ: 714-544-4372, ფაქსი 714-544-4372. როდესაც ფაქსს გვიგზავნიან წინასწარ უნდა ვიცოდე, რომ ტელეფონი გადავრთო. თქვენი ბესო.“

> „დიდ მომავალს ვხედავ ბესარიონ ყაზაიშვილის შემოქმედებაში. საქართველოს ეზრდება დიდი ხელოვანი. ღმერთმა დალოცოს და სულიერად გააძლიეროს“.
>
> ილია II.
> 7 მაისი, 1994 წ.

1 დეკემბერს „ძვირფას ბესოს“, როგორც ვხედავთ, წერილი გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რომელშიც ვკითხულობთ:

„თეთრი სახლი
ვაშინგტონი
დეკემბერი 1998 წ.

ძვირფასო ბესო,

მადლობელი ვარ რომ მაჩვენე შენი შესანიშნავი ხელოვნების ნიმუშები. განცვიფრებული ვარ პირადად შენი ისტორიით და მიხარია, რომ შენს ბუნებრივ ნიჭს იყენებ მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მშვიდობისათვის ბრძოლას სხვადასხვა ფორმები აქვს, კრიმინალისა და დამნაშავეობის აღმოფხვრა, ჩვენი საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესება და კიდევ მრავალი სხვა არის ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ ერთად უნდა დავძლიოთ, რათა ხელი შევუწყოთ ჩვენი ერის და საერთოდ მსოფლიოს განვითარებას.

ჩემი ადმინისტრაცია მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად, რათა განვამტკიცოთ ურთიერთგაგება და მშვიდობა მთელს მსოფლიოში. მე ვიმედოვნებ, რომ შენ გააგრძელებ მუშაობას ეროვნული და გლობალური მშვიდობისათვის.

შენ ჩემი მზრუნველობის ობიექტი ხარ. გისურვებ ბედნიერ მომავალს და წარმატებებს.

კეთილი სურვილებით,
ბილ კლინტონი.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია ახალი წელი მივულოცოთ ბესო ყაზაიშვილს, მის მეგობრებს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს, განსაკუთრებით სასწავლებლად და სამუშაოდ დროებით წასულ ახალგაზრდებს და მშობლიურ საქართველოში მალე დაბრუნება ვუსურვოთ.

სპარტაკ ძოწულია.

სურათებზე: ბესიკ ყაზაიშვილი; ბილ კლინტონის მიერ გამოგზავნილი წერილი; ბესიკ ყაზაიშვილი ოჯახთან ერთად.

საუკუნეთა მიჯნა

გრიგორი პომერანცი

„და უფსკრულს დაუღია ხახა“

ახალი შიშების შესახებ

მომავალზე როცა ფიქრობენ, ჩვეულებრივ ერთ (დასავლურ) ცივილიზაციას წარმოიდგენენ ხოლმე. არადა, მე, პირადად დარწმუნებული ვარ, რომ XXI საუკუნე ვერ წაშლის ისლამის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს; ინდოეთს შორის განსხვავებას. ყოველ კულტურულ სამყაროს თავისი შფოთი უკიდებს ცეცხლს. დღეს ისლამის ქვეყნებში ძალზე ძლიერია შიში დასავლეთიდან მომდინარე ერესისა და სიახლის, ფასეულობათა საუკუნოვანი იერარქიის განადგურების წინაშე, ამ ფასეულობებთან წილნაყარი ცხოვრების აზრის დაკარგვის წინაშე. ძალზე აშკარაა ახალი ექსტრემისტული მოძრაობები, და სხვადასხვა ცივილიზაციათა შორის შიშნეული დამოკიდებულებანი, იმათ შორის, ვინც გარედან დაკავშირებულნი არიან (ვთქვათ თვითმფრინავის, ტელევიზიის მეშვეობით) და შინაგანად კი ძნელად ეწყობიან ერთმანეთს. ამგვარი შიშები შეიძლება გაიზარდოს „მართლმადიდებლობის კანონიკურ სივრცეში“. ვთქვათ ანტიქრისტეს შიშმა, მეორედ მოსვლის შიშმა გულმხეცობის წინასწარგანუჭვრეტელი გამოვლინებებისაკენ შეიძლება უბიძგოს ადამიანს.

დასავლურ და ვესტერნიზებულ სამყაროში, ცივილიზაციის ლაბირინთში დაკარგულობასთან ერთად, შიშის წყაროდ შეიძლება ის წარმოსახული რეალობა იქცეს, რომელსაც ტელევიზია ქმნის.

იგივე შეიძლება გამოიწვიოს ინტერნეტის მეშვეობით მოგერილმა ინფორმაციულმა გადატვირთულობამ. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ შიშის შეგრძნებისას ადამიანი აფიქსირებს თავის კავშირს უსასრულობასთან. უმაღლესი სიბრძნის თავი და თავი ღვთის შიშიაო, გვასწავლის ბიბლია. მე ეს მესმის, როგორც გონებას აღმატებული, უსასრულო ძალის წინაშე შიში.

მეცნიერებისა და ღვთის რწმენის შესახებ

მეცნიერული აღმოჩენები, ახალი ფაქტები, ლოგიკის სრულყოფილება – ეს ერთია, ხოლო მთელის გრძნობა – სრულიად სხვა. მათ შეუძლიათ შეეჯახონ, მაგრამ შეუძლიათ ადვილად შეეთვისონ კიდეც ერთმანეთს. პასკალი იყო დიდი მეცნიერი და მხურვალე მორწმუნე კათოლიკე. მას ესმოდა, რომ პტოლემეს ასტრონომია დაინგრა და რომ არ არსებობს მყარი ცა, რომელზეც არის ღმერთის და მის მარჯვნივ მყოფი ძის ტახტი, მაგრამ ეს სახეები დარჩნენ მისთვის, როგორც სიმბოლოები, რომლის მიღმა იმალება წმინდას გონებისთვის მიუწვდომელი რეალობა. მეცნიერებამ დასვა კითხვა უსასრულობაში ადამიანის ადგილის შესახებ, მაგრამ პასუხი არ გაუცია. პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო რწმენა ღმერთისა, რომელიც მოიცავდა სივრცეს, დროს და ადამიანთა გონებას.

კოპერნიკის შემდეგ გადახსნილი კოსმიური უფსკრულის შიში პასკალის კვალად ბევრმა განიცადა, მათ შორის ტიუტჩევმა – ჩემში ამ შიშის გამღვიძებელმა. მე გულისყური მივაპყარი ერთ აბსურდულ კითხვას, რომელიც საკუთარ თავს დავუსვი. თუ არსებობს უსასრულობა (სივრცისა, დროისა და მატერიისა), მაშინ მე, არ ვარ (ერთი გაყოფილი უსასრულობაზე, ნულის ტოლია, და ყველაფერი მიწიერი ნულის ტოლია), მაგრამ თუ მე ვარ (და ყველაფერ ადამიანურს აქვს მარადიული ღირებულება), მაშინ უსასრულობა (ცუდი უსასრულობა, როგორც იტყოდა ჰეგელი) არ არსებობს. სამი თვე ვსწავლობდი ამ საკითხს, რომელსაც არ ჰქონდა რაციონალური პასუხი, – ისე, რომ თითქმის ვერ ვამჩნევდი დიდ ტერორს (ეს ხდებოდა 1938 წელს), – ჰოდა, უეცრად, შინაგანი შუქის განათებისას დავინახე ზოგიერთი იდეა, რომლითაც დაიწყო ჩემი ხანგრძლივი გზა წმინდას გაგებისათვის. არც ერთ მეცნიერულ აღმოჩენას არ შეეძლო ხელი შეეშალა ჩემთვის. ვფიქრობ, რომ არც მომავალში შეუშლიან ისინი. მეცნიერული აღმოჩენები ანგრევენ რელიგიური ხატოვანების სიტყვასიტყვით გაგებას, მაგრამ ვერ ართმევენ ძალას მეტაფორებს და უბრალოდ არ ეხებიან წმიდას ნეგატიურ აღწერას. დოსტოევსკის რომანში თავად მიშკინისა და რაგოჟინის საუბრისას თავადი აღნიშნავს: ათეისტები ლაპარაკობენ **არა იმაზე, იმის** მნიშვნელობაზე კი – არაფერს ამბობენ.

განსხვავებული საათების შესახებ

ჰერცენმა დაწერა, რომ XIX საუკუნე მხოლოდ ზემოთაა, ცოტა ქვემოთ – XIV საუკუნეა, შემდეგ კი სხვადასხვა ფერის ჰოტენტოტები და კაფრები არიან. ფენათა (წარსულის, აწმყოსა და მომავლის) ეს სიმრავლე ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში. ცალკეული ადამიანები, ცალკეული ქვეყნები თითქოსდა განსხვავებული საათების მიხედვით ცხოვრობენ. ზოგჯერ ღმერთი – როგორც იტყოდა განდი – პურის ფორმით ევლინება ადამიანს. დამშეულს სამოთხედ ეჩვენება ზომიერი მაძღრობა. ასეთ დროს მარქსიზმი ცოცხლდება და ისახება იმ საზოგადოების აგების ახალი ცდები, რომელშიც ყველა ირჯება უნარის მიხედვით და იღებს მოთხოვნილების მიხედვით. თუმცა, მოთხოვნილება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მათი დაკმაყოფილების საშუალება, ხოლო უნარი აუხსნელი და მოუხელთებელი რამაა. ყოველი მსახიობი დარწმუნებულია ჰამლეტს ვითამაშებო, არავის არ აკმაყოფილებს მეორე მესაფლავის როლი; ტანჯვა, რომელიც დაკავშირებული იქნება საკუთარი შესაძლებლობების (ნამდვილის თუ მოჩვენებითის) რეალიზების შეუძლებლობასთან, ყოველთვის დააბრკოლებს საყოველთაო ბედნიერებას. უფრო საინტერესოა მარქსის სხვა აზრი, გამოთქმული „კაპიტალის“ მესამე ტომში, ადამიანური ბუნების სიმდიდრის, როგორც თვითმიზნის უსასრულო განვითარების შესახებ. ახალგაზრდობაში მე დავიჯერე, რომ ადამიანური ბუნების მთელი სიმდიდრე სიკეთის კუთვნილებაა, ახლა ვხედავ სტავროგინს, რომელმაც ერთნაირად განავითარა თავისი მიდრეკილებანი სიკეთისა და ბოროტებისაკენ. მე მეჩვენება, რომ ღმერთის ხედვის გარეშე ადამიანს გაუჭირდება ადამიანად ყოფნა, ხოლო ათეისტური ჰუმანიზმი ძალიან მერყევია, თუმცა, ის დღესაც შესაძლებელია და მომავალშიც საეჭვოა, რომ მიწისპირისგან აღიგავოს.

კატასტროფის შესაძლებლობის შესახებ

მე ძალიან მწყინს, რომ ვწერ ამას, მაგრამ უნდა ვთქვა, – XXI საუკუნის დასაწყისისთვის ყველაზე საშიში ქვეყანა რუსეთია. კატასტროფისთვის სულ არ არის საჭირო დიდი ავკაცი, რომელსაც სტალინის დემონური ნება აქვს ან ჰიტლერის აკვიატებული აზრები, საკმარისია პატარა ეშმაკი, იმ ატომგულიანი ყუმბარების მარაგით. რომელიც ბრეჟნევისა თუ ჩერნენკოს მძინარე მმართველობის დროს დაგროვდა. ეშმაკები კი ირგვლივ ბლომად არიან.

თუმცა, საშიში ზონები ყველგანაა. სამყაროს სტაბილურობა შეიძლება დაარღვია ჩინეთის ძლიერების ზრდამ, მუსლიმანურმა ექსტრემიზმმა, საშიშია დასავლეთიც. სწორედ ისაა ბიოსფეროს მთავარი გამანადგურებელი, საშიშია დასავლეთის ტელეხედვა, რომლის შედეგები კარლ პოპერმა შეადარა ალკოჰოლიკი მამის გავლენას ოჯახზე. საშიშია ახალი აღმოჩენების მოულოდნელობა (უწყინარი რევოლუციები არ არსებობს, რევოლუცია მეცნიერებასა და ტექნიკაშიც არ არის უხიფათო); მე არ შემიძლია გავიგო, რა საშიშროება ახლავს ინტერნეტს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ისიც რაღაცას უცვლის ადგილს და ანადგურებს, ყოველგვარი განვითარება საშიშია. საშიშია უძრაობაც – მას აუცილებლად მოსდევს კატასტროფა.

მოწყენილობის შესახებ

მე არ მჯერა ვარდისფერი მომავლისა. გამუდმებით იზრდება მოსახლეობა, მატულობს ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულების რაციონალიზაციის ხარისხი, საზოგადოების დიფერენციაცია. საწარმოო ძალები – იმავდროულად გამანადგურებელი ძალებია. რაციონალიზაცია შრიტავს სამყაროსადმი დამოკიდებულებას, ტაძარს სახელოსნოდ აქცევს. დიფერენციაცია მთელისადმი მიმართებას აძნელებს, სოციალური სისტემები რთულდება, მოწყენილობა დუნე, მიზნობრივ ყოფიერებას მოწყვეტილი ცხოვრების ნიშანია, იმ ცხოვრებისა, რომელმაც საზრისი დაკარგა და თავისი შინაგანი უსასრულობა ვერ გააცნობიერა, მოწყენილობა და დარდი სხვადასხვა რამაა. დარდი თავისი უსასრულობით ძლევს მოწყენილობას. ამას მე მივხვდი სიყმაწვილეში, ტიუტჩევის ლექსების კითხვისას. ეს ლექსები სრულიადაც არ იყო თავშესაქცევი. შემდეგ იგივე რამ ბახის მუსიკაში აღმოვაჩინე. ჯერ საშინელ ტკივილს გრძნობ, მერე კი ფრთა გესხმება. საბოლოოდ ანტონი სუროჟელმა გამიხსენა მე ის, რასაც თვითონ „ლოცვის განზომილებას“ უწოდებს. გარეგნული სიმშვიდე, რომლის დროსაც ზედაპირული ადამიანი მოწყენილობას ეძლევა, ძალზე ხელსაყრელია სულის წიაღში სამოგზაუროდ. არა მგონია, რომ ეს გზა XXI ან თუნდაც XXXI საუკუნეში დაიხშოს.

დემოკრატიის კრიზისის შესახებ

ერთ-ერთი საშუალება მოწყენილობისაგან თავის დაღწევისა დემოკრატიის კრიზისია. წმინდა დემოკრატია – ისეთი როგორც ათენში იყო – არამდგრადია, ვერ უძლებს გამოცდას და იოლად გადადის ოხლოკრატიაში. სიცოცხლისუნარიანი სისტემა წარმოუდგენელია სრულუფლებიანი ინსტიტუტების არსებობის გარეშე. რომის მდგრადობა ეფუძნებოდა სახალხო საკრებულოების დემოკრატიას, სენატის ოლიგარქიას და დიქტატურას, ამ სიტყვის ძველი გაგებით. აქ იგულისხმება ექვსთვიანი უფლებამოსილება საბოლოო ანგარიშებით. შეერთებულ შტატებში კონგრესის დემოკრატია ეთანაწყობა უმაღლესი სასამართლოს ოლიგარქიას და პრეზიდენტის ძალზე დიდ უფლებამოსილებას. საფრანგეთი ალჟირის კრიზისის წლებში პრეზიდენტის გაძლიერებული უფლებამოსილების გარეშე ფონს ვერ გავიდოდა. მომავალმა კრიზისმა შეიძლება მოითხოვოს გაზრდილი, დიქტატორული უფლებამოსილებანი. ვთქვათ, იქნებ ეკოლოგიური კრიზისი გაიძულებს ტკბილი ცხოვრება დათმო და ასკეზას მისცე თავი? ადვილი შესაძლებელია, პარლამენტარებმა ეს ამოცანა ვერ გადაწყვიტონ.

რაც შეეხება ზნეობრივ ნორმებს, ისინი ნებისმიერი რეჟიმის დროს არსებობენ. ისინი დღეგრძელნი არიან და ერთ კანონს ექვემდებარებიან: ამოცანათა ზრდას. სხვა საქმეა, რომ მატულობს გარღვევა ნორმასა და სინამდვილეს შორის. საშუალო ქრისტიანი ვერ დაიტრაბახებს ძველ აღთქმაზე ამაღლებულობით. ცხოვრების სირთულესთან ერთად მძაფრდება გაღიზიანების და დაბნეულობის განცდა: სტრესების მატებასთან ერთად მარცხიანობაც იმატებს: ეს განსაკუთრებით ნიშნეულია ჩვენი ქვეყნისათვის. XXI საუკუნის ერთ-ერთი პრობლემა ქალაქური ცხოვრების რიტმის ბუნების რიტმთან დაახლოებაა. ადამიანი რობოტი არ არის და მისი უნარი ტექნიკის სამყაროსთან დაახლოებისა უსაზღვრო არ არის. აქ ბევრი რამაა დამოკიდებული ცალკეულ ადამიანებზე: მათ სიმშვიდისადმი და ჰარმონიისადმი მიმართულ ნებაზე.

შეუცნობელის შესახებ

ყველა ცალკეული პრობლემა პრინციპში გადაწყვეტადია. მაგრამ ყოველი გადაწყვეტილი პრობლემა ორ ახალ პრობლემას წარმოშობს და ს ერთობ არეულობა მეცნიერული ცივილიზაციის ლაბირინთში საგრძნობლად მატულობს. პასკალის მიერ XVII საუკუნეში დასმული საკითხი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ადამიანი უსასრულობაში, დღემდე ა გახსნებულა და არც გახსნდება. არ დაძველდება, აგრეთვე, რელიგიის ენაზე თარგმნილი იგივე საკითხ რას ნიშნავს მარადისობის წინაშ წარმომდგარი ადამიანი, თუმცა, ადა მიანების უმრავლესობამ ვერც ად შეიცნო ყოველივე ეს და ვერც მო მავალში შეიცნობს. ისინი (როგორ თავად მიიჩნევენ) შესანიშნავად გა ნვლევენ ცხოვრებას მეტაფიზიკის გა რეშე – ვიდრე ჭირთა შორის უძნ ლესი სიბერე არ ეწვევათ.

მამაკაცისა და ქალის შესახებ

ჩემი აზრით, დღევანდელი მოარ ლი სენი მსუბუქი ცხოვრებისა და ს ბედისწერო საკითხებისგან თავის ღ ღწევისა, ისტორიის დასასრულს ა მოასწავებს. წარსულში უკვე იყ ალექსანდრიული პერიოდი, ტრაგ კულ სიღრმეთა ზედა ჰარმონიის ძ ებებით, მყუდრო, რაციონალური მ დაპირიდან ფეხმოუნაცვლებლად, ან ტიკურობის ნათელმოსილ სალამო ქრისტიანული ღამე მოჰყვა მუდმი ვი დაღუპვისა და მუდმივი ხსნისთვი უფსკრულივით გადახსნილი.

რაც შეეხება ადრეულ ქორწინე ბებს, ეს იოლი ცხოვრების მოწყ ბის საშუალებაა და მას შეკავებ ლი სქესობრივი გრძნობა იწვევს. მე ორადი სასქესო ნიშნების გაჩენა ჯერ კიდევ არ მეტყველებს პიროვნები ჩამოყალიბებაზე. პიროვნება გაც ლებით უფრო გვიან ყალიბდება. ორ უმწიფარი არსების სიახლოვე მეტ წილად ტანჯვასა და განხეთქილე ბას გამოიწვევს. ერთ მოლეკულა ქცევა, თანაზრდა იშვიათი ბედნი რებით დაჯილდოებულ ადამიან ხვედრია. უმეტესწილად ატომები გა ნესწრაფვიან ერთმანეთს და მწ ვედ შეიგრძნობენ მარტოობა მარტოობაც, თავის მხრივ, ზოგჯე თუ ანიჭებთ ადამიანებს ტანჯ სთან ერთად სულიერ სიმწიფ უფრო ხშირად სწრაფი ტკბობი ლების სურვილი ნარკომანიისა უბიძგებს ადამიანს, ეს ის სენია, რო მელსაც XX საუკუნემ ვერ მოუარ და XXI საუკუნეს გადაულოცა.

იერარქიების შესახებ

„არსებობს ფასეულობათა ურყევ შკალა“ – მაგრამ ყოველ ადამიან ის თავისებურად უყალიბდება, ზო გჯერ ერთი და იგივე პიროვნება სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა შკალ აქვს. იცვლება აქცენტები. ინდოელებმ ადრეულ ხანაში სამი საყოველთაო ფასეულობა აღიარეს. [illegible] (მოვალეობა), არტჰა (სიმდიდრე, ძ ლაუფლება) და სამა (ტკბობა). მ რე (უკვე ბუდას შემდეგ) იუდაიზმ კიდევ ერთი უმაღლესი ფასეულ ბა აღიარა – მოკშა (სულის მიხ განი თავისუფლება, მისი ღვთაებრ სისრულესთან შერწყმა) შეიძლე კიდევ რაიმეს მოფიქრება? კა რომ თქვას, ყოველივე დანარჩ უკვე აღიარებულ ფასეულობათა მოძახილია. მაგრამ რა უნდა ვქნ როცა ჩვენს თვალწინ თანდათან ბა სიმდიდრეც, ძალაუფლებაც და ბობის შესაძლებლობანიც?

პუბლიკაცია მოამზა
ანდრო ბუაჩიძ

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ახალ წელს გილოცავ, რენატ!

საგაზეთო წერილით გილოცავ რენატ ქარჩაა! მკითხველი იფიქრებს, ცხრა მთას იქით გადაკარგულ კაცს ეხმიანებაო. ხუთასი კილომეტრი, აბა, რა მანძილია, მაგრამ ახლა შორს ვართ ერთმანეთისგან, ისე დაგვაშორიშორეს, რომ...

ჩემს არქივს ვათვალიერებდი. იქ ძველი უბის წიგნაკი ვნახე. გადავფურცლე და შენი მისამართი მომხვდა თვალში: სოხუმი, საფოსტო განყოფილება „სინოპი“, სახლი 35, ბინა 44 (384914) რენატ ქარჩაა.

რაც ეს უაზრო ომი დაიწყო, ხშირად ვფიქრობდი შენზე. ნეტა, რა პოზიცია უჭირავს, თუ მიხვდა, რომ ომი აფხაზეთში სხვადასხვა ძალების მიერ იყო ინსპირირებული-მეთქი.

ჩვენი შეხვედრა მინდა გაგახსენო. ვეჭვობ, დაგვიწყნოდა. ამ ათი წლის წინათ უმაღლესი განათლების პრობლემებზე რესპუბლიკური გაზეთის რედაქციაში „მრგვალი მაგიდა“ მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები – მასწავლებლები, სტუდენტები...

იმხანად რედაქციაში ერთი ძველი ჩამწერი გვქონდა და იმის იმედად ვერ დავდექით, დახმარებისთვის სტენოგრაფიულ სასწავლებელს მივმართეთ, იქიდან სამი გოგონა გამოგზავნეს. მრგვალი მაგიდა მეტად საინტერესოდ წარიმართა და საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. სხვებთან ერთად შენც მონაწილეობდი. როგორც კი მუშაობა დავამთავრეთ, სტენოგრაფისტებმა მორიდებით გვითხრეს, წერას ვერ ვასწრებდით და რომ გავშიფროთ კიდეც, სრულფასოვანი არ იქნებაო. ძალიან შევწუხდით. ზოგმა იქვე დაწერა თავისი ნააზრევი, ზოგი ტელეფონით შეხმიანებას შეგვპირდა. შენ მატარებელზე გაგვიანდებოდა და დაგვიბარე, მალე წერილს გამოგიგზავნითო. მართლაც, რამდენიმე დღეში შენი ბარათი მივიღეთ, გულთბილი მოკითხვის შემდეგ დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდი „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობის გამო და სტუდენტის თვალით დანახულ უმაღლესი სკოლის პრობლემებზე მეტად საინტერესოდ წერდი.



ნეტავ, სადა ხარ ახლა, რენატ, რას საქმიანობ, სოხუმში დარჩი, თუ ჩემი სტუდენტობის მეგობრებივით დოდო ნარმანიას, მიმოზა გადილიას, გივი ბერაიას და ინდიკო კვეკვესკირივით ბუდემოშლილი, დროებით, შენც გაეცალე და კვლავდაბრუნების იმედით სულდგმულობ.

ან, იქნებ, შენც ერთ-ერთი იმათთაგანი ხარ, ვინც მხცოვანი მეცნიერები, ცოლ-ქმარი ნინო მღებლაძე და შოთა გოგოხია დაცემულ სოხუმში ცხრა თვე შეიფარა და მატარებლით მალულად მოსკოვს გააპარა, ან დასახვრეტად განწირულ ქართველებს თავდებად ედგა?

ან იქნებ...

შენ ისეთი მახსოვხარ, არ მინდა ფიქრშიც დავუშვა, რომ სხვაგვარად იქცეოდი. ასეც რომ ყოფილიყო, მჯერა, აფხაზეთის აწინდელ მდგომარეობას უწინდელი რომ გირჩევნია...

დარწმუნებული ვარ, მიხვდებოდი, რომ საქართველო განუყოფელია და შერიგების მომხრე ხარ!

წერილს ფოსტით არ გიგზავნი. ვფიქრობ, შენამდე არ მოვა. თუ ამ საგაზეთო წერილის შესახებ შეიტყობ და შესაძლებლობა მოგეცემა, შემეხმიანე. მაშინდელი სურათები შემომრჩა – ფოტორეპორტიორს შენთვის რამდენიმე კადრი გადაუღია. ერთ-ერთს ვაქვეყნებთ. ასეთი იყავი მაშინ.

რენატ, იმის იმედით ვემშვიდობები, რომ მომავალ ახალ წელს ერთმანეთს პირადად მივულოცავთ.

შემთხვევით კი არ შემინახავს შენი სურათები და მისამართი.

ბელა დურგლიშვილი.

სურათზე: რენატ ქარჩაა.

გვწერენ

მეც გამიჩნდა სურვილი...

თავის ვრცელ რეცენზიას **„რატომ ვუჭერ მხარს „ჰამლეტს“ და არა“**... თეატრალური კრიტიკოსი ნათელა არველაძე ასე ამთავრებს: „ახლა კი მკითხველმა განსაჯოს მტყუან-მართალი“...

მეც გამიჩნდა სურვილი ამ მოწოდებას გამოვეხმაურო როგორც მკითხველი და როგორც მაყურებელი, ორსავე შემთხვევაში – ჩვეულებრივი, ანუ რიგითი. ალბათ, სპეციალისტები სხვაგვარად, უფრო ღრმად და დასაბუთებულად განსჯიან ამ, რბილად რომ ვთქვათ, ტენდენციურ რეცენზიას.

მხედველობაში მაქვს კრიტიკული წერილის მეორე ნაწილი, რომელიც „მარჯანიშვილელთა“ (რეცენზენტის ეს ტერმინი რუსულის „ვახტანგოვცი“, „მარჯანოვცი“ და ა. შ. უხეირო კალკი მგონია), ანუ მარჯანიშვილის თეატრის ახალ დადგმას – სტრინდბერგის „მამას“ ეხება. მართალია, რეცენზიის ორი მესამედი „ჰამლეტის“ ახალი ინტერპრეტაციის განხილვასა და ქება-დიდებას წარმოადგენს, მაგრამ მის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან, სამწუხაროდ, ეს სპექტაკლი არ მინახავს.

რაც შეეხება „მამას“, საბედნიეროდ, ვნახე და საოცრად დიდი სიამოვნება მივიღე. ეს შთაბეჭდილება დღემდე არ გამნელებია, ჩემთვის, როგორც დილეტანტი მოყვარულისათვის, ნამდვილი აღმოჩენა იყო სტრინდბერგის რთული პიესის პირველი და ასეთი დიდოსტატური წარმოჩენა, მთელი დასის, განსაკუთრებით კი, ზურაბ ყიფშიძის თავგანწირული, უმაღლეს დონემდე აყვანილი თამაში, თამაში კი არა, ცხოვრება სცენაზე, როცა შენც ხდები თანამონაწილე გრძნობათა ჭიდილისა, რასაც სიყვარული და სიძულვილი, ბოროტება და სიკეთე, სინათლე და სიბნელე ჰქვია, და რაც არასოდეს მოძველდება, ვიდრე ადამიანი იარსებებს...

ამდენად, სრულიად მოულოდნელი მეჩვენა კრიტიკოსის, თანაც თეატრალური კრიტიკოსის, სპეციალისტის მიერ საკითხის ასეთი დაყენება: „რისთვის დაიდგა პიესა დღეს? რა მნიშვნელოვანი სათქმელით ეხმიანება იგი ჩვენს გასაჭირს!“ როდის აქეთ იქცა ეს უტილიტარული მიდგომა ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშის საზომად?! თავისი დებულების შესამაგრებლად კრიტიკოსი აკრძალულ ხერხს მიმართავს, ისეთ შემზარავ სურათს გვიხატავს ჩვენი გასაჭირისა, საერთოდ თეატრი, არათუ „მამა“, რა მოსატანია მის ფონზე. მისი აზრით, ასე უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება რეჟისორ თემურ ჩხეიძის, „მკრეხელური დანაშაული“. „თემურ ჩხეიძემ, – სრული სერიოზულობით წერს რეცენზენტი, – სხვა პლანეტიდან გამოისეირნა (!) ჩვენს დათრგუნულ (?!), გაჟერანებულ (?!), გაცამტვერებულ (?!), გაყიდულ (?!!), გასხვისებულ (?!), უსუფთაო (?!), დანგრეულ (?!), უსინათლო (?!), გაყინულ (?!) მამულში და როცა გაძვალტყავებულ (?!), მათხოვრად (?!) ქცეულ ქართველს „პური“ ენატრება, კეკლუცად (!) შემოგვთავაზა ძვირადღირებული „პეროჟნი“...

ჯერ ერთი, ვერ გავიგე ამ, ისევ ძალიან რბილად რომ ვთქვა, გაღიზიანებული, სარკასტული ტონის საფუძველი. მეორე, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, არ გვიჭირსო, მაგრამ ასეთი უსაშველო სურათი სად ნახა ავტორმა? იქნებ რამდენიმე წლით უკან დაიხია? თანაც, ასეთ დღეში თუ ვართ, რა გვეთეატრება, გვეკონცერტება, გვეგამოფენება? არა და, რომ იდგმება და იმართება და სულის მოთქმის საშუალებაც გვეძლევა, მადლობის მაგიერია? ვერ გავიგე, რატომ არის, რეცენზენტის „გონებამახვილურ“ სიმბოლიკას თუ მოვიშველიებთ, „ჰამლეტი“ – „პური“; ხოლო „მამა“ – „პეროჟნი“? და ბოლოს, გაუგებარია, რატომ იკადრა რეცენზენტმა სახელოვანი, უაღრესად ნიჭიერი და, ამავე დროს, თავმდაბალი, მოკრძალებული რეჟისორისა და პიროვნების (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასეთად მყავს წარმოდგენილი თემურ ჩხეიძე და, არა მგონია, ვცდებოდე) ასეთი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი გამოთქმებით „შემკობა“: „გამოისეირნა“, „კეკლუცად შემოგვთავაზა“ და ა. შ.

სხვათა შორის, კრიტიკოსის ტენდენციურობა უკვე სათაურშივე მჟღავნდება: **„რატომ ვუჭერ მხარს“**... კრიტიკოსი (და საერთოდ, ნორმალური ადამიანი) კი არ უნდა უჭერდეს, ან არ უჭერდეს მხარს ვინმეს წინასწარ აკვიატებული იდეის გამო (ვთქვათ, რატომ „იხარჯები“ სხვაგან, ან რატომ დგამ არაქართულ პიესებს), არამედ ცდილობდეს ობიექტურად შეაფასოს მოვლენა!

ცხადია, არც ამ შემთხვევაშია გამორიცხული შეცდომა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ჩემი მსჯელობა არაა მოკლებული სუბიექტურობას. ამიტომ ჩემს კოლეგა-მკითხველს ვურჩევ წაიკითხოს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ნოდარ კაკაბაძის წერილი **„ბრძოლა სქესთა შორის“**, რომელშიც კვალიფიციურად და ობიექტურად არის გაანალიზებული ავგუსტ სტრინდბერგის პიესა „მამა“ და მისი თემურ ჩხეიძისეული დადგმა, მარჯანიშვილის თეატრის უეჭველი გამარჯვება.

ალექსანდრე გვახარია.

„პოლემიკა“



ლევან მართაშვილის ნახატი.

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს!

იაფი საყიდლებში მამაკაცებს ძვირად უჯდებათ

ნაშობაევებს ამერიკელი მყიდველები მაღაზიებს შეესივნენ, რათა შეღავათიან ფასად იყიდონ საქონელი. ორშაბათიდან ოჯახის უფროსები ცოლების თხოვნით მთელ დღეს სუპერმარკეტებისა და საფირმო მაღაზიების გრძელ რიგებში ატარებენ. მამაკაცებს მართლაც უჭირთ ხალხმრავალ რიგში დგომა, დიდხანს ვერ დადიან სავაჭრო რიგებში და ზოგჯერ წაუძინებენ კიდეც — ასე რომ, სწორი ყოფილან ამასწინანდელი გამოკვლევის ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ვერ იტანენ მაღაზიაში სიარულს.

მოსკოვი — ახალი სახელმწიფოს დედაქალაქი

რუსეთისა და ბელორუსიის პრეზიდენტების შეხვედრას, რომელიც კრემლში გაიმართა, სენსაცია მოჰყვა. მომავალი წლიდან ფორმდება ახალი სახელმწიფო — სამოკავშირეო. ჯერჯერობით, არ არის ცნობილი, რა ეწოდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ არც რუსეთი და არც ბელორუსია არ იტყვიან უარს თავიანთ ისტორიულ სახელებზე. ამიტომ, ახალი სახელწოდება, ალბათ, ასეთი იქნება; რუსეთ-ბელორუსიის სამოკავშირეო სახელმწიფო — რბსს.

ორი სახელმწიფოს გაერთიანების რეფერენდუმის დადებითი შედეგი არავითარ ეჭვს არ იწვევს. კრემლში სახელმწიფო მოღვაწეთა მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია „რუსეთისა და ბელორუსიის შემდგომი ერთიანობის შესახებ". ნავარაუდევია, რომ უკვე უახლოეს ხანს შეიქმნება სამოკავშირეო სახელმწიფო ორგანოები, ერთაზედა მმართველობის ორგანოები, ჩამოყალიბდება ერთიანი ბიუჯეტი. ბუნებრივია, დაწესდება ერთიანი მოქალაქეობა. სამოკავშირეო სახელმწიფოს მშენებლობას რამდენიმე წელიწადი დასჭირდება. მაგრამ, უკვე ამთავითვე მიმდინარეობს სამართლებრივი ბაზის უნიფიკაცია სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში — ყალიბდება ერთიანი საბაჟო სივრცე, სამოქალაქო და საგადასახადო კანონმდებლობა... ერთიან ვალუტაზე გადასვლა ასევე უახლოეს მიზნად არის მიჩნეული.

რუსეთ-ბელორუსიის კავშირის ფარგლებში ბევრი საკითხი უკვე გადაწყვეტილია. არსებითი განსხვავება დარჩება მხოლოდ საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირებისადმი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისადმი მიდგომებში, აგრეთვე, პრივატიზაციის სფეროში. ექსპერტთა გაანგარიშებით, გაერთიანების შედეგად სამოკავშირეო სახელმწიფოს პოტენციალი 25 პროცენტით გაიზრდება.

ექსპერტები, აგრეთვე, ამბობენ, რომ კავშირის შექმნის შემთხვევაში რუსეთს მეტი გეოპოლიტიკური უპირატესობა მიენიჭება. მას ეხსნება გასასვლელი ცენტრალური ევროპის რეგიონის საზღვრებზე, მოსკოვი გააძლიერებს თავის სტრატეგიულ მდგომარეობას მთლიანად დასავლეთი მიმართულებით, რაც დააცხრობს არსებული თუ ახალი ბლოკებისა და კავშირების მხრივ მოსალოდნელ პოტენციურ საფრთხეს.

მაგრამ, ნებისმიერი გაერთიანება დანახარჯებს მოითხოვს. ძირითადი ტვირთი რუსეთს დააწვება. დიდი საფრთხეა მოსალოდნელი იმ მხრივ, რომ პოლიტიკოსებმა შეიძლება ვერ გაუძლონ ცდუნებას და ხელოვნურად დააჩქარონ სამოკავშირეო სახელმწიფოს მშენებლობა. ბევრნი შეპყრობილი არიან ავადმყოფური სურვილით, გაისარჯონ „თავისუფალ ერთა მძლე კავშირის ძმურის" ახალი მოდიფიკაციის შესაქმნელად და თუ ბოლშევიკურმა ენთუზიაზმმა იმარჯვა, მაშინ ყველაფერი წყალში ჩაიყრება. გაერთიანება არავითარ ხეირს არ დაგვაყრის, წერს გაიაზ ალიმოვი „იზვესტიაში".

ისრაელი: ტოვებენ მმართველ პარტიას

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ საკვანძო მინისტრებს — ლიკუდის ბლოკის წევრებს მოუწოდა, არ დატოვონ პარტია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც მაისშია დანიშნული. ბოლო დროს პარტიის ბევრი თვალსაჩინო წევრი განზე უდგება ნეთანიაჰუს — პარტიის ლიდერს. თავდაცვისა და კავშირგაბმულობის მინისტრები — მორდეხაი და ლივიატი აპირებენ შესვლას საარჩევნო ბლოკში, რომელსაც აყალიბებს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ლიპკინ-შაჰაკი. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ეითანმა უკვე განაცხადა, რომ განზრახული აქვს, იბრძოლოს პრემიერის პოსტისათვის. ყოფილი ფინანსთა მინისტრი მერიდორი ასევე გავიდა ლიკუდიდან და განზრახული აქვს, კენჭი იყაროს პრემიერის პოსტზე.

ტექნიკა - ცხოვრებაში

კალიფორნიაში გაიხსნა ამერიკის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა — ტექნოლოგიის მუზეუმი. მნახველთ შეუძლიათ დატკბნენ, როგორ არის მოწყობილი მიკროჩიპები, გაეცნონ ლაბორატორიების ხელსაწყოებს. მეთვალყურეთა გაანგარიშებით, მუზეუმი წელიწადში ათ მილიონ დოლარ შემოსავალს მოიტანს, ვინაიდან უამრავი ხალხი ეტანება მიმავალი საუკუნის სასწაულებს.

წლის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მოვლენები

31 დეკემბრის „ნეზავისიმაია გაზეტამ" გამოაქვეყნა წლის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მოვლენების რეიტინგი: 1. მონიკა-კლინტონი-ერაყი. 2. ბირთვული გამოცდები ინდოეთსა და პაკისტანში. ბირთვული კლუბის ფაქტობრივი გაფართოება (პირველად, 1960-იან წლებში ჩინეთის შესვლის შემდეგ). 3. ნატოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის მიუღებლად კოსოვოში სამხედრო ინტერვენციის მოწონება (აქცია ჯერ არ გამართულა). 4. არეულობა ინდონეზიაში, პრეზიდენტ სუჰარტოს გადადგომა. 5. აუგუსტო პინოჩეტის დაპატიმრება ლონდონის საავადმყოფოში.

RADIO LIBERTY
BBC ONLINE

იემენის პრემიერ-მინისტრმა აბდულ-ქარიმ ალ-ირიანიმ ბრიტანეთის ლიდერს ტონი ბლერს განუცხადა: მთავრობის უშიშროების ძალები რომ არ ჩარეულიყვნენ, ადგილობრივი ტომის წარმომადგენელთა მიერ შეპყრობილი 16-ვე მძევალი დაიხოცებოდაო. გადარჩენილი ტურისტების თქმით კი, მათ არაფერი არ ემუქრებოდა, და გამტაცებლებმა ტურისტების კვლა დაიწყეს მას შემდეგ, რაც მთავრობის ძალებმა შეუტიეს. ლონდონი ახსნა-განმარტებას მოითხოვს მომხდარის გამო. ბრიტანეთის ოფიციალურ პირთა თქმით, ლონდონი იემენის ხელისუფალთ ურჩევდა, გაეგრძელებინათ მოლაპარაკება მძევალთა განთავისუფლების შესახებ. ამავე დროს, როიტერის სააგენტოსათვის გადაცემულ განცხადებაში ე. წ. ადენ-აბიანის ისლამისტური არმიის დაჯგუფება იუწყება, რომ მისმა მებრძოლებმა ტურისტები მოიტაცეს ერაყის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შეწყვეტის მისაღწევად.

შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ერაყის ცაში ბრიტანეთის თვითმფრინავისათვის ცეცხლის გახსნის მიუხედავად, დასვენების დღეებში იწყებს სპარსეთის ყურის რაიონში თავისი სამხედრო ყოფნის დაგეგმილ შემცირებას, მაგრამ პენტაგონის წარმომადგენლის თქმით, იქ საკმარისად დარჩება ძალები, სახელდობრ: ერთი ავიამზიდი, 200 თვითმფრინავი, 20-ზე მეტი სამხედრო ხომალდი და 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე.

ევროპის კავშირის 11 ქვეყნის ფინანსთა მინისტრები გუშინ ბრიუსელში შეიკრიბნენ ერთიან ევროპულ ვალუტაზე — ევროზე გადასვლის ბოლო ეტაპის დასასრულებლად. მეთვალყურეთა აზრით, მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა ევროპაში. ფინანსთა მინისტრებმა უნდა მოიწონონ გაცვლითი კურსები ევროვნული ვალუტებისა და ევროს კონვენტირებისათვის. ევროვნული ვალუტები არსებობას შეწყვეტენ 2002 წელს. ჯერჯერობით, ევროს გამოიყენებენ ფინანსურ ტრანზაქციებში, ხოლო მომხმარებლებს შეეძლებათ, იქონიონ ევროიანი საბანკო ანგარიშები და საკრედიტო ბარათები. დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ და შვედეთმა ჯერჯერობით თავი შეიკავეს ევროსთან შეერთებისაგან, ხოლო საბერძნეთმა ვერ შეასრულა საამისოდ საჭირო ეკონომიკური პირობები.

პოლონეთის საიდუმლო პოლიციის ორი გენერალი — ვლადისლავ ჩასტონი და ზენონ პლატოკი — კვლავ წარსდგება სასამართლოს წინაშე 1984 წელს დისიდენტი მღვდლის ეჟი პოპელიუშკოს მკვლელობის ბრალდებით. ისინი 1994 წელს გაამართლეს სამხილის უკმარისობის გამო, მაგრამ ახლა გენერლებს წაუყენეს ახალი ბრალდებები, კერძოდ, პოპელიუშკოს წინააღმდეგ ჩვენებათა დამახინჯება, აგრეთვე, ერთ-ერთი მკვლელის წაქეზება ეკლესიის კიდევ ერთი მსახურის მოსაკლავად.

ნიუ-იორკში დააპატიმრეს გაეროს თანამშრომელი, ამერიკის მოქალაქე ჩარლზ კიმი, რომელიც ბილეთებით უზრუნველყოფდა ყოფილ იუგოსლავიაში მიმავალ გაეროს მშვიდობისმყოფლებს. მას ბრალად ედება ხორვატეთის სამოგზაურო ბიუროსაგან თითქმის ნახევარი მილიონი დოლარის უკანონოდ მიღება. როგორც პროკურორი ამტკიცებს, ჩარლზ კიმმა ზაგრების სააგენტოს თანამშრომლებს უბრძანა, გაეროში წარედგინათ წამატებული ანგარიშები, ხოლო სხვაობა მისთვის მიეცათ.

ოსეთის პარლამენტმა გუშინ გააუქმა ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურთა არჩევითობა. რაიონული ადმინისტრაციების მეთაურებს და ქალაქის მერებს ამიერიდან პირადად დანიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზასოხოვი, ხოლო ოსეთის მცხოვრებთ შეეძლებათ აირჩიონ მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურის სისუევის აზრით, ოსეთის პრეზიდენტის ეს ინიციატივა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადგილობრივი თვითმმართველობის ფედერალურ კანონს.

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ოფიციალური ბრალდება წაუყენეს გუშინ ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს ოლი მატილას. როგორც ფინეთის გენერალური პროკურორის განცხადებაშია ნათქვამი, მან მოსკოვს გადასცა კონფიდენციალური მასალები ევროკავშირის შესახებ, რითაც ვნება მოუტანა ფინეთის ინტერესებს. მატილას ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

აშშ და ევროკავშირი მიესალმებიან კვიპროსის რესპუბლიკის გადაწყვეტილებას, უარი თქვას რუსული პაერსაწინააღმდეგო კომპლექსების განლაგებაზე. გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია, განუხრელად იცავდნენ კვიპროსის რესპუბლიკისათვის რუსული კომპლექსების მიწოდების კონტრაქტის პირობებს.

ალბერტ გორი პრეზიდენტს დახმარებას აღუთქვამს

აშშ ვიცეპრეზიდენტი ალბერტ გორი მზად არის, მხარში ამოუდგეს პრეზიდენტ ბილ კლინტონს სენატში სადავო საპროცედურო საკითხების გარჩევის დროს. ეს გორმა განაცხადა ავტორიტეტული „ლოს-ანჯელეს ტაიმსისადმი" ინტერვიუში. ალბერტ გორის ხმა შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ისეთი სიტუაციის წარმოშობისას, როდესაც 100-კაციან სენატში ზუსტად ნახევარი დაუჭერს მხარს ერთი გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო მეორე ნახევარი წინააღმდეგი იქნება. ვიცე-პრეზიდენტი თუმცა სენატორი არ არის, მიუხედავად ამისა, სენატის თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს, და მისი ხმა შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს სწორედ იმ საკითხის გადაწყვეტისას, მიიღოს თუ არა სენატმა განსახილველად ესა თუ ის ჩვენება.

ვიცეპრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ თავად იგი არ წამოიწყებს არავითარ ლობისტურ კამპანიას სენატში პრეზიდენტის სასარგებლოდ, ვინაიდან „ეს არ იქნებოდა სწორი". მაგრამ თუ რომელიმე სენატორი მოისურვებს, გაიგოს მისი აზრი ამ საკითხზე, ასეთ შემთხვევაში „იგი თავისუფალი იქნება გადაწყვეტილებაში, მთლიანად ჩამოაყალიბოს თავისი აზრი".

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით.

უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

ჯანმრთელობა — უპირველეს ყოვლისა...

გამგებლის კრედო

საქართველოში ყველაზე სპორტული რაიონის და ყველაზე „სპორტული გამგებლის" პრიზი რომ იყოს დაწესებული, მას უსათუოდ დიდუბის რაიონს და მის გამგებელს — **ომარ კიზივაძეს** მივანიჭებდით.

ბოლო წლებში დიდუბის რაიონის სპორტსმენები თბილისის გამგეობების სპარტაკიადაში და მერიის პირველობებში გამარჯვებას არავის უთმობენ. დიდუბელები საქართველოს პირველობებზეც (მაგალითად, წვევამდელთა ასპარეზობებში) წარმატებით გამოდიან. ასე რომ, დიდუბე სპორტული რაიონია. სპორტული ცენტრებიც უხვად არის დიდუბეში: ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი და მისი სპორტკომპლექსი, დიმიტრი იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის მანეჟი, სპორტული საზოგადოება „შევარდენის" სპორტული ბაზები, ფეხბურთის მოედნები აღმაშენებლის გამზირზე, განათლების სამმართველოს საჭიდაო დარბაზი და სხვა.

დიდუბელთა თაოსნობით ხშირად იმართება მძლეოსნური კროსები, შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, სიმძიმეების აწევაში. სპორტული ასპარეზობების გამართვაში თავისი წვლილი შეაქვთ რაიონის საბინაო მეურნეობის გაერთიანებას და მოსახლეობის სერვისული მომსახურების რვა ცენტრს. რაიონში 38 მარტივი ტიპის სპორტული მოედანია, წვევამდელთა რაიონულ სპარტაკიადაში კი 500-მდე მოსწავლე-სპორტსმენი მონაწილეობდა.

ამ საქმეში რაიონის სპორტკომიტეტის თავკაცის ნუხა გაგოშიძის გამორჩეული წვლილიც არის. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების მიზნით შექმნილია რაიონის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების კომისია, რომელსაც თავად გამგებელი ომარ კიზივაძე უძღვება.

დიდუბეში გამართულ სახალხო ჭიდაობებს საუკუნოვანი ისტორია აქვს. სწორედ ეს სასახელო ტრადიცია აღადგინა ბატონმა ომარმა, რომელიც 1996 წლიდან მუშაობს ამ თანამდებობაზე. 1996 წლიდან აღდგა „დიდუბის ღია პირველობაც" ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის რაიონის გამგებელი ყოველთვის პოულობს ხოლმე საშუალებებს შესაბამისი საჩუქრებისათვის. სპორტსმენებსაც მეტი რა უნდათ...

თვითონ ბატონი ომარი ვარჯიშობდა თხილამურებით რბოლაში, ტანვარჯიშში. გამოდიოდა კიდეც სხვადასხვა რანგის ტურნირებში, ხოლო ფეხბურთი, როგორც საყოველთაოდ პოპულარული თამაში, მისი დიდი გატაცებაა. ტყუპი ძმები — განთქმული ფეხბურთელები — არველაძეები ომარის მეზობლები არიან და ეზოში თამაშის დროს ხშირად ძმებს უფროსი ბიჭები კარებში აყენებდნენ...

ომარის უფროსი ქალიშვილი კესო შარშან ბაკურიანში უკვე მყარად იდგა თხილამურებზე, უმცროსს — ნატასაც თხილამურები და ჩოგბურთი იტაცებს. გამგებლის ოჯახში, როგორც ხედავთ, სპორტული ატმოსფეროა.

დიდუბეში „აკაკის ბაღში" ბატონმა ომარ კიზივაძემ „საუკუნის ჭიდაობის" აღდგენით დიდი საქმე გააკეთა. თუმცა, მას რაიონის სხვა სპორტულ წარმატებებშიც ლომის წილი მიუძღვის. ამჟამად, როგორც თვითონ გვითხრა, ვაკელების მსგავსად დიდუბეშიც, თანაც რამდენიმე ადგილზე (მათ შორის, დიღომში), სურს მინი-ფეხბურთის და კალათბურთის თანამედროვე მოედნების მოწყობა. ღმერთმა ხელი მოუმართოს სპორტზე და ადამიანების სიჯანსაღეზე მზრუნველ გამგებელს!

გაბრიელ ბარჯაძე.

სურათზე: დიდუბის რაიონის გამგებელი ომარ კიზივაძე აჯილდოებს გამარჯვებულ მოჭიდავეს — კასპელ ვანო გამხიტაშვილს.

მილოცვა

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ყოველთვიური საჭადრაკო ჩანართი „ლაზიერი" გილოცავენ დამდეგ შობა-ახალ წელს.

გისურვებთ კატის წელიწადს ხვავი და ბარაქა დაჰკვებებოდეს თქვენს ოჯახებს.



ათლეტიზმი

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

დღეს შემოგთავაზებთ ახალგაზრდებს შორის ძალისმიერ ორჭიდში საქართველოს 1998 წლის ჩემპიონის დავით კოპშირიძის საწვრთნელი ვარჯიშების ერთდღიან პროგრამას.







I ვარჯიში — წევით წოლჭიმის სკამზე, ბეჭებით ეყრდნობით სკამის საზურგეს, ფეხები გიდგათ სპეციალურ სადგარებზე, იზნიქებით წელში, ხსნით წონას (სურ. 1), უშვებთ მკერდამდე, უბრუნდებით საწყის მდგომარეობას. ვარჯიშდება ზურგის უგანიერესი და მკერდის კუნთების ქვედა ნაწილები.

II ვარჯიში — ორძელზე დგებით გამართული ხელებით და ეშვებით. (სურ. 2), ვარჯიშის შესრულება შეიძლება წონითაც. იმ შემთხვევაში, როდესაც წონა მოქცეულია სხეულის წინა მხარეს, უფრო მეტად ვარჯიშდება მკერდის კუნთები, ხოლო, როდესაც წონა სხეულის უკანაა მოქცეული, სრული დატვირთვა მხრის სამთავა (ტრიცეპსი) კუნთზე მოდის.

III ვარჯიში — ღერძს კიდებთ ხელებს მხრების სიგანეზე. წონას იქცევთ ზურგს უკან და ეწევით რაც შეიძლება მაღლა (სურ. 3).

ვარჯიში განკუთვნილია კისრის ტრაპეციისებრი კუნთებისთვის.

IV ვარჯიში — მუცლით წვებით დახრილ სკამზე, იღებთ ჰანტელებს და ზურგის კუნთების ხარჯზე ეწევით ზევითა მიმართულებით (სურ. 4).

V ვარჯიში — ჯდებით სკამზე, იქცევთ შტანგას თავს უკან მხრებზე, აკეთებთ წინწნექს გამართული წელით (სურ. 5), უბრუნდებით საწყის მდგომარეობას.

მისვლების რაოდენობა 4, გამეორებების — 6-8, მისვლებს შორის შეისვენეთ 1-2 წუთი.

თორღვა მაგრაძველიძე,
თსუ ახალგაზრდული ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

ავტორის ფოტო.





ფეხბურთი

ინგლისელები ახალ წელსაც თამაშობენ

[illegible] — ინგლისში არ არსებობს საშობაო ან, მით უმეტეს, საახალწლო არდადეგები. პრემიერლიგის მატჩები ნებისმიერ ამინდში იმართება და, როგორც წესი, მრავალრიცხოვან აუდიტორიას იზიდავს.

ამ დღეებში ლონდონის „სტემფორდ ბრიჯის" სტადიონზე გაიმართა მეორე წრის სასტარტო ტურის ცენტრალური მატჩი „ჩელსი" — „მანჩესტერ იუნაიტედი". „არისტოკრატთა კლუბის" ლეგიონერებმა ნორვეგიელმა ფლომ და იტალიელმა ძოლამ მასპინძელთა დიდი უპირატესობის მიუხედავად, რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და თამაშიც ფრედ — 0:0 დასრულდა. დედაქალაქელთა შეფერხებით ისარგებლა ბირმინგემის „ასტონ ვილამ", რომელმაც შინ 2:1 სძლია „შეფილდს" და ლიდერობა დაიბრუნა.

წარმატებით იასპარეზეს დანარჩენმა ფავორიტებმაც: „ჩარლტონი" — „არსენალი" 0:1, „ვესტ ჰემი" — „ქოვენტრი" 2:0, „ლივერპული" — „ნიუკასლი" 4:2 (სტუმრები 2:0 იგებდნენ 67-ე წუთამდე. მათი ქართველი ლეგიონერი თემურ ქეცბაია მინდორზე არ გამოსულა).

ლიდერთა ჯგუფი: „ასტონ ვილა" — 39, „ჩელსი" — 37, „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი" — 35-35 ქულა.

ღიმილის სპორტული დოზა

— რატომ გიყვართ ფეხბურთი?

— არ ვიცი, ალბათ, მივეჩვიე.

— მე კი ვიცი, სახლში ცოლი მიყვირის, მაღაზიაში — გამყიდველი, სამსახურში — დირექტორი, ფეხბურთზე კი მე თვითონ ვყვირი.

* * *

ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი:

— მარცხნიდან ჩამოაწოდეს! თავური დარტყმა — ძელი! კიდევ ერთი თავური დარტყმა! ძელი! ჩამოწოდება მარჯვენიდან! შესამედაც დაარტყამენ? ოჰ, არა; მოთამაშემ გრძნობა დაკარგა, ბოლოს და ბოლოს, ძელი ხომ რკინისაა...

* * *

კომენტატორი ფეხბურთის მატჩის დროს:

— ჩვენს გუნდს ტექნიკა აკლია — სულ პატარა ბულდოზერიც კი ძირფესვიანად შეცვლიდა მდგომარეობას მინდორზე.

* * *

საპარაშუტო სპორტის სექცია. ახალბედების პირველი გადმოხტომა. პილოტი სექციის ხელმძღვანელს:

— მენებს უთხარი, ხტუნაობას თავი დაანებონ, ჯერ ხომ არ აფრენილვართ.

* * *

ინგლისი, ლივერპული. მშვიდი საოჯახო საღამო. მთელი ოჯახი მაგიდას მიჯდომია.

ცოლი:

— ძვირფასო, დიდი ხანია მინდოდა მეთქვა, რომ ერთხელ გიღალატე.

— მოდი, ამას ნუღარ გავიხსენებთ.

— მე კიდევ მინდოდა მეთქვა, რომ თავს გაჩვენებდი, თითქოს „ევერტონის" გულშემატკივარი ვიყავი, სინამდვილეში კი ყველაზე მეტად „ლივერპული" მომწონს.

— ამის შემდეგ შენ ჩემი შვილების დედა შეიძლება ვიწოდო?



ლევან მართაშვილის ნახატი.

კომენტატორები (არ) ხუმრობენ

— ბურთი ფეხებში გაუძვრა, მაპატიეთ ასეთი ინტიმური სიზუსტე.

— მან მსაჯს რაღაც საწყენი უთხრა, მანაც ყვითელი ბარათი უჩვენა. საოცარია, ისინი ხომ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. როგორც ჩანს, ფეხბურთელმა მას ისეთი რამ უთხრა, რაც ერთნაირად საწყენად ჟღერს ინგლისურადაც და ესპანურადაც, რუსულადაც და ქართულადაც.

— მე არ ვიცი, რით გაატანა ბურთი თავდამსხმელმა, მაგრამ ეს ძალზე ეფექტურად გააკეთა.

— ბურთი დაფიქრდა, თუ საით წასულიყო, მაგრამ ვერ გადაწყვიტა.

— [illegible] საჯარიმოს კედელი აღმართეს. ახლა დაარტყამენ, კედელს კი არა, ბურთს.

— მატჩი ნებისმიერ ამინდში შედგება... თამაში კი — ვნახოთ, რა [illegible].

უძღვება
ანზორ ბასილაია.

ღიმილის დოზა



მხატვარი ლევან მართაშვილი.

შარშანდელი ანეკდოტები

დღეს ბორის ელცინი კრემლში შეხვდა თავდაცვის მინისტრს იგორ სერგეევს და იცნო იგი.

* * *

სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მასწავლებელი: ბავშვებო, ვინც მიპასუხებს კითხვაზე, შინ გავუშვებ. მაშ, ასე: ვინ თქვა – „ნუ იკითხავ, რისი მოცემა შეუძლია შენთვის შენს ქვეყანას, ჰკითხე საკუთარ თავს, რა შეგიძლია მისცე სამშობლოს“. ერთი ბიჭი (ჩვენი მიხოს ორეული) ხელს იწევს, მაგრამ მასწავლებელი პასუხის უფლებას აძლევს გოგონას, რომელმაც აგრეთვე ასწია ხელი. გოგონა უპასუხებს: – ასე თქვა კენედიმ!

მასწავლებელი: – ყოჩაღ! წადი სახლში.

ბიჭი ძალიან გაბრაზდა, რადგან ძალიან უნდა შინ წასვლა.

მასწავლებელი: – აბა, ვინ თქვა – „ფული სტაბილურობის საფუძველია“?

ბიჭი კვლავ ხელს იწევს. მასწავლებელი კვლავ სხვა გოგონას ეკითხება, რომელმაც ხელი ასწია.

გოგონა: – ეს ფრანკლინის სიტყვებია.

მასწავლებელი: – ყოჩაღ! შეგიძლია წახვიდე შინ.

ბიჭი (ძალიან გაბრაზებული): – როდის მოკეტავენ ეს დედაკაცები?

მასწავლებელი (წამოენთება): ვინ თქვა ეს?

ბიჭი: – ეს თქვა კლინტონმა, და მე წავედი შინ.

* * *

მოსამართლე სამართალში მიცემულს ეკითხება:

– აღიარებთ, რომ მთვრალი თეატრში აპირებდით შესვლას?

– ვაღიარებ! ფხიზელს ამის გაკეთება აზრადაც არ მომივიდოდა.

სახალისო სიტუაცია

გოგიტა კვერნაძემ და რაჟა სარჩიმელიამ აგული ერისთავი თვითმკვლელობას გადაარჩინეს

გურამ ლორთქიფანიძე უქეიფოდ იყო. ავედით, მოვინახულეთ ჩვენი „ლორთქია“ – ნიჭიერი მსახიობი, უსაყვარლესი კაცი. იწვა და, ჩვეულებისამებრ, ტელეფონით საუბრობდა. ჩამოჯექით, გვანიშნა და ყურმილი რომ დადო, მოვევსიყვარულა, სად ხართ, თქვენიო... მომკლა კაცი წელის ტკივილმა, აღარ შემიძლია მეტიო...

კრუსუნით წამოდგა, ზეწარი გადასწია, ა, ნახეთ, ფიცარზე ვწევარ, თქვე ოხრებო, ბარემ სამი ღერიც მოიტანეთ, ამომიდეთ აქეთ-იქეთ, ზემოდანაც დამაჭედეთ და გამასვენეთო... მართლაც იდო ლეიბზე „დიქტის“ ნაჭერი.

ვხითხითებთ, ვაჯავრებთ... თითქოს გამოკეთდა, ჩაიცვა, განკარგულებების გაცემა დაიწყო, – მალე, მალე, გააწყვეთ სუფრა, ახალი წლის წინა დღეებია, დაგველოცოს ამ ხალხმაო.

მამამისის – მთელ საქართველოში დიდად დაფასებულ „კაი კოწიას“ ოჯახში, ვერაზე, სტუმარი არავის უკვირდა. ასეა ახლაც – „ლორთქია“ ტრადიციას აგრძელებს.

... მისი მეუღლე მედიკო უკვე მაგიდას აწყობს, ეხმარებიან ქალიშვილები ნინო და მაკა, ვაჟიშვილი კოკიც იქვე ტრიალებს, საღამოს ათლარიანი ზემზე იყოსო, ამხნევებს „ლორთქია“.

კარზე აკაკუნებენ, ბიჭოს, იმედო კახიანი და გურამ ფირცხალავა!..

მოიკითხეს მეგობარი. ამათ ხომ იცნობთ, კაცოო, – თვალს გვეკრავს „ლორთქია“, – გოგიტა კვერნაძე და რაჟა სარჩიმელია, ხომ გახსოვთ „საბუდარელი ჭაბუკიდან“ და „დათა თუთაშხიადანო“.

როგორ არ ვიცნობთ, ცხადია, იმედო კახიანი „საბუდარელ ჭაბუკში“ განსახიერებულ გმირს აღარ ჰგავს. 42 წელი გავიდაო, ამბობს, მაშინ 19 წლის ბიჭი ვიყავიო.

– ხომ ხართ ისევ სტუდიაში? – ვეკითხებით იმედოს.

– ვარ, მაგრამ უხელფასოდ...

– თქვენკენ რა ხდება? – გურამ ფირცხალავას მიემართავთ.

– რა უნდა ხდებოდეს, ჯიმა!... 3-4 სურათში ვარ დაკავებული, მაგრამ რაღ გინდა, რა... ფარა არა აქვთ, ფარა!.. იქნებ, გაისად გვეშველოს რაღაცა!..

მერე „ლორთქიას“ მესანიშნავ ოჯახს ვადღეგრძელებთ, წინასწარ ვულოცავთ ახალ წელს, ჩვენ ძმას და პირის ზიარებას კი მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ და ვდგებით.

რას შვებით, კაცო, ჯერ სად გეჩქარებათო, დაჯექით, თორემ, გეფიცებით, თავს არ ვიცოცხლებო, იმუქრება „ლორთქია“.

ამ დღეებში დაგირიგებთო და, ვნახოთ...

– რაღაც შეხლა-შემოხლა რომ გქონდათ კინემატოგრაფისტებს, შერიგდით?...

– შევრიგდით, როგორც იტყვიან, კონსენსუსი გამოიძებნა, ყველა დარწმუნდა, რომ, როგორმე დღევანდელობას უნდა აუბას მხარი. წარსულს ჩაბარდა, კომუნისტების დროს რომ უამრავ ფილმს უშვებდა სტუდია. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის წელიწადში 2-3 ფილმის გამოშვებაც საკმარისია. ოღონდ, ეს ისეთი პროდუქცია უნდა იყოს, ბევრ ქვეყანას რომ დააინტერესებს, შეისყიდის და ფულს არ დაიშურებს...

რომ ნახა, აღარ ვიმლიდით, აბა, მაცალეთ მეო!..' გავარდა მეორე ოთახში, გამოიტანა პისტოლეტი და იმედოს და გურამს რომ არ ემარჯვათ, საფეთქელში იკრავდა ტყვიას.

გადაერჩით, საბედნიეროდ, ცოდვა აღარ დატრიალდა.

მერე გავიგეთ, პისტოლეტი სათამაშო ყოფილა.

აბა, რისი თავის მომკვლელი იყო „ლორთქია“.

ვილენ მარდალეიშვილი,
გურამ გომართელი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ხსოვნა

მიხეილ ლომაია

ზუგდიდის საზოგადოებამ დიდი ნაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავა მყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყოველთაო პატივისცემით გარემოს პიროვნება, სოფლის მეურნეობის წლმოსილი მუშაკი, ღირსების ორ ნის კავალერი, ზუგდიდის რაიონის ფელ ნარაზენის სასოფლო-სამეურნ კოოპერატივის გამგეობის თავმჯ მარე **მიხეილ იროდის ძე ლომაია.**

დაიბადა 1928 წელს. 18 წლის ასაკიდან შეუდგა მუშაო მშობლიურ სოფელში. წლების განმავლობაში მუშაობდა ნარაზ ჩაის ფაბრიკაში. უმაღლესი აგრონომიული განათლების ღების შემდეგ, 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რაზენის კოლმეურნეობას და კოოპერატივს.

იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მინდობილ საქ და ამიტომაც სარგებლობდა საქმიანი კაცის სახელით. მისი უ ალო თავკაცობით დამშვენდა და გალამაზდა ნარაზენი. ფელი ხელახლა აღაშენა და შეინარჩუნა და ამით სიცო ლეშივე დაიდგა ძეგლი. იყო საქმისა და მშობლიური სოფ სთვის თავგამოდებული კაცი, ყოველთვის ცდილობდა სიახ დაენერგა, შრომაში ჩაება და მატერიალურადაც მოედონ რებინა ხალხი. გაწეული ღვაწლი და თავდადება დაუფასდა კი მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო. სულ ახლახან კი და ლდოვდა ღირსების ორდენით, რომლის მიღება, სამწუხარ სიცოცხლეში ვერ მოასწრო.

ბატონი მიხეილი იყო სიყვარულისა და სიკეთის მთესვე ბუნებით ვაჟკაცი და უდრეკი, ამავე დროს უაღრესად თავმდაბ და მორიდებული, პატიოსნებით სავსე კაცი. მას ბაძავდნენ ამაყობდნენ. ყველას სატკივარი სტკიოდა და ყველას სიხარუ უხაროდა. მუდამ მემართებით და აქტიურად მონაწილეობ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ამიერიდან ცოცხალი იქნება ეს კაცური კაცი, მაგრამ მისი საქმიანობა, დამს რება და სახელი დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საქართველ
პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრა
ზუგდიდის მერ

გივი ცირამუა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული იურისტი **გივი სტეფანეს ძე ცირამუა.** იგი დაიბადა 1926 წელს ქუთაისში. 1948 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს დაინიშნა სამოქალაქო სამართლის კათედრის ლაბორანტად. იგი აქტიურად ეხმარებოდა სტუდენტებს სამოქალაქო სამართლის საკითხებზე კონსულტაციებით. გივი ცი მუა 1951 წლიდან მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პრ კურატურის სამოქალაქო საქმეებზე საზედამხედველო განყო ლების პროკურორად, შემდეგ ამავე განყოფილების უფროსის ადგილედ, ხოლო 1974 წლიდან – განყოფილების უფროსად. რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრი. 1977 წელს ჩეული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრად, სა მუშაობდა გარდაცვალებამდე. გივი ცირამუა აქტიურად მონა ლეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კვალიფიკა ის ამაღლების კურსებზე და სამოქალაქო სამართლის თეორ სა და პრაქტიკაში თავის ღრმა ცოდნასა და გამოცდილებას არებდა მსმენელებს. იყო უაღრესად განათლებული, ღრმად დირებული პიროვნება არა მარტო იურისპრუდენციაში, არამ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია სამარ ლიანობის დამკვიდრების საქმეს და პატიოსანი კაცის სა ლით წავიდა ამქვეყნიდან.

ბატონი გივი ცირამუა მუდამ ემახსოვრებათ მის ახლობლ კოლეგებსა და მეგობრებს, როგორც მაღალი პროფესიო ლი და სამშობლოს მოყვარული ადამიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართ

თაობა

„1999 წელი სიხარულის, სიყვარულის, ჯანმრთელობის და ჩვენი ბებიების და ბაბუების გახარებისა და ბარაქის წელი იყოს“.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტის წევრის, 9 წლის სალომე მაისაშვილის ნახატი.



საქართველოს ყველა მეწარმის საყურადღებოდ!

1998 წლის 12 ნოემბერს ამოქმედდა კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“.

– კანონი თითოეულ თქვენგანს აძლევს საშუალებას მოიპოვოს საკუთრების უფლება თქვენს მფლობელობაში არსებულ მიწაზე.

– თქვენ შეგიძლიათ გახდეთ მიწის ისეთი მესაკუთრე, რომელიც მიწას, როგორც უძრავ კაპიტალს გაყიდის, იყიდის, გააჩუქებს, დააგირავებს ბანკში სესხის მისაღებად.

რა უნდა გააკეთოს თითოეულმა თქვენგანმა კანონით მინიჭებული უფლების მოსაპოვებლად?

კანონის მიხედვით (მე-3 მუხლი, პუნქტი 3.2.) თქვენ უნდა გადაიხადოთ ერთჯერადი საზღაური 1998 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი არასასოფლო-სამეურნეო მიწის წლიური გადასახადის ოდენობით.

ეს გადასახდელი გადაიხდება 1998 წლის 31 დეკემბრამდე, ამ ვადის გასვლის შემდეგ ერთჯერადი საზღაური ორმაგდება.

ახლავე გადაიხადეთ საზღაური!!!

უკვე დადგენილი ერთჯერადი საზღაურის ანგარიშსწორების ანგარიშები.

[illegible]ერთჯერადი საზღაურის 50 პროცენტი ჩა[illegible]ება ცენტრალურ ბიუჯეტში.

[illegible]ური ბიუჯეტის საბანკო რეკვი[illegible]
[illegible]ე გა[illegible]
[illegible]ართ[illegible]ილოს ეროვნული ბანკი
[illegible]მასკ[illegible]3423
[illegible] მიზ[illegible]1107

[illegible]საზღაურის დარჩენილი 50 პ[illegible]ირიცხება ადგილობრივ ბიუჯ[illegible]

ყვე[illegible]ნკს გააჩნია ადგილობრივი ბიუჯეტ[illegible] ანგარიშები.

ასე [illegible], ახლავე გადაიხადეთ საზღაური უახლოეს ბანკში!!!
ამ ფრაზას მიაქციეთ ყურადღება!

ამ ვადის გასვლის შემდეგ ერთჯერადი საზღაური ორმაგდება. ეს კიდევ არაფერია იმ სირთულეებთან შედარებით, რაც წინ გელოდებათ;

კანონის თანახმად (მუხლი 3.4), თუ არ გადაიხდით ერთჯერად საზღაურს, თქვენ იძულებული გახდებით, დადოთ მიწით დროებითი სარგებლობის (და არა მიწაზე საკუთრების) ხელშეკრულება. სავარაუდოა, რომ თქვენ მოგიწევთ იმ მიწის ნაკვეთის იჯარით აღება, რომელიც თქვენს მფლობელობაშია.

თუ თქვენ შეეცდით და იჯარა გააფორმეთ,

– გახსოვდეთ, რომ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია საიჯარო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხები გაზარდოს.

– ასეთი ურთიერთობები კი მარტივი გათვლებით, მეწარმეს საკმაოდ სოლიდური თანხები უჯდება

უფრო მეტიც

– საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში სახელმწიფოს ექნება შესაძლებლობა, გაყიდოს თქვენს მფლობელობაში არსებული მიწა.

საბოლოო შედეგი

ბუნებრივია, თუ სახელმწიფო გაყიდის თქვენს მფლობელობაში არსებულ მიწას, თქვენ მიწასთან ერთად კარგავთ საწარმოო საშუალებებს.

ასე რომ, ახლავე გადაიხადეთ საზღაური!!!

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელმა შპს „პრესამ“ ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“
„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი: მ. კოსტავას 14,
მე-4 სართული,
ტელ: 93-26-99.

მეუღლე მარინა კოსტავა, შვილები თამრიკო, სალომე, დედა მარგალიტა, ძმა თამაზი, ცოლისძმა კოტე კოსტავა, რძლები მაია ახვლედიანი, ლუიზა დოლიძე, ძმისწულები ვახო, თიკო, დისწულები ხათუნა, მარიკა, ნინო, ცოლისძმისწულები გიორგი, ქრისტინა, ბიძები, ბიცოლები, მამიდა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბოჩა ვახტანგის ძე
ტყეშელაშვილი

პანაშვიდი 1 I, თბილისი, დადიანის ქუჩა № 14, გამოსვენება 2 I, 2 სთ., წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ვარანცოვზე).

ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახური იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სამსახურის უფროსი

ბოჩა ვახტანგის ძე
ტყეშელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ავიაციის მუშაკთა პროფესიული კავშირი, ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ გაერთიანებული პროფკომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, ა/კ „საქართველოს ავიახაზების“ სამეურნეო სამმართველოს უფროსის

ბოჩა ტყეშელაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სიკო გეგიაძე, ირაკლი ტყეშელაშვილი ოჯახებით ღრმა სამძიმარს გამოთქვამენ მეგობრის

ბოჩა ტყეშელაშვილის

გარდაცვალების გამო.

ეველინა და ოთარ ხუციშვილები ოჯახებით სამძიმარს ხადებენ თინა და გივი მარუაშვილებს დედის

თამარ მარუაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ამალია ენუქიძე, შვილებ ია, ირაკლი, გიორგი, და ჯულიეტა, ქუნა, რძალი მარეხ მურუსიძე, სიძეებ ორგი ლავრელაშვილი, იური კვაჭანტ ცოლისდა ლარა ენუქიძე, ცოლისძმები ლან, როინ ენუქიძეები, შვილიშვილებ ნო, ქეთი, ანი, დისწულები, ძმისწულ დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სოლომონ (სულიკო) ირაკლის
კენჭაძე

პანაშვიდი 3, 4 I, 4 სთ. დაკრძალვა 5 I, 2 სთ. თბილ 9 ძმის ქუჩა №84.

თამაზ გაბუნია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ეთერ ეზაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ჯანსუღ ჭოხონელიძე, შვილები მარინა ხად ძე, თეიმურაზ ჭოხონელიძე, შვილიშვილები გურამ ჭო ნელიძე, თინათინ, თამარ, ეკა სადრაძეები, ძმა ნიკო ფარცხალაძე, და ეთერ ქაზზინაძე, ძმისწულები მაია, ნო, დარეჯან ფარცხალაძეები, დისწულები თენგიზ, ქე ვან (დოდო) ქაზზინაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გ დაიცვალა

ციალა ნიკოლოზის ასული ჭოხონელიძე

პანაშვიდი 3, 4 I, 4 სთ., გამოსვენება 5 I, 2 სთ., წერე პროსპექტი 55, კორპუსი II, I სადარბაზო, IV სართულ კრძალვა დაბა ზაჰესის სასაფლაოზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმა ხადებს საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს ს დესპანს ბატონ დავით კერესელიძეს მამის

თამაზ კერესელიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა ძიმარს უცხადებს საერთაშორისო ორგანიზაციების დე ტამენტის დირექტორის მოადგილეს ბატონ თემურ ჭოხ ლიძეს დედის

ციალა ჭოხონელიძის

გარდაცვალების გამო.

შვილები თალიკო, მერი, ძაბული,-სიძე ვასილ ჯაფა შვილიშვილები გია, ნიკო ჯაფარიძეები, ვალერი, ალ ბუნიძეები, მარიკა, ვახტანგ, ქეთევან, ნინო კურცხალიძე წყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (კაკო) ვასილის ძე ჩხაიძე

პანაშვიდი 3, 4 I, 4 სთ. დაკრძალვა 5 I, 2 სთ. მცხეთის სოფ. დიღომი, სარაჯიშვილის ქ. №54.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 5 იანვარს.

მეგაკომი

„მეგაკომი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს და საახალწლო საჩუქარს გთავაზობთ:

ათასი ტელეფონის აპარატი უფასოდ

(თქვენ მხოლოდ დეპოზიტის გადახდა მოგიწევთ).

ექსკლუზიური ნომერი; არანაირი კოდი; სწრაფი დაკავშირება
გაფართოებული მომსახურების ზონა;

მაშინ, როცა ყველგან გაზრდილ ფასებს აწყდებით, ჩვენ შემცირებულ და ძალიან ხელმისაწვდომ ფასებს გთავაზობთ

წუთის ღირებულება მხოლოდ 19 თეთრი

თუ ტელეფონს 14 თებერვლამდე შეიძენთ „მეგაკომში“, თქვენზე წარმოუდგენლად ხელსაყრელი პირობები გავრცელდება – ადგილობრივი წუთის ღირებულება აღდგომამდე (11 აპრილი) თქვენთვის მხოლოდ 5 თეთრი იქნება.

გაუკეთეთ საჩუქარი საკუთარ თავს და თქვენთვის საყვარელ ადამიანს.

„მეგაკომი“ — პირველი ფიჭური კავშირი.

ბი-ლაინი

MOTOROLA

ჩვენი მისამართია:
- კოსტავას 22 – „მეგაკომი“;
- სამუშაო საათები 10.00-19.00
- სასტუმრო „აჭარა“;
- კაფე-ბარი „ნაციონალი“, ჭავჭავაძის 42;
- სამუშაო საათები 10.00 – 18.00.

დამატებითი ინფორმაციისათვის

დარეკეთ
99-99-99.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 3800
თბილისი, მ. კოსტავას ქ. №
ტელ: 99-73-
სარეკლამო განყოფილება
ტელ: 93-28
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლ
საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის